

R 85975
2

2. 09.2010


ଓଲ୍ଲାଙ୍କ କାନ୍ତିରାମାପାଠ

ଶରୀରାମାପାଠକଣି
ଏ ବିଗନ୍ଧିପାଠକଣି
ଦେଖାଇଯାଇପାଠ



Հ. ԹԱՂՖԱՋ

ՇՀԱՅԻ ՔԱՅՔԱՎԱՃՈՒ
ԾՈՐՄԵՆԾՈՎՈՂԻՆ
Ի ԵԽԵՑՔՎՈՂԻՆ
ՊԵԽԵՑՔՎՈՂԻՆ



ԽԱՅԵԼԺԻՇՎԻ ՀԱՅՈՎԵԼԺՈՒ

19 ԹԸՆԸՆԸ 54



შინასიტყვაობა

ჩლია ჭავჭავაძის ფილოსოფიური და უსთეტიკური შე-
ხედულებანი მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული
კულტურის ისტორიის ძირეულ საკითხებთანაა დაკავშირე-
ბული. ილია ჭავჭავაძე, როგორც ცნობილია, ქართველი
ხალხის ერთ-ერთი დიდი მოღვაწე იყო. მისი მოღვაწეობა
ქართველი ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ძი-
რეულ საკითხს სწვდებოდა: პოლიტიკის, ეკონომიკის, სო-
ციოლოგიის, რელიგიის, ეთიკის, ხელოვნებისა და სხვა
საკითხებს. მის მრავალფეროვან და დიდ საზოგადოებრივ მო-
ღვაწეობას გარჩვეული ფილოსოფიური თვალსაზრისი განა-
ზოგადებდა. ეს ფილოსოფია მისი უნივერსალური საქმიანო-
ბის მანათობელი იყო. სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფი-
ლიყო: დიდი და მრავალფეროვანი საზოგადოებრივი მოღვა-
წეობა ფილოსოფიური თეორიის გარეშე არ შეიძლება. ფი-
ლოსოფია იმდენად მჭიდროდაა დაკავშირებული საზოგადო-
ებრივი ცხოვრების საჭირობოროტო საკითხებთან, რომ ის,
შეგნებულად თუ შეუგნებლად, თან სდევს საზოგადოებრივი
ცხოვრების კერძო საკითხების კვლევა-ძიებას.

იგივე უნდა ითქვას ილია ჭავჭავაძის ესთეტიკური
თვალსაზრისის შესახებაც. მისი ესთეტიკური თვალსაზ-
რისიც ჰქონდა კავშირშია მის საზოგადოებრივ მო-
ღვაწეობასთან. ილია ჭავჭავაძე არა მარტო დიდი მოაზროვ-
ნე, არამედ ხელოვანიც იყო. მისი მხატვრული შემოქმედება
ქართველი ხალხის ყველა ძირეულ და საჭიროროტო სა-
კითხს ეხმაურებოდა. ილია ხელოვნების არა მარტო პრაქ-

ტიკოსი იყო, არამედ თეორეტიკოსიც. ხელოვნების პრაქტიკას გზას უნათებდა ხელოვნების თეორია.

აღნიშნულ მოსაზრებათა გამო იღია ჭავჭავაძის ფილოსოფიურ და ესთეტიკურ შეხედულებათა კვლევა-ძიება აქტუალურ საკითხს წარმოადგენს.

მეორე მხრივ, იღია ჭავჭავაძის ფილოსოფიურ და ესთეტიკურ შეხედულებათა კვლევა-ძიება იმიტომაცა მნიშვნელოვანი და აქტუალური, რომ მას ისინი ერთ ან რამდენიმე ნაწარმოებში მთლიანი სახით არ მოუცია. მისი ფილოსოფიური და ესთეტიკური შეხედულებანი ნაწყვეტების, კერძო დებულებებისა და გაკვრითი თქმების სახითაა გაბნეული მის თხზულებათა მრავალ ტომში.

წინამდებარე შრომა 1946—1947 წლებშია დამუშავებული. ამავე წლებში ის წაკითხულ იქნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს საჭარო სხდომაზე, 1948 წლის დასაწყისს კი საჭარო ლექციის სახით წაკითხულ იქნა აგრეთვე საქართველოს სსრ მეცნიერული და პოლიტიკური ცოდნის გამავრცელებელ საზოგადოებაში.



ფილოსოფიური
მეცნიერება

1. ილია ჭავჭავაძის სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებაზი

ყოველ ფილოსოფიურ მსოფლმხედველობას ამა თუ იმ კლასის სოციალურ-პოლიტიკური ინტერესები განსაზღვრავს. სოციალურ-პოლიტიკური ზრახვანი ფილოსოფიური თვალსაზრისის ამოსავალიც არის და საბოლოო მიზანიც. ეს გარემოება გვავალებს ილია ჭავჭავაძის ფილოსოფიურ და ესთეტიკურ შეხედულებათა განხილვას. წინ წარვუმძღვაროთ მისი სოციალურ-პოლიტიკური თვალსაზრისის მოკლე დახასიათება.

როგორი იყო მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ამოცანები და როგორ ეხმაურებოდა მათ ილია ჭავჭავაძე?

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საჭირბოროტო და მთავარ სოციალურ-პოლიტიკურ ამოცანას საქართველოში ფეოდალური წყობილების დანგრევა და დიდ რუს ხალხთან მჭიდრო კავშირის საფუძველზე მეფის თვითმკურნბელური წყობილების ბატონობის მოსპობა წარმოადგენდა. კაპიტალიზმის განვითარებისათვის გზის გახსნა: სოფლის მეურნეობის, ქალაქის მრეწველობის, ვაჭრობის განვითარება და ამაღლება — აი პირდაპირი ისტორიული ამოცანა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრისა. საქართველოს ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ აღორძინებას ხელს უშლიდა არა მარტო არსებული დახავსებული ფეოდალური წყობილება, არამედ მეფის თვითმკურნბელური პოლიტიკის ბატონობაც. მართალია, რუსეთთან შეერთების შემდეგ საქართველო სამეურნეო და კულტურული აღმავლობის გზას დაადგა, მაგრამ მეფის თვითმკურნბელური მჩაგვრელური პოლიტიკა, ისე როგორც რუსეთში, ასევე საქართველოშიც, ხელს უშლიდა ქვეყნის ეკონომიკურ და კულტუ-

რულ განვითარებას. საქართველოს წინამდებრი საქმეს ღიღად ბორკავდნენ ადგილობრივი ფეოდალები. ამით აიხსნება, რომ ქართველი ფეოდალებისა და თვითმპყრობელური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლა იმ დროის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა. ილია ჭავჭავაძისა და მისი ეპოქის სხვა მოწინავე ადამიანების მოღვაწეობა ამ ამოცანის გადაწყვეტას ემსახურებოდა.

მე-19 საუკუნის მიწურულამდე საქართველოში მოღვაწეობდა ქართველი ინტელიგენციის ორი სოციალ-პოლიტიკური წრე, ერთი (მეორე წრე) ქადაგება ბურუუაზიულ ნაციონალიზმსა და რესპუბლიკანიზმს, მხარს უჭერდა სამრეწველო ბანაკების, სასოფლო და საქალაქო კრედიტების, ვაჭრობის, რკინიგზებისა და მრეწველობის განვითარებას. ეს ჯგუფი ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებაში ხედავდა საქართველოს აღორძინებას შესაძლებლობას. იგი იღწვედა მეცნიერების, ტექნიკისა და საერთოდ კულტურის განვითარებისათვის. მისი მთავარი მიზანი იყო საქართველოს კაპიტალისტური გზით განვითარება.

ამ ჯგუფს ნ. ნიკოლაძესთან და ს. მესხთან ერთად გ. წერეთელი ხელმძღვანელობდა. გ. წერეთელი ამ ჯგუფის შესახებ წერდა: „ეს დასი (ჯგუფი, წრე.— ა. თ.) უარს ჰყოფდა, როგორც თავად-აზნაურობას, ისე დაბალი ხალხის განკერძოებით ყოფნას. მან წამოაყენა ნამდვილი ერი, რომელშიაც თანასწორი უფლებით შედიოდნენ ყველა წოდებები, არც ერთსაკენ სასწორს არ ხრიდა, ხოლო დემოკრატიული, წოდებათა განურჩევლად, საზოგადო წესწყობილება მიაჩნდა ასეთი ერის შესაფერისად“.

პირველი მიმღინარეობის (პირველი წრე) იდეური ბელადი ილია ჭავჭავაძე იყო.

ი. ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით ეს ჯგუფი იბრძოდა ძველი პატრიარქალურ-ბატონიური წყობილების. დამცველი იდეოლოგებისა და მეფის თვითმპყრობელური პოლიტიკის წინააღმდეგ.

ი. ჭავჭავაძე თავის მაღალმხატვრულ ქმნილებებში ქართველი გლეხების ინტერესებს გაძოხატავდა და ბატონ-ჭმობის გაუქმებას მოითხოვდა.

მაგრამ ი. ჭავჭავაძის ბრძოლა ფეოდალების წინააღმდეგ არ ყოფილი რადიკალური და შეურიგებელი. მართალია, ი. ჭავჭავაძე იღვწოდა საქართველოს კაპიტალისტური განვითარებისათვის, მაგრამ ამ საქმის განხორციელება მას სურდა უმტკივნეულოდ, ფეოდალების შემორიგების გზით.

თავის საპროგრამო ნაშრომში „ცხოვრება და კანონი“ (1877 წ.) ი. ჭავჭავაძე წერდა: „...არც ჩვენის სოფლის ეკონომიურს მდგომარეობაში და არც თვითმმართველობის საგანთა შორის არ არის მიზეზი კაცმა იფიქროს, რომ თავადაზნაურობა და გლეხობა ერთმანეთში ვერ მოთავსდებიან განუყოფელად“¹. „...ბრძოლას და შეხეთქებას წოდებათა შორის უფლების დასაპყრობად, გასავრცობად, რომელიც უვროპაში იყო და ეხლაც არ გათავებულა, და რომელიც უპირველესი მიზეზი იყო ერის წყობ-წყობად დაყოფისა, ჩვენში ადგილი არა ჰქონია“². „ჩვენში თავად-აზნაურობას დღევანდლამდე თითქმის მარტო ის უპირატესობა ჰქონდა, რომ მოყითხვის წიგნში ბრწყინვალებად იხსენიებოდა და გლეხი კი არა“³. „წოდებათა შორის უფლების ცილება ეკონომიურის თუ პოლიტიკურისა, ცილება — რომელიც უაღრესი მიზეზი იყო დაუძინებელის განხეთქილებისა სხვა ქვეყნებში, ჩვენში არ არსებობდა“⁴. „ერთის სიტყვით, ჩვენს ცხოვრებაში არის იმისთანა ფესვნი, რომელთა ზედაც შეიძლება ამოვიდეს სიკეთე ერთობისა და ყველასათვის სახეიროდ გაიშალოს“⁵.

ამგვარად, პირველი მიმდინარეობა ი. ჭავჭავაძის ხელშეძლვანელობით ფეოდალიზმის წინააღმდეგ რაღიკალურ

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. 8, გვ. 55. (ყველა ციტირება გაკეთებულია 1927-1928 წლებში „ქართული წიგნის“ მიერ გამოცემულიაზულებების მიხედვით. — ა. თ.).

² იქვე, გვ. 56.

³ იქვე, გვ. 58.

⁴ იქვე, გვ. 59.

⁵ იქვე, გვ. 61.

ბრძოლას არ აწარმოებდა. ილია ჭავჭავაძე ეპრძოლა ძველი პატრიარქალურ-ბატონყმური წესების დამცველ ფეოდალებს. რაც შეეხება იმ ფეოდალებს, რომლებიც შესძლებდნენ კაპიტალიზმთან შეგუებას და ამ გზით ისტორიულ წინსვლას, იგი ბრძოლას როდი უცხადებდა, არამედ მათი გულის მოგება სასურველ მოვლენად მიაჩნდა, რამდენადაც ეს, მისი აზრით, ეროვნული მთლიანობის სიმტკიცეს ხელს შეუწყობდა და ამ გზით თვითმპურობელური ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლას გააძლიერებდა.

მიუხედავად ამგვარი შემარიგებლური პოლიტიკისა, ილია ჭავჭავაძის ბრძოლა ფეოდალიზმის წინააღმდეგ მე-19 საუკუნის მიწურულამდე საერთოდ პროგრესულ მოვლენას წარმოადგენდა. მხოლოდ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ბოლოს შეიქმნა ისტორიული პირობები იმისათვის, რომ გამოაშკარავებულიყო მცდარობა ეროვნული მთლიანობის იდეის დაყენებისა კლასთა ბრძოლის იდეაზე მაღლა. მხოლოდ მე-19 საუკუნის მიწურულში ჩასახულმა რევოლუციურმა მარქსისტულმა მიმდინარეობამ ი. სტალინის, ა. წულუკიძის, ლ. კეცხოველისა და სხვათა მეთაურობით, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობასთან, დასახა ჭეშმარიტი რევოლუციური ბრძოლის გზა ქართველი ხალხის ეკონომიკური და პოლიტიკური აღორძინებისა და განვითარებისათვის.

ილია ჭავჭავაძე ბატონყმობის და თვითმპურობელობის წინააღმდეგ მებრძოლი იყო. იგი გამოდიოდა ძველი თავადაზნაურობის იდეოლოგიის წინააღმდეგ. ზრუნავდა საქართველოს ტექნიკური, სამეურნეო და კულტურული აღორძინებისათვის. ამიტომ იყო მისი მოღვაწეობა პროგრესული. ი. ბ. სტალინის თქმით; ი. ჭავჭავაძემ მემამულეთა და გლეხთა ფეოდალური ურთიერთობის შესახებ ისეთა ფურცლები მოგვცა, როგორიც არც ერთ ქართველ მწერალს არ მოუცია¹. გაზეთმა „პრავდამ“ კი ი. ჭავჭავაძე დაახასიათა

¹ იხ. ჟურნალი „მნათობი“, 1939 წ., № 12. გვ. 149.

როგორც „ბატონიყმობისა და თვითმპურობელობის წინააღმდეგ მგზებარე მებრძოლი“¹.

ილია ჭავჭავაძის სოციალურ-პოლიტიკური მოღვაწეობის პროგრესული ხასიათი ნათლად მუღავნდება მის ფილოსოფიურ და ესთეტიკურ შეხედულებებში. ეკონომიკურ და პოლიტიკურ სფეროში ფეოდალური წყობილების გაუქმებისათვის ბრძოლა პირდაპირ და უშუალოდ მოითხოვდა ამ წყობილების იდეოლოგიური შენობის ნგრევას. ილია ჭავჭავაძე ასეც იქცევა, იგი ებრძვის პატრიარქალურ-ბატონიყმური წყობილების დამცველ იდეოლოგიას.

რით და როგორ გამოისახა ილია ჭავჭავაძის ბრძოლა ფეოდალური წყობილების დამცველი იდეოლოგიის წრინააღმდეგ? ფეოდალური იდეოლოგიის განმაზოგადებელ და მთავარ ფორმებს ქრისტიანობა და იდეალისტური ფილოსოფია წარმოადგენდა. ილია ჭავჭავაძე თავის ფილოსოფიურ შეხედულებას უპირისპირებს როგორც ქრისტიანულ თეოლოგიას, ისე იდეალიზმს.

2. რელიგიისა და ლეგიტიმის გაზება

რელიგიის შესახებ საზოგადოდ, ქრისტიანულ სარწმუნოებაზე კი კერძოდ, როგორც ცნობილია, ორი ურთიერთ საწინააღმდეგო თვალსაზრისი არსებობს: ერთი — იდეალისტურ-თეოლოგიური, მეორე — მატერიალისტური.

თეოლოგიურ-იდეალისტური შეხედულებით ქრისტიანული რელიგია არის მოძღვრება ზებუნებრივი, აბსოლუტური, ჰეშმარიტი, კეთილი და მშვენიერი არსების — ღმერთის შესახებ. ამ თვალსაზრისის თანახმად, ღმერთი ქმნის ბუნებასა და ადამიანს; ადამიანის მიზანს ღვთაებრივი სიკეთის განხორციელება წარმოადგენს. ღვთაებრივი სიკეთის განხორციელების მიზნით ადამიანი უნდა შეურიგდეს თავის ხვედრს ამ ქვეყნად. ღმერთისადმი ვეღრება, თაყვანისცემა და ლოცვა უნდა იყოს მისი გზა ცხოვრებაში ბედ-

1 გაზ. „პრავდა“, 1937 წ., 12 სექტემბერი.

ნიერების მოპოვებისათვის. ადამიანის მორალური მოქმედების განმსაზღვრელ მიზეზს ღმერთი წარმოადგენს.

მატერიალისტური ფილოსოფიის გაგებით კი ღმერთი ბუნებისა და საზოგადოების მოვლენების ფანტასტიკური ანარეკლია ადამიანის თავში და მის შესახებ რწმენა ჩამორჩენილობისა და უვიცობის შედეგია.

ღმერთი ადამიანის არსების, ადამიანის განუხორციელებელი სურვილების გაკერპება¹.

მატერიალისტური გაგებით ადამიანის მორალური მოქმედების განმსაზღვრელია არა ღმერთი, რომლის არსებობის აღიარება უაზრობაა, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრება. ადამიანი თავის ბედნიერებას არა ვეღრებით, ლოცვითა და მოთმინებით აღწევს, არამედ შრომით, მოქმედებით, ბრძოლით.

ილია ჭავჭავაძის თვალსაზრისი რელიგიისა და ღმერთის შესახებ არა თეოლოგიურ-იდეალისტურია, არამედ მატერიალისტურია².

ილია ჭავჭავაძე ღმერთის წარმოშობის საკითხთან დაკავშირებით ამბობს: ღმერთი ამქვეყნიური მოვლენების ანარეკლია ადამიანის „ახლად ფეხადგმულ“, „უმეცნო“ გონებაშიო. „ძალნი სოფლის მპყრობელობისა, მზისა და ნათელის მომფენლობისა და სხვა ამისთანა მოვლენისა გაღმერთებულნი იყვნენ ყველა ერისაგან მთელს დედამიწის ზურგზედ. ჯერ მინამ მეცნიერება თავის უტყუარის მცნებით არ მიშველებია ადამიანს გაგებად ბუნების მოვლენისა, ყველა ეს ძალნი კაცის გონებისათვის მიუწვდომელნი და გამოუცვლელნი არიან“. „...ბუნების დიდნი მოვლენანი უმეცნო

1 ამასთან დაკავშირებით იხ. ლ. ფეიერბახ, თ. II, სტ. 393; კ. მარქს, კ კრитике ғეგელევსკიი ფილოსოფიი, ფრ. ენგელსი, ლ, ფოიერბახი. 1940 წ., გვ. 17, 18.

2 ი. ჭავჭავაძეს თავისი შეხედულება რელიგიისა და ღმერთის შესახებ გამოთქმული აქვს წერილებში: სიტყვა თქმული გაენათის მონასტერში (1896 წ.), ქართველი ერი და ლვაწლი წმინდა ნინოსი (1896 წ.), შობა მაცხოვარისა (1886 წ.), სააღდგომო (1886 წ.) ერასა და ასტორიის მეთერთმეტე წერილში (1883 წ.). იხ. ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 8, გვ. 347—364; ტ. 7, გვ. 119—125; ტ. 5, გვ. 114—133.

კაცისათვის გაუგებარნი არიან, მაშ რა ჰქონას ახლად ფეხ-ადგმულმა გონებამ კაცისამ, თუ მიზეზათ ყოველ ამისთანა მოვლენისა არ იწამოს რაღაც ყოვლად-შემძლებელი, უხილავი არსება და იმას არ მიაწეროს შექმნა და მოვლინება ყოველ იმისა, რას მიზეზი და სათავეც თითონ ვერ გამოუცვნია და ვერ მისწვდომია. აქედან არის წარმომდგარი ის, რომ უწინდელი დროების ერნი, და ეხლაც ველურნი, ყველა ამისთანა მოვლენის ასახსნელად ცალკე ღმერთსა ჰქონიან და ღმერთი ხომ ყოვლად-შემძლებელია”¹.

როგორც ვხედავთ, ილია ჭავჭავაძის აზრით, ღმერთი ბუნებისა და სოციალური ძალების ანარეკლია „უმეცნო“ და „ახლად ფეხადგმულ“ ადამიანის გონებაში და ამდენად, რეალურად არსებული არაა. ი. ჭავჭავაძე არა მარტო ბუნების ძალების გაპიროვნებაზე ლაპარაკობს, არამედ სოციალური ძალის, ადამიანის გაღმერთებაზეც მიუთიობს. ის წერს „მეცნიერება მოგვითხრობს „დიღის წინაპრის, ანუ გმირის და სხვა გამოჩენილის კაცის უმაღლესს ღმერთად გადაქცევასაც. ამ სახით, დღესაც მონგოლები ჩინგის-ყავნის ღმერთად ჰქონიან“². ეს პირდაპირი მითითებაა იმაზეც, რომ ქრისტიანული ღმერთი რეალური, აბსოლუტური არსება არა არის.

ი. ჭავჭავაძე, მართალია, ქრისტიანულ რელიგიის და-დებითად ახასიათებს, მაგრამ ეს გარემოება ქრისტიანობისა-თვის კუთვნილი ადგილის მინიჭებაა რელიგიათა განვითარების მწკრივში და სხვა არაფერი. ივი აღნიშნავს: „იშვა-იგი, ვინც გაჭირვებულსა და ძირით თხემამდე შერყეულ ქვეყანას მოაცალა ულმობელი „თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ“ და ამის მაგიერ შთაუდგა „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენიო“³. როგორც ცნობილია, ადრინდელი ქრისტიანობა, რომელიც „იოანეს გამოცხადებაშია“ ასახული, არ ცნობდა ნაციონალურ, კლასობრივ და-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 5, გვ. 129, 130.

² იქვე, გვ. 126.

³ ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 8, გვ. 356.

ჭრდებრივ შუღლს და ყველა ადამიანის ზანასწორობის დღეს ქადაგებდა. ერთი ქრისტიანი ავტორი, აღრინდელი, ქრისტიანობის არსებობის დროისა, წერდა: „არ არს ელინი, არც იუდაელი, არც წინადაცვეთილი, არც წინადაუცვეთელი, არც ბარბაროსი, არც სკვითო, არც მონა, არც თავისუფალი; არამედ ყველა და ყოველივეში ქრისტეა“¹.

ფრიდრიხ ენგელსი აღრინდელ ქრისტიანობას მუშათა სოციალიზმს ადარებდა, ის ამბობდა: „როგორც ქრისტიანობა, ისე მუშათა სოციალიზმი ქადაგებენ მონობისა და სიღატაკისაგან ხსნას მომავალში; ქრისტიანობა ამ ხსნას ეძებს მიღმურ ცხოვრებაში, სიკვდილის შემდეგ, ცაში, სოციალიზმი კი — ამ ქვეყანაზე, საზოგადოების გარდაქმნაში“². ქრისტიანობა რელიგიური შეგნების ვითარებაში მაღალი მოვლენა იყო.

ილია ჭავჭავაძე როგორც ფაქტს იმასაც აღნიშნავს, რომ ქართველი ხალხი თავის ისტორიულ წარსულში ქრისტიანული სარწმუნოების საფარქვეშ, გულზე ქრისტეს ჯვრითა და ხელში ხმლით იცავდა სამშობლოს. ბართაროსი მტრებისაგან³. შუა საუკუნეებში ერთადერთ გაბატონებულ იდეოლოგიას ქრისტიანობა წარმოადგენდა. მას ემორჩილებოდა და ეპისახურებოდა მეცნიერება, ხელოვნება და ფილოსოფია. ყოველი პროგრესული მოძრაობა ქრისტიანული რელიგიის საფარქვეშ მიმდინარეობდა. ილია აქ ფაქტს აღნიშნავს უბრალოდ, მისი მიზანი არაა ქრისტიანობის ქება-დიდება, საზოგადოებისათვის მისი საჭიროების აღიარება.

ილია ჭავჭავაძე ქრისტიანული რელიგიის მაღალ ღირსებას ნაციონალურ, დაბალ რელიგიურ შეგნებასთან შედარებით იმაში ხედავს, რომ ის მაშვრალთა, ტვირთმძიმეთა, მშიერ-მწყურვალთა, სნეულ-საპართა და პატიმართა რელი-

¹ იხ. Письмение к колоесиям, тл. III. стр. 11.

² ფ. ენგელსი, აღრინდელი ქრისტიანობის ისტორიისათვის.

³ მ. რქები და ფ. ენგელსი, თხზ., ტ. XVI, გვ. 409.

³ იხ. ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 8, გვ. 347.

გვაა¹. როგორც ზემოთ მოტანილ ენგელსის ციტატიდან ჩანს, აღრინდელი ქრისტიანობა მართლაც ასეთ ხასიათს ატარებდა. გაბატონებული ექსპლოატატორული ხასიათი ქრისტიანობამ პირველი საუკუნის ბოლოს და მეორე საუკუნის პირველ ნახევარში მიიღო. ილია ჭავჭავაძეს აქ მხედველობაში აქვს აღრინდელი ქრისტიანობა.

აღამიანის მოქმედების გაგებისა და შეფასების საკოხში ი. ჭავჭავაძე ქრისტიანობის საწინააღმდეგო თვალსაზრისს იცავს.

ქრისტიანობა აღამიანის წენას მიღმურ ცხოვრებაში, სიკვდილის შემდეგ ზეცაში ეძებს. ქრისტიანობისათვის წენის საშუალება ღმერთისადმი ლოცვა-ვეღრებაა და არა შრომა, არა ბუნებრივ და საზოგადოებრივ ხელშემშლელ, დამაბრკოლებელ და მჩაგვრელ ძალთა წინააღმდეგ ბრძოლა. ილია ჭავჭავაძე პირიქით ფიქრობს. ის მაშვრალთა და ტვართმებინეთა წენას ამ ქვეყნად ეძებს, ბედნიერების განხორციელება მხოლოდ შრომის გზით მიაჩნია შესაძლებლად. მასში გაბრიელ ეპისკოპოსის რელიგიური სიბრძნე ამ მხრივ „განცვიფრებას“ იწვევდა². ილია ჭავჭავაძე გაბრიელ ეპისკოპოსის „განსაცვიფრებელ რელიგიურ სიბრძნეს, მისი „გამეცნიერებული სარწმუნოების“ მაღალ ღირსებას, ხალხის ამქვეყნიური ცხოვრებისადმი სამსახურში და შრომის კულტის აღიარებაში ხედავდა. გაბრიელ ეპისკოპოსის რელიგიური მოძღვრების შესახებ ის ამბობდა: „რომ მარტო იგი ქება-დიდება შრომისა დაგვრჩენოდა, რომელიც მან გვიღალადა ერთს თავის დაუკიტყარ ქადაგებაში, და სხვა არა-არა, ისიც საკმაო იქნებოდა, რომ მისი სახელი ქვეყანას მოთენოდა და ჩვენც გვეგრძნო, რა დიდებული და ბრძენი მღვდელმთავარი დავკარგეთ“. „მე თითონ არ მინახავსო — ამბობს ის, — ხოლო გამიგონია სარწმუნო კაცოაგან, რომელ ერთს ძელად-ძველს უკლესიაში კედელზედ არის დახატული ყოვლად-წმიდა ღვთისმშობელი და მის წინ სძევს მატყლი. ხელში უჭირავს

1 იხ. ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 8, გვ. 347—357.

ტარი და ჰესოვს მატყლსა. ნეტამც ჩემის თვალით მენახაო“ — წნატრულობს ამ საუცხოვო ხატით აღტაცებული მღვდელთ-მთავარი: — „მაშინ მე გავიცნობდი მეორეს კერძოსა საღმრ-თოსა მისის ხასიათისასა და უდიდესსა პატივსა და კრძალ-ვასა მისდამი იგრძნობდა გული ჩემით! რა კარგი რამ იქნე-ბოდა, რომ ყოველსა ქალსა მარადის ჰეონდეს წინაშე თვალ-თა ისეთი ხატი ყოვლად-წმიდისა, რომ ერთს — კერძო მისისა იღვეს და შესცემოდეს მას სიყუარულის ღიმილითა ღვთაებ-რივი მისი ყრმა, ხოლო თვით ხელთ ეპყრას მატყლი და ტა-რი და სახე ზედა ღვთაებრივსა. გამოყვანილი იყოს ის ღვთაებ-რივი სიწმიდე, სიმშვიდე და სიყვარული, თვალთა შინა მისთა ბრწყინვიდეს ის უფსკრული გონიერებისა და კრძა-ლულებისა რომელი წარიტაცებენ კაცის გულსაო. ესრეთი ხატი იქნებოდა ჭეშმარიტი დროშა, ანუ სიმბოლო, ესე იგი ნიშანი ყოველის ქალის მოვალეობისა, ღირსებისა და მნიშვ-ნელობისაო“. „ბევრი რამ არის — დასძენს თვით ილია ჭავ-ჭავაძე — შრომისა და გარჯის გაპატიოსნებისათვის, მაგრავ ამისთანა ქებათა-ქება შრომისა შესაძლოა მხოლოდ იმისა-თვის, რომლის ბაგითაც თათონ ღმერთი მეტყველებსო“¹.

აღამიანი შრომით, გარჯა-ჭავით და არა ლოცვა-ვედრე-ბით ამაღლდება. „იღვაწე, — ამბობს ილია — „განათაღებული და გამეცნიერებული“ ქრისტიანობის შესახებ სხვა აღგილას — და ღვთის სისრულემდე შენც შეგიძლიან ახვიდე და მიაღწიო. ესოდენი განდიდება და აღმატება აღამიანის ღირსებისა ჭერ-მანამდე არა აღამიანს არ გაეგონა“².

ილია ამასთან დაკავშირებით სხვა აღგილას ამბობს: „თითონ ღმერთს მარტო თვითგამრჯელი, თვითმომქმედი, ხელგამომავალი კაცი უყვარს და ამისთანა კაცსა შველას, ამისთანა კაცსა წყალობს. ამა ქვეყნის სუფრაზე აღგილი აქვს მარტო იმას, ვინც დამყარებულია თავის საკუთარ მხეობა-ზე, თავის საკუთარ მარჯვენაზედ და ვინც... იბრძვის ამ წუთის სოფელში არსებობისა და საპატიო აღგილის დასაჭერად“³.

1 ი. ჭავჭავაძე, თხ. 7, გვ. 122,123.

2 ი. ჭავჭავაძე, თხ. 8, გვ. 335.

3 ი. ჭავჭავაძე, თხ. 9, გვ. 87.

გაბრიელ ეპისკოპოსის მოძღვრებაში ო. ჭავჭავაძეს იპყრობს არა მისტიკურ-რელიგიური მისწრაფება, არა საიქიოს, არამედ ამქვეყნიური ცხოვრებისათვის ზრუნვა: „კაცთათვის მსახურება, მსახურებაა ღვთისა...“¹.

ქრისტიანული რელიგია მისთვის არის არა სწავლება ბუნების მიღმა არსებული ყოვლისშემძლე ღმერთის შესახებ, არამედ მხოლოდ გამოთქმის ფორმა, ფრაზაა, რომლითაც ის აღნიშნავს მოძღვრებას მშიერთა, მაშვრალთა, ტვირთმძირეთა, სნეულთა, საპყართა და ტანჯულთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ გარჯისა და შრომის გზით. ერთ თავის ნაწარმოებში ილია ამბობს:

„ღმერთი არმობის,
ღმერთი ყალბობის
არ ურწმენია ჩვენსა თაობას;
ღმერთი მზაკვრობის
და თვალთმაქცობის,
ღმერთი უქმობის ფარუყვრა,
ღმერთი ხარბობის
და მძარცველობის
თქვენთა მსგავსთათვის მას დაუთმია.
ხოლო გვწამს ღმერთი,
უქმთა წარმწყმელი,
ტვირთმძიმეთა და მაშვრალთა მხსნელი,
ღმერთი ტანჯულთა,
ღმერთი ჩაგრულთა,
ღმერთი უძლურთა შემწყნარებელი;
ყოველთა ძმობის,
თანასწორობის
მოძღვრობისათვის ქვეყნად გვარცმული,
ძლიერთ დამბმელი,
უძლურთ ამხსნელი,
თქვენგვარ² კაცთაგან გმობილ-დევნილი“³.

ღმერთი, რომელზეც ილია თავის ამ ლექსში ლაპარაკობს, არ არის არც თეისტური და არც დეისტური რელიგიის ღმერთი. როგორც ცნობილია, თეიზმის თანახმად, ღმერთი არის

¹ ო. ჭავჭავაძე, თხ. ტ. 7, გვ. 122.

² იგულისხმება გაბატონებული ქლასი — ა. თ.

³ ო. ჭავჭავაძე, თხ. ტ. 1, გვ. 109.

პიროვნული, ერთადერთი, დამოუკიდებელი და თვითცნობიერი, „ცოცხალი“, ქვეყნისაგან განსხვავებული, ქვეყნის მიღმა არსებული, რომელმაც ქვეყანა შექმნა ან მარად მისი შექმნილია. დეიზმი კი „ნატურალისტური“ ან „გონებრივი“ რელიგიის აღიარებაა; მის თანახმად, მართალია, ღმერთი, ისე როგორც თეიზმი, ქვეყნის შექმნელი ან მისი პირველწყარო, მაგრამ არა მის მიმღინარე მოვლენებში გამოსახული და მონაწილე პირი. დეიზმის თანახმად, ღმერთი არ არის სასწაულთმოქმედი. ღმერთი ქვეყანაზე არ ცხადდება როგორც პირი, არამედ ქვეყანაზე თავის თავს ავლენს როგორც უპიროვნო კანონმდებლობა. დეისტები. თავისუფლად მოაზროვნები იყვნენ რელიგიური დოგმების გაგების საკითხში. მათ უკუაგდეს სასწაულთმოქმედი ღმერთი და ცდილობდნენ მოენახათ ყველასათვის გასაგები, გონებისათვის მისაწვდომი რელიგიური შეხედულება. ილია ჭავჭავაძის სიტყვა „ღმერთს“ არაფერი საერთო არა აქვს რელიგიასთან, ღმერთთან. რელიგიური გრძნობა, რომლის შესახებ ილია თავის პოეტურ თუ პუბლიცისტურ ნაწერებში. მოგვითხრობს, არ არის გრძნობა მიღმური, მეტაფიზიკური არსებისადმი, ღმერთისადმი, და არც საიქიო ცხოვრებისადმი სიყვარულია. ამ სიტყვით მას სურს მაღალგრძნობიერი, სათნო, ფაქიზი და მოწიწებითი დამოკიდებულება გამოხატოს „შრომისა და გარჯისადმი“.

ქრისტიანულ-რელიგიური მოძღვრების თანახმად, ადამიანის ბედნიერება და საბოლოო ხსნა ზეცაშია, საიქიოშია გადატანილი. ი. ჭავჭავაძე კი მხოლოდ სააქაო ბედნიერების განხორციელებას აღიარებს. ქრისტეს მოძღვრება მონობის, სილატაკისა და გაჭირვებისაგან ხსნის საშუალებად, მხოლოდ მოთმინებას, ლოცვასა და ვედრებას ცნობს. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს შრომაზე, ჭაფასა და გარჯაზე, როგორც იმ საშუალებებზე, რომელთა მეოხებით შესაძლებელია ბედნიერების მრღწევა. ქრისტიანული მოძღვრება ერთადერთ იმედსა და ხსნას მისტიკურ არსებაში, ღმერთში ხელავს. ი. ჭავჭავაძისათვის ხსნის ერთადერთი საშუალება მხოლოდ შრომაა.

ორთოდოქსალური ქრისტიანული მოძღვრების თანახმად, რელიგიური გრძნობა ზებუნებრივი, ზეალამიანური გრძნობაა, აღძრული ღვთაებრივი ზეშთაგონებით. ი. ჭავჭავაძის აზრით, რელიგიის ფესვი სოციალურია და მის საგანს აღამიანის გორების ფანტასტიკური გამოხატულება წარმოადგენს.

ილია ჭავჭავაძის ანტითეოლოგიურ და ანტიდეალისტურ შეხედულებას მისი ეთიკური მოძღვრების პრინციპებიც ნათელყოფენ.

თეისტურ-იდეალისტური შეხედულების თანახმად, როგორც ცნობილია, აღამიანის მოქმედების განსაზღვრა და შეფასება ღმერთისადმი დამოკიდებულების მიხედვით ხდება. თუ აღამიანი განდგომია ღმერთს და ისე მოქმედებს, — იგი ბოროტებას სჩადის. თუ აღამიანი ღმერთან ერთანანობაში მოქმედებს, — იგი კეთილად იქცევა. აღამიანის მოქმედების საზომი ღმერთია და არა საზოგადოებრივი ცხოვრების წარმატება-წინსვლა. ამქვეყნიური მოქმედების საზომი „იმქვეყნიური“ ცხოვრების მოლოდინია: ვისაციმ ქვეყნად ნეტარი ცხოვრება უნდა, ამ ქვეყნად კეთილმოქმედი უნდა იყოს; ჰისაც იმქვეყნიური მარადიული ტანჯვა-წამება არ აშინებს, მას შეუძლია ამ ქვეყნად ბოროტი იყოს. ბოროტებისა და სიკეთის ფესვები ზესოციალური და ზებუნებრივია.

თეისტები თავისი ეთიკური მოძღვრების საფუძვლად აღამიანის უკვდავ სულს მიიჩნევენ. საიქიო ცხოვრების მოლოდინი სხეულის დაშლისა და გახრწნის შემდეგ უკვდავი სულის აღიარებას ემყარება.

ილია ჭავჭავაძე თავისი ეთიკურ შეხედულებას პრინციპულად საწინააღმდეგო საფუძველზე აყრდნობს.

სულის უკვდავება, რომელიც აუცილებელი გზაა საიქიო ნეტარი ცხოვრების მისაღწევად, ილია ჭავჭავაძეს ცრუნთორწმუნებად მიაჩნია: „ყველა ერს, — ამბობს ის, — იმისთანა ხანა პქონია, როცა სიკვდილი გონებია ღრმებითი განსვენება, მიცვალება, მიბარება და არა სამუდამოდ მოკვდომა. ეს რწმენა აღამიანს დღევანდლამდე შერჩა, ხოლო სხვა საწითა¹.

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ., გრ. 5, გვ. 140, დ41. (ხეზე ჩემია ა. თ.)

თ. ჭავჭავაძის შეხედულება ციკვდილზე პრინციპულურ
განსხვავდება ქრისტიანულ-იდეალისტური შეხედულებისა-
გან. ქრისტიანისათვის სიკვდილი სამარადეამო, ღვთაებრივ
სამეფოში შესვლაა, სიკვდილის შემდეგ თუ აღამიანს აშ
ქვეყნად შესაფერისი დამსახურება აქვს, ცხოვრების დრამა
სრულდება და ღვთაებრივი ნეტარების გზა იწყება. ამიტომ
ქრისტიანი თავის უკანასკნელ დღეებს როდი დასტირის.
ი. ჭავჭავაძისათვის კი სიკვდილზე მწარე არაფერია. 1888
წლის პირველ იანვარს იგი წერს: „ძველი წელიწადი წავი-
და, და სასიცოცხლოდ მოთვლილ დღეთაგან თვითეულ
ჩვენგანს მოაკლდა მთელი სამას-სამოცდა-ხუთი დღე და
სამას-სამოცდა-ხუთის დღით ახლო მიუვედით იმ აუცილე-
ბელს სადგურს, საცა შესვლაა და გამოსვლა კი არა“¹. „დაბე-
რებიდან ერთი ფეხის გადადგმალაა სიკვდილამდე, და რაკი
იმაზე მიღება საქმე, შაშინ ყველასფერი მწარეა“². სიცო-
ცხლის წარმავლობის ასეთი გულისტკივილით დატირება
ჭეშმარიტმა ქრისტიანმა არ იცოდა, ეს ჭეშმარიტი მატერია-
ლისტის გულისტკივილია. სიცოცხლის წარმავლობის გამო
ასეთი ორმა გულისტკივილი იმან იცის, ვისაც სულის უკვ-
დავება ცრუ რწმენად მიაჩნია.

სულის უკვდავების უარყოფით ილა ჭავჭავაძე უარ-
ყოფს ეთიკის იდეალისტურ დაფუძნებასაც. მაგრამ მასთან
არა მარტო ამ შემოვლითი გზით ხდება ნათელი მატერიალის-
ტური თვალსაზრისი ეთიკის დაფუძნებაში; მას პირდაპირი მი-
თითებაც აქვს ეთიკის მატერიალისტურ პრინციპებზე და-
ფუძნებისათვის. ის ამბობს: „კეთილი და ბოროტი, ცოდვა
და მადლი მარტო აღამიანის გულისხმის საქმეა... აღამიანის
გარეთ ცოდვა და მადლი არ არის“³.

¹ ი. ჭავჭავაძე, თხ. 9, გვ. 238.

² იქვე, გვ. 241.

³ ი. ჭავჭავაძე, თხ. 7, გვ. 75.

სიკეთისა და ბოროტების აღამიანის გულისხმად აღიარება, ღვთაების სამყაროში ცოდვისა და მადლის ფესვების ძიების უარყოფა, ეთიკაში ღვთისმეტყველურ-იდეალის-ტური პრინციპის უკუგდებაა. ქრისტიანიზმის თანახმად აკრძალვანი — „კაცი არა ჰქოლა, არ იმრუშო, არა იპარო“ ღმერთის მიერ დადგენილია და აღამიანი, რომელსაც უნდა საიჭიო ნეტარებას ეზიაროს, მათ გვერდს ვერ აუქცევს.

ამრიგად, ილია ჭავჭავაძისათვის ღმერთი არ არის ზებუნებრივი რეალობა. ღმერთი მისთვის ბუნებისა და საზოგადოების მოვლენების ფანტასტიკური ანარეკლია აღამიანის უმეცარ შეგნებაში. (მისი შეხედულებით, ღმერთი კი არ ქმნის ბუნებასა და აღამიანს, არამედ, პირიქით, ბუნებაში წარმოშობილი აღამიანი ქმნის ღმერთს).

ანტიქრისტიანული და ანტიიდეალისტური თვალსაზრისის შესაბამისად ი. ჭავჭავაძე ათეისტური და მატერიალისტური ეთიკური მოძღვრების პრინციპებზე დგას.

გადავიდეთ მისი მსოფლმხედველობის დახასიათებაზე.

3. ილია ჭავჭავაძის გატერიალისტური თვალსაზრისი

ბუნება, ილია ჭავჭავაძის აზრით, არც მიღმა არსებული ღმერთის შენამოქმედია, როგორც ამას ქრისტიანული მოძღვრება ქაღაგებს, და არც აბსოლუტური იდეის „სხვადყოფასა“ და ხორციშესხმას წარმოადგენს, როგორც ამას იდეალისტები ამტკიცებენ. ილიას შეხედულებით, ბუნება და მისი კანონზომიერება ყველაფრის საბოლოო მიზეზია. ღმერთი ბუნების არსების, აღამიანის უმეცარი თავის ფანტასტიკური გამოხატულებაა. ბუნება უცხო, ზებუნებრივი ძალის გამო კი არ მოქმედებს, არამედ თავისი საკუთარი კანონზომიერების თანახმად მოძრაობს. ბუნებაში ყველაფერი გაკანონზომიერებული, აწყობილი და გაწესრიგებულია. ბუნების ასეთი სახე აღამიანში. წესისა და სიყვარულის გრძნობას ბადებს: „მიყვარს, ბუნებავ, — ამბობს. ილია,

შენი დაწყობილობა, რომლის მეოხებით ყოველი ღამე თეხ-დება სოლმე”¹.

ბუნება ყოველი ცოცხალი არსების, მათ შორის, აგრე-თვე აღამიანის შემოქმედია. ის აღამიანის არა მარტო შემოქ-მედია, არამედ მისი მასაზრდოებელიც არის. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ის აღამიანის სამლოცველო ტაძარი ან გან-ცხრომის ასპარეზია, სადაც აღამიანი საკუთარ გულისთვისა თვითდინებით უნდა მიჰყვეს და თავისი საარსებო პირობე-ბის შექმნისათვის არ იზრუნოს. ბუნება აღამიანისათვის მოსალხენად და მოსაწყობად გამიზნული ღვთაებრივი ქმნილება როდია! აღამიანი არ არის ბუნების მაღალი გა-მიზნული ქმნილება. აღამიანი ბუნების სტიქის ნაყოფია. ილია ამბობს: ბუნებაში „ყოველი საგანი თავის კვალობა-ზედ... მაღალია... პოლიპი... ისე ცხადად მოგვითხრობს ღვთის ძლიერებასა, როგორც მზე... ერთი მუჭა ლაფის ნა-წილთა დაკავშირება ისეთი საკვირველია, როგორც ვარდის მშვენიერების გამოცხადება. — არა, ბუნებაში ღმერთს არ შეუქმნია მაღალი და დაბალი საგანი, ყოველი საგანი მაღა-ლია თვის კვალობაზე”².

აღამიანის წინაპარი ცხოველი, ბუნების სტიქიური ძა-ლების ზემოქმედების შედეგად, გონების საფეხურს მიაღ-წივს, და ამის შემდეგ იწყება შეგნებული, გამიზნული მოქ-მედება საკუთარი ცხოვრების მოსაწყობად. ბუნება აღა-მიანს წარმოქმნისა და არსებობის საკმაო პირობებსაც მიუ-ჩენს, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ აღამიანი ბუნებაში პოვნილით კმაყოფილდება. აღამიანისათვის არსებული საკმაო არ არის; ამიტომ ის იწყებს საკუთარი ცხოვრების მოწყობას. ზრუნვა და მოქმედება ყოველი ცოცხალი არსე-ბისათვის აუცილებელია. მით უმეტეს აუცილებელია ის უფრო შეტის მდომელი და მომთხოვნელი აღამიანისათვის. ქვეყა-ნა ტაძარი კი არ არის, — ამბობს ილია ჭავჭავაძე ტურგე-ნევთან ერთად, — საცა კაცი უნდა ლოცულობდეს, არამედ

¹ ი. ჭავჭავაძე, თხ., ტ. II გვ. 20.

² ი. ჭავჭავაძე, თხ., ტ. 5, გვ. 370.

სახელოსნოა, საცა უნდა „ირჩებოდეს“ და მუშაობდეს¹. ადამიანის მთელი პრაქტიკული მოქმედება ბუნებაში იქით-კენ არის მიმართული, რომ გარემო ისე მოაწყოს, როგორც მას უნდა და მოუხდება. ბუნება იმ სახით, როგორადაც ის არის, ადამიანს არ აქმაყოფილებს. „ბუნებამ, — ამბობს ილია, — რაც უნდა სიმღიღრით მორთოს რომელიმე მხარე, ანუ ქვეყანა, რაც უნდა მრთელი ჰავა მისცეს ადამიანს სა-ცხოვრებლად და ნაყოფიერი მიწა საზრდოობისათვის; მაინ-ცა და მაინც ხალხთა კეთილდღეობას სხვა მხრითაც ხელის მოწყობა“ უნდა².

ილია ჭავჭავაძის პზრით, ის, რაც ბუნებრივ პირობებს უნდა დაემატოს ადამიანთა საკეთილდღეოდ და რამაც ბუ-ნება ადამიანის სასარგებლოდ უნდა მოაწყოს, სოციალური ურთიერთობაა, ადამიანის ადამიანობა თანაცხოვრების ნორ-მა და წესია. ადამიანთა ურთიერთ დამოკიდებულების წე-სიერი მოწყობა ბუნების ექსპლოატაციის აუცილებელ პი-რობას წარმოადგენს. წესიერ სოციალურ ურთიერთობაში მყოფი ადამიანი „დიდის შრომითა და ღვაწლით ართმევს ბუნებას იმ თითო ლუქმა პურს, რომელსაც აწვდის თვის ჯალაბს საზრდოობისათვის“³. ადამიანების ცხოვრება ბუნე-ბასთან ბრძოლაა. „ბედი რა არი? — ამბობს ილია, — ბედს თითონ კაცი ჰქმნის და არა ბედი კაცსა. ჩვენი თავის მტრე-ბი ჩვენ თითონ ვე ვართ, ამის ღვიარება ჩვენ გულს გვიძმა-რებს და ამიტომაც უველაფერს ბედს ვაბრალებთ“⁴.

„ისტორია, — ამბობს ი. ჭავჭავაძე ერთ მწერალთან ერ-თად, — ბრძოლაა ბუნებასთან, სიღარიბესთან, გონების სი-ბნელესთან, ღონემიხდილობასთან, მაშასადამე ჟოველგვარ შევიწროვებასთან, რომელსაც ადამიანი პირისპირ შეემ-თხვევა ხოლმე, როცა ისტორიის ასპარეზზე გამოდის“⁵.

¹ ი. ჭავჭავაძე, თხ., ტ. 10, გვ. 72.

² ი. ჭავჭავაძე, თხ., ტ. 8, გვ. 3.

³ იქვე.

⁴ ი. ჭავჭავაძე, თხ., ტ. 4, გვ. 379.

⁵ ი. ჭავჭავაძე, თხ., ტ. 8, გვ. 61.

ბუნების წინააღმდეგ ბრძოლა, არ ნიშნავს ბუნების კანონზომიერებილან ამოხტომას და თვითნებურად მოქმედებას, ბუნების წინააღმდეგ ბრძოლა ბუნებისავე კანონზომიერების ნიაღაგზე უნდა ხდებოდეს. ბუნების წინააღმდეგობის დაძლევა ბუნებისავე კანონზომიერების ცოდნის ნიაღაგზე უნდა წარმოებდეს. „არ უნდა, — ამბობს ო ჭავჭავაძე, — იმისთანის ნატვრა... რასაც თითონ ბუნება უარყოფს და არ გვითმობს“¹.

ბუნება არა მარტო შემოქმედებითი ძალის დაუშრეტელი წყაროა, არამედ მორალური იმედი და მეგობრული თანამგრძნობიც. „არიან აღამიანის ცხოვრებაში, — ამბობს ო ჭავჭავაძე, — ...წუთნი მარტოობისა, როცა ბუნებას შენ თითქო შენსან აგებინებ და იგი თავისას შენ გაგებინებს. ამიტომაც შეგიძლია თქვა, რომ მარტოობაში არსად მარტო არა ხარ“².

ბუნება და მისი კანონზომიერება ილიასათვის მორალური სისპეტაკისა და სამართლიანობის უმაღლესი ნიმუშიც არის: „მოწმად მომყავს, — ამბობს ის, — იმისთანაუტყუარი, იმისთანა დაუქრთამავი მოწმე, როგორიც ბუნებაა“³.

ღმერთი მექრთამეა, ღმერთს შესაწირავი და მსხვერპლის ჭირდება, ბუნება კი ქრისტიანისა და მსხვერპლს არ მოითხოვს. მისი უხვი, ლალი და ამოუწურავი წიაღი ყველასათვის თანაბრად გადაშლილია, ვისაც რა სურს, ის მიიღოს, ვისაც რა ენებება, ის მოიხმაროს, ოღონდ იჯაფოს და იშრომოს.

ილია ჭავჭავაძე თავისი მატერიალისტური თვალსაზრისის შესაბამისად ქმნის მატერიალისტურ ეთიკას. ქრისტიანულ-იდეალისტური ეთიკური თვალსაზრისის საწინააღმდეგოდ, ის აღამიანის სიცოცხლის საბოლოო მიზანს არა ამ ქვეყნად ზეციური ნეტარებისთვის მზადებაში და ზრუნვაში ხედავს, არამედ საქაო სალხინო და საამო ცხოვრების

¹ ო. ჭავჭავაძე, თხ. 9, გვ. 233.

² ო. ჭავჭავაძე, თხ. 2, გვ. 20.

³ ო. ჭავჭავაძე, თხ. 9, გვ. 207.

დამკვიდრებაში. ილიას შეხედულების თანახმად, ცხოვრებას ყოველგვარი აზრი დაეკარგებოდა, ამ ქვეყნად რომ ბედნიერების მიღწევა შეუძლებელი იყოს¹. ჭრისტიანული ეთიკის თანახმად კი ამქვეყნიური ცხოვრება მხოლოდ მოსამზადებელი საფრენია ზეციური ნეტარებისათვის; სააქაო ცხოვრება „სულისათვის ხორცის წამების“ ცხოვრებაა.

სიამოვნება და ლხენა ი. ჭავჭავაძეს ესმის არა როგორც უუფუნებით დატებობა და უქმი განცხრომა, არამედ როგორც ჯაფითა და შრომით მოპოვებული კეთილი და საამო ცხოვრება. სიამოვნება, ბედნიერება და ნეტარება მისთვის არის შრომით მოპოვებული წარმატება და კმაყოფილება. შრომა, ილია ჭავჭავაძის თვალსაზრისით, ადამიანის ამამალ-ლებელი, გამაკუთილშობილებელი და გამაბედნიერებულია. მაღალი ზნეობა იმაშია, რომ ადამიანმა ის მიუზღოს საზოგადოებას, რაც მას შეუძლია. „საქმე მაღალ ზნეობისა, — შებოძს ილია, — იმაშია, რომ ადამიანმა ის მოიტანოს წუთისსოფლის სუფრაზედ, რაცა აქვს. ვინც მართლად აღნიშნავს თავის მოსატანს და უკლებლად მოიტანს, მასზედ იჟმის, რომ იპოვა საგანი ცხოვრებისა და განახორციელა კიდეც². ასეთი მაღალი ზნეობრივი საქმე ილიასათვის შრომით მოპოვებული წარმატებაა.

ნინო ბაგრატიონის გარდაცვალების გამო დაწერილ ნეკროლოგში ილია მაღალ ზნეობრივ ღირებულებად შრომას თვლის. „იგი საქმე, იგი საგანი, რომელსაც დიდის გამარჩვებით და მხნეობით მოახმარა მან მთელი თავისი დაუღალავი სიცოცხლე, შრომაა“. მას საშუალება ჰქონდა „უქმს განცხრომაში გაეტარებინა თავისი სიცოცხლე, ყოველივე კეთილი ამა ქვეყნისა ეგემნა და დამტკბარიყო, როგორც ათასი ტკბებიან, კნეინა ნინომ... დასთმო ყოველივე ეს და იმ მოვალეობას, ღირსებას და მნიშვნელობას ჭეშმარიტის დედაკაცობისას შესწირა, შეაღია თავისი სიცოცხლე, რომელსაც იხსენიებს თავის ქადაგებაში გაბრიელ ეპისკოპოსი.

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 7, გვ. 95.

² იქვე, გვ. 152.

დასთმო ყოველივე ეს, წავიდა სოფელში და დღე და დამე
ათენა; გაასწორა შრომითა და მხერიბითა”¹.

ქრისტიანული იდეალისტური ეთიკა — ბოროტების,
ქურდობის, ყაჩალობისა და კაცისკვლის საფუძველს ურწმუ-
ნოებაში, ომერთისაგან განდგომაში ხედავს. საზოგადოებრივ
ცხოვრებაში ის არავითარ მიზანს არ პოულობს, არავითარ
გამამართლებელ პირობებს არ ცნობს. ილია ჭავჭავაძის ეთი-
კური თვალსაზრისის თანახმად კი კეთილი და ბოროტები მოქ-
ჰედების საფუძველი საზოგადოებრივი ცხოვრების ეკონო-
მიურ პირობებში უნდა ვეძიოთ. „რა თქმა უნდა, — აებობს
ის, — თავი და ბოლო ავყაცობისა, რომლის შეღეგი ძარცვა-
მტაცებლობაა, ეკონომიური ჭირბოროტი და გაჭირვება
არის, საზოგადოთ რომ ვთქვათ“². „საზოგადოთ ქურდობას
და ავყაცობის ძირეული მუდამი ბუდე... გაჭირვებაა, რომე-
ლიც კაი კაცობას ხელს უပრის და ავყაცობას აბედვინებს“³.

ილია ჭავჭავაძემ თავის პუბლიცისტურ თხზულებებში
გაბნეულ ფილოსოფიურ შეხედულებებს თავი მოუყარა და
მთლიანი ფილოსოფიური თვალსაზრისის. სახით მაღალ-
მხატვრულ პოემა „განდეგილში“ განასახიერა. პოემა „გან-
დეგილი“ ქრისტიანულ-იდეალისტურ და მატერიალისტურ
მსოფლმხედველობათა შორის ბრძოლის მაღალი მხატვრული
განსახიერებაა. ამ პოემაში აბსტრაქტული ფილოსოფიური
თვალსაზრისები ცოცხალი ადამიანების მორალურ პრინცი-
პებად და სიცოცხლის აზრად ქცეულან. პოემის მთავარი
გმირი განდეგილი ქრისტიანული მსოფლმხედველობის გან-
სახიერებაა, მშვენიერი ახალგაზრდა მწყემსი ქალი კი ბუნე-
ბის სიყვარულისა და ამქვეყნიური სიცოცხლისადმი ტრფო-
ბის მხატვრული სახეა.

„განდეგილში“ გამოყვანილი მწირის ფილოსოფიის თა-
ნახმად, ბუნება და ადამიანის სხეული სულის საპყრობილე
და ცოდვის საღგურია. აქ ბოროტება, გაიძერობა, ვერაგო-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხ., ტ. 7, გვ. 153.

² ი. ჭავჭავაძე, ტ. 8, გვ. 232.

³ იქვე, გვ. 239, 240.

ბა, ლალატი და ცდუნება მეფობს. სიმართლეს განსაცდელი-საგან გზის აქცევა არ შეუძლია. ქმა ქმის სისხლით ხარობს, სიყვარულზე მძულვარება იმარჯვებს. ნიჭი და მახვილგო-ნიერება ლალატსა და ცდუნებას ხმარდება, სიტურფე და სა-თნოება „ეშმაკის სახე და ცდუნებაა“.

პრინციპულად სხვაა ღვთაების სამყარო: აქ უკვდავება და ნეტარება მეფობს. შურსა და მტრობას არსად ადგილი არა აქვს, ყველგან ტრთობა სუფევს. უკვდავება, სიკეთე, მშვენიერება, განცხრომა და ნეტარება საიქიო ცხოვრებას ახასიათებს.

მაგრამ საიქიო ცხოვრებით დატყბობა წილად ხედებათ მხოლოდ იმათ, ვინც ხორცს დასთმობს სულისათვის. ხორც-სა და სულს შორის შეურიგებელი წინააღმდეგობაა: სხეუ-ლის განცხრომა სულის დაცემასა და წახდენას მოასწავებს; სულის ამაღლება და გაკეთილშობილება სხეულის წამებით მოიპოვება. ამიტომ, ვისაც სურს სამარადისო ნეტარი ცხოვ-რება, მან საიქიოსათვის ეს სააქაო უნდა დასთმოს: განდე-გილმა შეისრესხლხორცა ეს თვალსაზრისი და გადაწყვიტა განდგომოდა ამქვეყნიურ ცხოვრებას. იგი მონახავს ბუნების ისეთ კუთხეს, რომელსაც

„ორბი, არწივნი ვერ შეჰებიან,
სად წვიმა-თოვლინი ყინულად ქმნილნი,
მზისგან აროდეს არა ღნებიან,
სად უდაბურსა მას შეუდროებას
კაც ერიამული ვერ შესწვდენია,
სად მეუფება ჭექა-ჭუხილსა,
ყინულს და ქართა მხოლოდ ჰშთენია“, —

განდეგილი ამ ადგილას აგებულ ტაძარში ბერად შედ-გება. ამით ის გარეგნულად გაემიჯნება ბუნებისა და ამ-ქვეყნიური ცხოვრების მიმზიდველსა და სანუკვარ მხარეებს. ამის შემდეგ მასში იწყება შინაგანი, მორალური განდგომა ცხოვრებისაგან. იგი მთელ თავის სიცოცხლეს აქ ლოცვა-კედრებაში ატარებს. მას

„განუდევნია გულიღამ ყველა
მსოფლიო ზრახვა, ფიქრი, წადილი
რათა წარუდგეს უფლისა მსჯავრსა
სულით განწენდილ და განბანილი.

დღე-და-ღამ ლოცვით, გოდებით, გვემით
ხორცი სულისთვის უწამებია“,

რადგან იცის, რომ

„ყველაზე უფრო სული ტკბილია,
იგი ტყვე არის წუთის-სოფლისა
და ეგ ყოველი შის ბორგილია“.

ბუნების მიუვალ, უკაცრიელ მხარეში და სამონასტრო
ცხოვრების პირობებში მყოფი განდეგილი დაივაწყებს
შშობლებს, ნათესავებს, მეგობრებს, ცხოვრების ყოველგვარ
სიტყბო-სიამეს და მთელ დღეებს ლოცვა-ვეღრებაში ატა-
რებს; საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველდღიური მოქმე-
დებიდან გახილულ თავის სულს საზრდოდ მხოლოდ მისტი-
კური სამყაროს სახეებს აწვდის. მარხვით დასუსტებული
და დატანჯული სხეული ამქვეყნიურ ვნებათა უინისაგან თი-
თქოს დაიცლება და მისი სული კიდევ უფრო მეტად აენთე-
ბა მისტიკური სამყაროს ხილვის წყურვილით. ლოცვით და
მარხვით დაუძლურებული განდეგილი მრავალგზის ტანჯულ-
შამებულ წმინდანს დაემსგავსება, მისი სული თოთქოს გან-
თავისუფლდება ამქვეყნიურ სიტყბოებათა ტყვეობისაგან და
საიქიოს შეეხიზნება. პოეტი ამბობს:

„სახე გამხდარი, კუშტი და მწყრალი
სიწმინდის მაღლით დაწვენებოდა,
და მაღალს შუბლსა, ნაოჭად შექრულს,
შარავანდედი გადაჭვენდა.
მისთა მცხრალ თვალთა ორმა მეტყველება
ესოდენ იყო წყნარი და ტკბილი,
თითქო მათშიგან ჩასახებულა
თვით სათნოება, კლემით მოსილი;
თითქო წელისა სიხარულითა
სამოთხის ლია კარს შეჰქარიან
და სულთან ერთად უფლისა მიმართ
სასოებითა მიისწრაფიან“.

ნიშნად სულის ამაღლებისა და განწმენდისა, ღმერთი
შას სასწაულებრივ მზის სხივს მოუვლენს. მზის სხივი საკან-
ში ყოველდღე ბრწყინვალე სვეტად ჩაეშვებოდა და მწირის-
ლოცვანს „უფლის ბრძანებით ზედ შეირჩენდა“. „ეგრე ვი-
ღოდნენ დღენი და წელნი, ეგრე იგი უბიწოდ სცხოვრობდა...“.

განდეგილმა ამქვეყნიური ცხოვრების მიმზიდველობა

და სიამენი დაივიწყა. მისი სული მისტიკური სამყაროს სი-
ყვარულში ჩაიძირა და ამქვეყნიური სურვილები თითქოს
სძლია. მაგრამ სწორედ მაშინ, როდესაც ის თავს იმ ქვეყა-
ნაში შეხიზნულად გრძნობდა და ამქვეყნიური თითქოს არა-
ფერი უნდოდა, ცხოვრების სტიქია ყველაზე მძლე და მიმ-
ზიდველი სახით შეიქრება მის მიმჭრალ სხეულში და საი-
კიოში შეხიზნულ, მის თითქოს ამაღლებულ სულს საჯაო-
საკენ მოაბრუნებს.

განდეგილს ამქვეყნიური ცხოვრება მშვენიერი მწყემსი
ქალის სახით წარმოუდგება. მიუვალი მყინვარის მწვერვა-
ლის კალთებზე მშვენიერი გოგონა ცხვრის ფარას აძოვებდა..
საშინელი ქარიშხალი ატყდა და მან, თავი რომ გადაერჩინა,
მწირის საკანს მიაშურა. მწირს ეოცა ასეთ საშინელ ამინდ-
ში ადამიანის სტუმრობა, გაიფიქრა, ალბათ მაცდურია, ჩანს,
ღმერთს სწადია, მწირი ცოდვილი დღეს გამომცადოსო. მან
მწყემსი ქალი მიიღო, როგორც „ძე კაცი“. მაგრამ როდესაც
სტუმარი საკანში შევიდა და ხმა ამოიღო, „მწირს ხმა ეო-
ცა“: „ქალის ხმას ჰგვანდა“ და ის შეშინდა „ამა ხმისაგან“.

სტუმარმა ცეცხლის დანთება სთხოვა. როდესაც ცეც-
ლი აინთო და

„სტუმარს იქ მჯდომელს ზედ მიეფინა,
გასაოცარი რაღაც შვენება,
განდეგილს თვალწინ წარმოუდგინა;
ყმაწვილი ქალი, სავსე სიცოცხლით
სავსე შვენების ჭადოთი, გრძნობით,
ნაზად, ამაყად ცეცხლა-პირს იჯდა,
ვით მინდვრის შველი ყელმოლერებით.

თვით მადლს ტრფობისას რომ მოესურვოს
ჩორცსხმულად ვლენა ოდესშე ქვეყნად,
უკეთესს სახეს ვერ ინატრებდა
თაღის სიცოცხლის გამომსხველად.
მაშინაც ვინ სთქვას, — ვინ ვის ამშვენებს;
მადლი ამ სახეს, თუ სახე მადლსა!..
თვით შური, მტრობა ვერ უპოვიდა
ქაღლს მშვენიერსა ვერაფერს ნაკლსა“.

მწყემსი ქალი თავისი გარეგნობით, სულიერი განწყობილებითა და მსოფლმხედველობით განდეგილის სრულს კონტრასტს წარმოადგენს. იგი სიცოცხლით სავსე და ვნებებით ანთებულია, ბუნებით სუნთქავს და ბუნებას შესტრიფის. მას იტაცებს ლამაზი სალამო, ჩამავალი მზის მშვენება და ამომავალის ბრწყინვალება. მწირი ბუნებას გაურბის, მწყემსი ქალი კი ბუნებას შესტრიფის. მწირი განუდგა საზოგადოებას, ნათესავებს, მეგობრებს, ნაცნობებს, ცხოვრების ყოველდღიურ საქმიანობასა და მისწრაფებას. მწყემს ქალს. მწირის განდგომა აკვირვებს და ეკითხება მას: განა ქვეყნად შენ არავინ გყავს, ან ძმა, ანუ და, ან ნათესავი? იგი განცვით-რებული კითხულობს:

„... ღმერთს რაში უნდა
ამ ყინულებში ყოფნა კაცისა?
....იქ ყოფნა რას არგებს სულსა?
განა სწყინს ღმერთს, რომ კაცი შეპხარის
ქვეყანას, ღვთითვე დაბადებულსა?
... ნეტა მაშ რისთვის მორთო
და და და და ლამაზად წუთის-სოფელი?
განა მისთვის, რომ ადამიანმა
შეიჩვენოს და აიღოს ხელი?
ყველაფერს უნდა გამოვეთხოვო,
ჩემს ტოლს და სწორსა, ლხინს და სიხარულს?!
ღმერთო, ნუ მიწყენ... ვერ ვიზამ მაგას!
იღრე და შალე ვერ მოვიყლავ გულს!..“

მწყემსი ქალისთვის ლამაზად მორთული ქვეყანა ადამიანის კეთილდღეობისა და სიამის წყაროა; ნათესავები, მეგობრები და ნაცნობები სიხარულისა და სიტყბოების დამამკვიდრებელია ადამიანის სულში.

განდეგილი ყოველივე ამას, როგორც ცოდვისა და ბოროტების გარემოს, გაექცა; იგი ღმერთს შეეხიზნა და მასთან ინტიმური განწყობილება დაამყარა. მწყემად ქალისათვის ბუნება მეგობარია, წუთისოფელი ტკბილია, აქ ყველაფერში სიცოცხლე და მოძრაობა ჩქეფს, ყველგან ლხინი და სიხარულია. უწუთისოფლოდ, ადამიანების, მეგობრების, ნათესავების გარეშე მხოლოდ დარღი და ჭავრი მეფობს.

მწყემსი ქალი ამქვეყნიური სიცოცხლისადმა სიყვარულს განსაზიერებაა. მისტიკური სამყარო, განდეგილის სანუკვარი სასუფეველი ამ მშვენიერი ქალისათვას სიკვდილი, მარტოობა, დარღი, ნაღველი, სიმწარე, ჭირი და არარაობაა.

მწყემსი ქალი ეკითხება მწირს:

„ან შენ როგორ სძლებ უწუთისოფლოდ!
მერე იცი კა რა-რიგ ტკბილია!
აქ სიკვდილია, იქ კი სიცოცხლე,
აქ ჭირია და იქ კი ლაპინია.
ნუთუ თვისტომი, ტოლი და სწორი
ყველა გულიდამ ამოგილია?
ნუთუ ნაღველი, დარღი და ჯავრი
თან არავცი წამოგილია,
არ გაგონდება არც მამა, დედა,
ან მმა, ანუ და, ან სახლი, კარი?
ნუთუ მის-დღეში არა გყოლია
მოკეთე, გულის შემატებიგარი?!

როგორ მოშორდი?...“

ნუთუ ადამიანის ხსნისათვის სხვა გზა არ არსებობს? — ეკითხება მწირს სასოწარკვეთილი. მწყემსი ქალი.

განდეგილი ვერ გაუძლებს წუთისოფლის სიცოცხლის ძალის ყველაზე ძლიერი განსაზიერების შემოტევას და ღრმა გულისტკივილით წამოცდება:

„ხსნა ყველგან არის... ხოლო გზა ხსნისა
ესეთი მერგო შე... უბედურისა...“

ამ სიტყვის თქმაზე მწირს გულს ელდა ეცა, მაშინ მიხვდა, რომ მან ღმერთს შესჩივლა და გულისტკენით სამღურავი გამოუცხადა. განდეგილში საშინელი სულიერი ბრძოლა დაიწყება. მასში შეურიგებლად იბრძვის, ორი მსოფლიხელველობა, ორი მორალური საწყისი: ქრისტიანულ-მისტიკური და მატერიალისტურ-რეალისტური.

განდეგილმა, როგორც ქრისტიანმა მისტიკოსმა, თითქოს დასძლია საწუთროებას, განუდგა მას და ღვთის ტაძარში ჰპოვა სულის, მშვიდობა და მყუდროება. მან თითქოს მოჰკლა ხორცი, გულისთქმა, ვნება, თავის სულს თითქოს სიწმინდე, წეტარება და უკვდავება. დაუმკვადრა: ის თითქოს ამ-

ქვეყნიურ სიამეთა მიმზიდველობაზე, წარმატებაზე, ჭირ-ვარამზე თავს ამაღლებულად გრძნობდა და ეს მას ახარებდა.

ღვთისადმი წამოცდენილმა სამღურავმა განდეგილი თავის გადაწყვეტილებაში და მორალურ სიმტკიცეში დააეჭვა. მან თავისი სისუსტის მიზეზის ძებნა დაიწყო, მიმოახედა:

„არავინ იყო... ხოლო ცეცხლა-პირს
ქალს დაღალულსა მისძინებოდა,
და ცეცხლის შუქი მის ტურფა სახეს,
ვით საყვარელსა, ზედ დაპხაროდა.
საოცარ იყო მიძინებული
იგი სიტურფე იგი შვენება!...
თითქოს მის შექმნას ერთად ცდოლანო
თვით სიყვარული და ნეტარება.
თითქოს თვით მაღლსა შვენებისასა
თვისი საუნჯე აქ დაპბნევია
და ეშხსა, ვითა იაღონს ვარდზედ,
სული მის ღაწვზედ დაულევია“.

განდეგილს ამ საშინელი მორალური ბრძოლის მომენტში კვლავ წინაღუდება ცხოვრება თავისი ყველაზე ძლიერი და მიმზიდველი მშვენიერებით. ქალმა განდეგილს აღშფოთებული სული დაუცხრო, იგი კვლავ ქალის მშვენებამ შეიპყრო, მასში იმ წამსვე კვლავ ბრძოლა და ძრწოლა დაიწყო. მაგრამ ეს ძრწოლა უკვე სხვა იყო:

„ეხლა მძს გული თითქოს ებანს სცემს
და ისმის ჩუმი ებნის სიმთ უღერა“.

მას ვერ გამოუცვნია ეს გულის ძეერა, მან არ იცის

„როგორ იწამოს და რა დაარქვას
ამ ჯერ არ-ცნობილს სიტკბოებასა?
თუ ცოდვა არის, ეგრე რადა პგავს
სულისთვის ალთქმულ უკვდავებასა?“

ის, რასაც განდეგილი საიქიოში ეძებდა და ჯერ ვერ მიეღწია, აქ რეალურად წინ. წარმოუდგა. საიქიო სააქაოში ახილა. საიქიოში სულისთვის ალთქმული უკვდავება სააქაოში წინ დაესახა. მშვენიერი მწყემსი ქალი სულის უკვდავებაზე მაღალი აღმოჩნდა. მარადისობა მშვენიერების წამიერ

რებას დაემთხვა. განდეგილმა გადაწყვიტა უკვდავება მშვენიერი ქალის ერთ ამბორში გაეცვალა, და:

„ფეხი წინ წადგა... არ იცის კი რად?
ქალს ქვლავ ეძინა ნეტარის ძილით,
ძილში ჩაყოლილს ფიქრს, თუ ოცნებას
ბაგე გაეპო ლალის ღიმილით.
იმა ღიმილის გრძნეული ჭალ
ზედ დასაკლომად კოცნას იწვევდა
და იმა წვევის მაცდურებასა
ზე-აჩსთა ძალიც ვერ გაუძლებდა...
და ვერ გაუძლო საწყალმა მწირმაც...
და დაიხარა თავი თუ არა,
უცებ გაშეშდა... ეჲა, წაწყმედავ,
ეს რა სურვილი გულს გაიტარა!“...

ამით დასრულდა განდეგილის ტრაგიკული მარცხი. მასში ქრისტიანულ-მისტიკური და ასკეტური რწმენა ამქვეყნიურ-მა წუთიერმა ნეტარებამ სძლია, ქრისტიანულ-მისტიკურ მარადისობაზე ამქვეყნიური ცხოვრების წამიერმა ნეტარებამ გაიმარჯვა. ამის ნიშნად ბუნებამ შინაგანი გულისხმის სახით ჩასძახა მას: „დაგძლიე თუ არ!...“ მაგრამ განდეგილს ჭერ კიდევ იმედი არ დაუკარგავს. იგი ცოდვის მონანიებას ფიქრობს, ღვთისმშობლის ხატის წინ საველრებლად პირქვე დაემხობა, მაგრამ ამაოდ. ისევ ქენჭნა, ძრწოლა, შიშიდა ზარი ჩადენილი ცოდვისა გამო. „ზე აიხედა... დედა-ღვთის ხატსა მავედრებელი შეჰმართა თვალი“, მაგრამ ვაი რომ „ღვთისმშობლის ნაცვლად, თვალ-წინ დაუდგა იგივე ქალი!“

„პირჭვარი უნდა — ხელი არ ერჩის,
ლოცვის თქმა უნდა — ენა ებმება,
ხატის ხილვა სწყურს და იგივ... იგივ...
ქალი წყეული თვალთ ელანდება!
„აბა სძლიეო!...“ და კვლავ ვიღუპამ
გაიხარხა იმის სენაკში...
აწ იმა ხარხარს ვეღარ გაუძლო
და როგორც გიფი გავარდა კარში!“

განდეგილი შეშლილივით თმაბურძგნილი დარბოდა ძლდეებში და თუ სასიკვდილოდ არ გადიჩეხა, მხოლოდ იმი-ომ, რომ თავის სენაკში უკანასკნელი იმედი, მზის სხვევის

სვეტი უნდოდა ეხილა. მზე ამოვიდა სხივიც დაეშვა, მაგრამ ლოცვანი არ დაიჭირა. იგი დარწმუნდა, ჩომ განწირულია:

„დაესხა რეტი, თვალთ დაუბნელდა,
გაშრა, გაშეშდა ზარდაცემული,
ერთი საშინლად შეპბლავლა ღმერთსა
და იქავ სხივ-ქვეშ უტევა სული“.

განდეგწლი ქრისტიანულ-იდეალისტური მსოფლმწედ-
ელობით განიმსჭვალა. თითქოს მის არსებად და სიცოცხ-
ლის აზრად ქრისტიანული მორალი იქცა. ამქვეყნიური სი-
ცოცხლის აზრი და მორალური პრინციპი თითქოს გაქრა,
მაგრამ ნამდვილად ეს ასე არ იყო: იგი მიძინებული იყო
მხოლოდ.

ამიტომ, როდესაც განდეგილი თითქოს თავს ღვთაებ-
რივი სამეფოს. ნეტარებაში გრძნობდა, სწორედ ამ დროს მას
წინ წარმოუდგა ამქვეყნიური სიცოცხლის მორალური საწყი-
სი ყველაზე ძლიერი სახით, მშვენიერი ქალის სახით, და ის
დამარცხდა.

განდეგილის სიკვდილი, ერთი მხრივ, ქრისტიანული მო-
რალის სიცოცხლის აზრად ქცევის გამომხატველია, ხოლო,
მეორე მხრივ, ქრისტიანული მორალის განაღვურების მომას-
წავებელი. განდეგილი უნდა შეშლილიყო და დაღუპულიყო,
რაღაც ის, რაც მან სიცოცხლის აზრად აქცია — ქრისტიანუ-
ლი მორალი — მოკვდა. მესამე მხრივ, განდეგილის სიკვდილი
სიცოცხლის სტიქიის უძლეველობისა და სიღიადის მაჩვენებე-
ლია. სიცოცხლის სტიქია უფრო ძლიერი აღმოჩნდება, ვიდრე
საიქიო, მარადი, ღვთაებრივი ნეტარება. სიცოცხლის წყურვი-
ლი არა მარტო საიქიო მარადიულ ნეტარებაზე ძლიერია, იგი
ყოველგვარ ამქვეყნიურ ტანჯვა-წამებაზე ძლიერიც არის.
სიცოცხლის სტიქია უძლებს ამქვეყნიურ უძლიერეს ტანჯვა-
წამებას. მაშინაც კი, როდესაც აღამიანი შეგნებულად გადა-
წყვეტს თავგანწირვას რაიმე საქმისათვის, ის მაშინაც სი-
ცოცხლისათვის იბრძვის. საგმირო საქმისათვის თავგანწირვა
ყველაზე მაღალი და ძლიერი ბრძოლაა მარადიული სი-
ცოცხლის დამკვიდრებისათვის. გმირს სწყურია ინტენსური
და მაღალი სიცოცხლის განცდა და ამიტომ მიღის თავგან-

წორვაზე. საგმირო საქმისათვის თავის გაწირვა ამაღლებული სიცოცხლის განცდის ძიებაა.

ამქვეყნიური სიცოცხლის წყურვილი იმქვეყნიური მარადიული ნეტარების რწმენაზე ძლიერი აღმოჩნდა.

ჭრისტიანული მორალიკპრინციპი ყალბია. სიმართლე მატერიალისტური მორალის პრინციპების მხარეზეა. იდეალიზმი მცდარი მსოფლმხედველობაა. ჭეშმარიტებას მატერიალისტური მსოფლმხედველობა შეიცავს. ასეთია ილია ჭავჭავაძის მაღალმხატვრული პოემის „განდეგილის“ დასკვნა. ამგვარად, ილია ჭავჭავაძე მხატვრულადც ამართლებს მატერიალისტურ მსოფლმხედველობას.

ილია ჭავჭავაძის ნააზრევში ბუნების მატერიალისტური ახსნა არავითარ ეჭვს არ ჰბადებს, მისი თვალსაზრისი მატერიალისტურია. მაგრამ მისი მატერიალიზმი მეტაფიზიკური როდია. დიდი რუსი მატერიალისტების — ბელინსკის, გერცენის, ჩერნიშევსკის, დობროლუბოვის — გავლენით ის გასცდა მეტაფიზიკური მატერიალიზმის საზღვრებს და უშუალოდ მიადგა დიალექტიკურ მატერიალიზმს. დიდი ლენინის მიერ გერცენის ის დახასიათება, რომ „გერცენი უშუალოდ მიადგა დიალექტიკურ მატერიალიზმს...“, რომელიც სავსებით სამართლიანად ვრცელდება დიდ რუს მატერიალისტებზე, ასევე მთლიანად და სავსებით უნდა გავრცელდეს ილია ჭავჭავაძეზეც¹.

ილია ჭავჭავაძის ფილოსოფიური მეთოდის თანახმად, სინამდვილეში — ბუნებაში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში და აზროვნებაში — ყოველი მოძრაობს, ყოველი ოცვლება და განვითარების კანონს ემორჩილება. „მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი“, — ამბობს ილია ჭავჭავაძე².

მოძრაობისა და განვითარების მიზეზი შინაგანი წინააღმდეგობაა. ბუნების ყოველგვარი და ყოველი სფეროს — არაორგანულის, ორგანულის, ცნობიერების — მოძრაობა, ცვლი-

¹ კერძოდ, თუ რა მდგომარეობა გვაქვს ისტორიული მატერიალიზმის მიმართ, ამაზე ქვემოთ.

² ი. ჭავჭავაძე, თხ., ტ. 2, გვ. 19.

ლება და განვითარება შინაგანი ბრძოლის, შინაგანი წინააღმდეგობის გამოხატულებაა. „აზრთა მოძრაობაში, როგორც ყველაფერში ქვეყანაზე, — წერს ო. ჭავჭავაძე, — ერთი მეორეს ადგილს არ უთმობს უომრად, უბრძოლველად“ მთელი ისტორია კაცობრიობისა ყოველგვარს სფეროში, საცა კი ადამიანს წარმატების ძლევამოსილობა მიუძღვის და არ მიუძღვის, სხვა არა არის რა, გარდა გაუთავებელი ჭიდილისა „პოსა და არას“ შორის“¹.

შინაგანი წინააღმდეგობა, ბრძოლა აზრისა და არსის საერთო კანონია. შინაგანი წინააღმდეგობა და ბრძოლა განსაზღვრავს როგორც არსის მოძრაობასა და განვითარებას, ისე ჩვენი აზროვნების პროცესსაც. „რა საგანსაც, რა მოვლენასაც-კი... გულში ჩახედავთ, დაინახავთ, რომ პო-არაობის ჭიდილსა და ქარცეცხლშია გამოტარებული“².

შინაგანი წინააღმდეგობისა და ბრძოლის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ჭეშმარიტების მიღწევა, ის ერთადერთი გზაა ჭეშმარიტებისაკენ: „...პოსა და არას ჭიდილია,—ამბობს ილია, — ერთადერთი გზა ჭეშმარიტების აღმოჩენისა“³.

შინაგანი წინააღმდეგობა, ბრძოლა და დაპირისპირება არა მარტო ჩვენი თეორიული საქმიანობის ერთადერთი გზაა, არამედ ჩვენი პრაქტიკული მოღვაწეობისთვისაც ერთადერთ ჭეშმარიტ გზას წარმოადგენს. „ყოველი ჭეშმარიტება, ყოველი საქმე კაცობრიობას ...ამ პოსა და არას ჭიდილით მოუპოვებია. ჭეშმარიტების აღმოჩენას, საქმეს ცხოვრების ასე თუ ისე განწყობისას და გარიგებისას, სხვა გზა არა აქვს ამ ერთადერთი გზის მეტი“⁴.

ილია ჭავჭავაძის ფილოსოფიური მეთოდისა და ფილოსოფიური შეხედულების თანახმად, შინაგანი ბრძოლა, წინააღმდეგობა, მოძრაობა და განვითარება ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების ცხოველმყოფელი ძალაა, სიცოცხლის წყაროა. წინააღმდეგობის გარეშე, ბრძოლისა და დაპირის-

¹ ო. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 9, გვ. 68. 103.

² ექვ. გვ. 104.

³ ექვ.

⁴ ექვ., გვ. 103.

პირების მიღმა სიკვდილია. „ნეტავი შენ, თერგოვ ძმითი ხარ კარგი, — ამბობს ილია, — რომ მოუსვენარი ხარ. აბაპატარა ხანს დადეგ, თუ მყრალ გუბედ არ გარდაიქცე და ეგ შენი საშიშარი ხმაურობა ბაყაყების ყიყინზედ არ შეგეც ვალოს“¹.

ილია ჭავჭავაძის ფილოსოფიის თანახმად, ადამიანის არსებობის აზრი განვითარებაშია, წარმატებაშია, გაღვიძებულ და ბობოქარ ცხოვრებაშია. ამაღლებული ცხოვრება მხოლოდ დაუდეგარ მოქმედებაში, მაღალ განცდებსა და შეუჩერებელ წარმატებაშია. „არ მიყვარს მყინვარი, — ამბობს ილია, — იმისათვის, რომ ის ცივია: ქვეყნის ყაყანი, ქვეყნის ქარიშხალი, ქროლვა, ქვეყნის ავ-კარგი მის მაღალს შუბლზედ ერთ ძარღვსაც არ აატოკებს... დალოცა ღმერთმა ისევ თავზედ ხელა ღებული, გიურ, გადარეული, შეუპოვარი და დაუმონავი მღვრიე თერგი. შავის კლდის გულიდამ გაღმომსკდარი მოდის და მობლავის და აბლავლებს თავის გარშემოსა. მიყვარს თერგის ზარიანი ხუილი, გამალებული ბრძოლა, ღრტვინვა და ვარ-ვაგლახი. თერგი სახეა ადამიანის გაღვიძებულის ცხოვრებისა, ამაღლელვებელი და ღირსსაცნობი სახეც არის: იმას მღვრიე ჭყალში სჩანს მთელის ქვეყნის უბედურობის ნაცარ-ტუტა“².

„ჰოსა“ და „არას“ ბრძოლა, როგორც დადებითსა და უარყოფითს შორის ბრძოლა, რომელიც ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების სიცოცხლის, მოძრაობისა და განვითარების კანონია, ერთიანობის ნიაღაგზე ხდება: ამ ერთიანობაში „არას“ ასებობას ისეთივე უფლება აქვს, ის ისევე აუცილებელია მოძრაობისა და განვითარებისათვის, როგორც „ჰო“. „ჰო“ „არას“ გარეშე, „არა“ „ჰოს“ გარეშე არ არსებობს. დადებითი და უარყოფითი, კარგი და ავი, სიკვდილი და სიცოცხლე, კეთილი და ბოროტი, მშვენიერი და უშნო ურთიერთს საზღვრავენ, ურთიერთთან კავშირში არიან, ურთიერთს განაპირობებენ. ასეთია ილია ჭავჭავაძის მეთოდოლოგიური თვალსაზრისი.

¹ ი. ჭავჭავაძე, თხჩ., ტ. 2, გვ. 19.

² ი. ჭავჭავაძე, თხჩ., ტ. 9, გვ. 18, 19.

ამგვარად, ილია ჭავჭავაძის ფილოსოფიური შეხედულება მატერიალისტურია, მისი მეთოდოლოგიური პრინციპი დალექტიკურია. ის გასცდა მეტაფიზიკური მატერიალიზმს და უშუალოდ მიაღვა დალექტიკურ მატერიალიზმს. ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ ილია ჭავჭავაძე ბუნების გაგებაში მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიურ თვალსაზრისამდე, დალექტიკურ მატერიალიზმამდე ამაღლდა.

დალექტიკური მატერიალიზმი დასრულებული მსოფლმხედველობაა. ი. ჭავჭავაძის ფილოსოფიას ეს სისრულე და სიმაღლე არ გააჩნია. ერთია ფილოსოფიური თვალსაზრისისა და მეთოდოლოგიური პრინციპის პოვნა და მეორე — ამათ საფუძველზე მოთლიანი ფილოსოფიური მოძღვრების ჩამოყალიბება. ილია ჭავჭავაძემ, დიდი რუსი მატერიალისტების გავლენით და მათ მსგავსად, სწორ ფილოსოფიურ თვალსაზრისა და ჭეშმარიტ ფილოსოფიურ მეთოდოლოგიურ პრინციპს მიაგნო და ამით დაკმაყოფილდა, მარქსმა და ენგელსმა კი დასრულებული ფილოსოფიური მოძღვრება მოგვცეს. დაჯლექტიკური მატერიალიზმი შეიცავს ფილოსოფიურ მოძღვრებას მატერიალის შესახებ, მატერიალისტური დალექტიკის თეორიას, შემეცნების თეორიას, ბუნების განვთანების მოძღვრებას, საზოგადოებრივი ცხოვრების მატერიალისტურ გავებას და სხვ. ამ დასრულებულ თეორიულ ნაწილებს ილია ჭავჭავაძის ფილოსოფიურ ნააზრევში ვერ ვხვდებით. ილია ჭავჭავაძე დაკმაყოფილდა მხოლოდ ფილოსოფიური მატერიალიზმისა და დალექტიკის პრინციპის აღნიშვნით. მან საქართველოში მარქსიზმის დამკვიდრების შემდეგაც კი ვერ მოაცხრება თავისი ფილოსოფიური მოძღვრება მარქსისტულ მატერიალიზმდე აეშალლებინა. კიდევ მეტი: ისტორიული მატერიალიზმის მოძღვრება საზოგადოებრივი ცხოვრების ზოგიერთ ძირეულ საკითხზე მას მიუღებლადაც კი მიაჩნდა,

ილია ჭავჭავაძე გასცდა მეტაფიზიკურ მატერიალიზმს და უშუალოდ მიადგა დალექტიკურ მატერიალიზმს.

4. შესაღულება საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიაზე

1. საზოგადოებრივი ცხოვრების დიალექტობა და მისი ფან- ასა აღვრები ძირითადი პიჯვები

ილია ჭავჭავაძისათვის საზოგადოებრივი ცხოვრებზე, ისე როგორც ბუნება, არ არის მოვლენების შემთხვევითი გროვა. საზოგადოებრივი ცხოვრება, ბუნების მსგავსად, მოვლენების კანონზომიერ ერთიანობას წარმოადგენს. იგი ეკონომიური, ზნეობრივი, სარწმუნოებრივი, საერთოდ ეკონომიური და იდეოლოგიური მოვლენების. კანონზომიერი ურთიერთობაა. ამ ურთიერთობას ობიექტურობა, აღამიანების ნებისაგან და-მოუკიდებლობა ახასიათებს. აღამიანების ნება-სურვილით საზოგადოებრივი კანონზომიერების არც დადგენა და არც უარყოფა არ შეიძლება. სოციალური კანონზომიერების ფარგლები აღამიანის ნების სფეროს სცილდება და ობიექტურ სამყაროს უერთდება. „კანონები, — ამბობს ი. ჭავჭა-ვაძე, — დატგენილი არიან ქვეყნიერობაზე იმიტომ კი არა, რომ ისე ნებავდა ადამიანს, არამედ იმიტომ, რომ მაგას ითხოვდა ეკონომიური საჭიროება ერთის მხრივ და მეორეს მხრივ სიმართლე, წარმომდგარი ზნეობითის და სარწმუნოების გრძნობისაგან“¹. თვით საზოგადოებრივი ცხოვრება, და არა აღამიანი, წარმომობს კანონებს. „თითონ ცხოვრება, — ამბობს ილია, — აღმოშობს ხოლმე თავისითვის წესსა, გან-საზღვრავს ხოლმე თავის რჯულსა და კანონსა“². „ცხოვრება თვითრჯულია, იგი არ გამოიჭრება ხოლმე კაცისაგან მოგონილ რიკრიკაზედ“³. „ჩვენ ასე არ გავძრიყვდებით, — განაგრძობს ის, — რომ ჩვენ საკუთარ წესზედ მოვინტომოთ ცხოვრების გატარება“⁴.

ხალხების ცხოვრება მიმდინარეობს როგორც კერძო,

¹ ი. ჭავჭავაძ აძე. თხ. 8, გვ. 134.

² ი. ჭავჭავაძ აძე, თხ. 4, გვ. 78.

³ იქვე, გვ. 83.

⁴ იქვე, გვ. 78.

ისე საერთაშორისო კანონების მიხედვით. საერთაშორისო, ზოგადი კანონები ხალხების ცხოვრების მსგავსებასა და დაგვარობას გამოხატავენ. რა დაშორებულიც უნდა იყვნენ ხალხები ერთიმეორისაგან დროითა და სივრცით, ჩვენ მაინც ვნახულობთ ისტორიაში მათ ანალოგიურსა და მსგავსს. „ხალხების ცხოვრებაში, — ამბობს ილია ჭავჭავაძე, — ბევრია ზოგადი კანონები, რომელნიც ყველგან ერთნაირად მოქმედებენ”¹. „რაც უნდა ერთმანეთზე დაშორებული ქვეყნები აიღოთ და სულ სხვადასხვა თვისებისანი, ნახავთ, რომ ეკონომიკური მსვლელობა და განვითარება ყველგან ერთნაირი ყოფილა”².

საზოგადოებრივი ცხოვრების კანონზომიერი ბუნება, ადამიანის ნებისყოფისაგან მისი დამოუკიდებლობა იმას როდი ნიშნავს ი. ჭავჭავაძისათვის, რომ ადამიანი პასიური მაყურებელია საზოგადოებრივი ცხოვრების მიმდინარეობისა, თითქოს საზოგადოებას ზეციური განგება მართავდეს და ადამიანების აქტიური მოქმედება საკუთარი ცხოვრების გარდასამენელად უნაყოფო და ფუჭი რამ იყოს. საზოგადოება ადამიანების ურთიერთობაა ბუნების გარემოში და ადამიანების წარმატება თვით მათზეა დამოკიდებული. ადამიანები სინამდვილის უმოქმედოდ შემყურენი კი არ არიან, არამედ მისი გარდამენელები. „ადამიანები, — ამბობს ილია, — განა მარტო მაყურებლები არიან ცხოვრებისა, არამედ მოქმედნი პირნიცა: ცხოვრება პრის თვითონ ამ პირთა ნამოქმედარი და ჭირნახული”³. საზოგადოებრივ ცხოვრებას ქმნიან არა კერძო პირები, თუნდაც ეს პირები გენიოსები იყვნენ, არამედ ხალხი. ისტორიას ხალხი ქმნის და არა გმირები და მეფეები. „ჩვენი ქართლის ცხოვრება, — ამბობს ის, — ხალხის ისტორია კი არ არის, მეფეთა ისტორიაა, და ხალხი კი, როგორც მომქმედი პირი ისტორიისა, ჩრდილშია მიყენებული. თითქო

¹ ი. ჭავჭავაძე, თხ. ტ. 6, გვ. 70.

² ი. ჭავჭავაძე, თხ., ტ. 8, გვ. 134.

³ ი. ჭავჭავაძე, თხ., ტ. 9, გვ. 20.

ხალხის ისტორიის შესამეცნებლად საქმაოა კაცმა თცოდეს
მარტო მეფეთა ისტორია¹.

საზოგადოებრივი ცხოვრების ცვლილება დამოკიდებულია როგორც ობიექტურ, ისე სუბიექტურ ძალებზე.

ბუნების და საზოგადოებრივი ცხოვრების წარსულისა და აწმყოს ობიექტური მნიშვნელობა საზოგადოებრივი ცხოვრების მომავლისათვის ილიას შეგნებული პქნონდა. ადამიანები თავიანთ აქტიურ გარდამჯმნელ მოქმედებაში განსაზღვრული არიან წარსულით. წარსული აწმყოს შექმნისა და ჩამოყალიბების საფუძველია, ისე როგორც წარსული. და აწმყო მომავალი ცხოვრების მკვიდრი წინადაგია. „წარსული,— ამბობს ი. ჭავჭავაძე, — მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო — მომავლისა. ეს სამი სხვადასხვა ხანა, სხვადასხვა ჟამი ერის ცხოვრებისა ისეა ერთმანეთზე. გადამული, რომ ერთი უმეოროდ წარმოუდგენელი, გაუგებარი და გამოუცნობია. ამიტომაც არის ნათქვამი ერთი ბრძენისავან, რომ აწმყო შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მერმისისაო. ეს სამთა ჟამთა ერთმანეთზედ დამოკიდებულება კანონია ისეთივე შეურყეველი და გარდუგალი, როგორც ყოველივე ბუნებური კანონი². ხალხები ჭმნიან ისტორიას, მაგრამ ჭმნიან არა თავისი სურვილებისა და ფანტაზიის მიხედვით, არამედ ბუნებისა და საზოგადოების კანონზომიერების ცოდნის მიხედვით. ადამიანებმა ჭერ უნდა იცოდნენ ის კანონები, რომლებიც ბუნებაში და საზოგადოებაში არსებობს, და შემდეგ დაიწყონ ამ კანონების მიხედვით იმის კეთება, რაც მათ უნდათ. ხალხი დაუსაბუთებელ, არაჭეშმარიტ გეგმებს სამოქმედოდ არ იღებს. „რაც დამტკიცებულია, — ამბობს ილია, — ის გადადის ხალხში, მხოლოდ ის მიიღება ხალხისაგან. და რაც მიიღება, მხოლოდ იგი ცვლის ხალხის მდგომარეობასა, ცხოვრებასა³. ბუნება ადამიანის სამოქმედო ასპარეზია და არა სა-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 5, გვ. 201.

² იქვე, გვ. 239.

³ ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 4, გვ. 73.

ჭვრეტი გარემო; იგი ადამიანის კეთილდღეობის პირობაა მხოლოდ და არა მისი წარმატების განმსაზღვრელი. ადამიანის კეთილდღეობა და წარმატება თვით ადამიანზეა დამოკიდებული. „ცივილიზაცია, ანუ წარმატებულება ადამიანისა, — ამბობს ი. ჭავჭავაძე, — ...შედეგია ყოველ იმ ძალით, რომელიც ერთად კრებულად მოქმედობენ კაცობრიობაში საზოგადოთ და თვითეულ ერში ცალკე. ამგვარ ძალით სოციალურ ძალით უძახიან“¹.

ილია ჭავჭავაძის მეთოდი საზოგადოებრივი ცხოვრების განხილვისა დიალექტიკურია. „...ცხოვრება, — ამბობს ის, — ...თავის დღეში უქმად არ შეჩერდება ხოლმე“². „ცხოვრება (იგულისხმება საზოგადო ცხოვრება; ილია იქვე ამბობს „საზოგადო ცხოვრებაო“). — ა. თ.) რაც გუშინ იყო, ის დღეს აღარ არის, ... იგი იცვლება, მიღის წინ და მოაქვს განახლება ყოველისტერისა. წესი, ჩვეულება, აზრი, გრძნობა, ენა, ყველაფერი იცვლება მის ძლიერ გავლენისაგან“³.

საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველ საფეხურზე აღგადია აქეს ორი შეურიგებელი, მოწინააღმდეგე მომენტის ბრძოლას. ბრძოლის მოპირისპირე მხარეებად საზოგადოებრივი ცხოვრების მიმავალი და მომავალი წყობილებანი გამოიინ, საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიის შინაარსს ეს. შებრძოლი მხარეები განსაზღვრავენ. ერთი წყობილება დამკადრებულია, მაგრამ ყველას არ აქმაყოფილებს, დღევანდებულ დღისათვის შეუფერებელია, დღევანდები ცხოვრება. მეორეს მოითხოვს. „ყოველგან, — ამბობს ილია, — საცავი ისტორიას ღირს ერთი თავისითა ცხოვრობს, ორნაირი წყობაა აზრისა და ეგ ორნაირი წყობა აზრისა. შეადგენს ცხოვრების მდინარებასა, ერთი ის წყობაა, რომელიც ცხოვრებას უკვე აღმოუჩენია, დაუდგენია და დღეს მოქმედებს, შეორეს ის — რასაც დღევანდელი დღე თხოულობს და საჭიროებს. ამ ორთა წყობათა მოქმედება ღაუძინარია და მუ-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხ. ტ. 6, გვ. 18.

² იქვე, გვ. 117.

³ ი. ჭავჭავაძე, თხ. ტ. 4, გვ. 65.

დამი. როცა ის, ოასაც დღევანდელი დღე თუთულაბს, ყველას თუ არა — ბევრს მაინც ძვალსა და რბილში ღაუვლის, შესმენილი და გაგებული ექნება, — მაშინ ეგ მეორე წყობა იმარჯვებს და ყოველ საქმეთა სათავეში მოექცევა. ხოლმე. ეხლა ეგ წყობა დაიჭერს პირველის ადგილს ცხოვრებაში. რასაკვირველია, მინამ ეს ასე მოხდება, ცხოვრება მაინც მოქმედებს და ახალს საჭიროებას აჩენს. ამიტომაც ახლად გამარჯვებულს წყობასაც სხვა, ახალი წყობა გამოუჩინდებს ხოლმე მოპირდაპირედ. ესე შიდის კაცობრიობის ცხოვრება და ამნაირ სვლას დასასრული არ აქვს. თითონ კაცობრიობის ისტორიაც სხვა არა არი-რა, გარდა ამნაირად ფეხის გადანაცვლებისა¹. იშვიათი დახასიათებაა საზოგადოებრივი ცხოვრების ზოგადი დიალექტიკური სვლისა. ილრა ჭავჭავაძისთვის საზოგადოებრივი ცხოვრების მიმღწნარეობაში კლასობრივი ბრძოლის პრინციპი გამორიცხულია. ის მხოლოდ დიალექტიკის ზოგად თვალსაზრისს გვაძლევს, რომელის თანახმად, განვითარება საზოგადოებაში წარმოდგენილია მხოლოდ როგორც ძველისა და ახლის, მიმავლისა და მომავალის ბრძოლა. სადაც ასეთი ბრძოლა არ არის, სადაც მოძრაობა და განვითარება არ მეფობს, იქ ცხოვრება გაჩერებული და დამდგარია და ასეთ ცხოვრებას დაგუბებულ მდინარესა და დამდგარ ტბასავით ლპობა მოელის. სიცოცხლე მხოლოდ მოძრაობაშია. „საცა, — ამბობს ილია, — მოძრაობაა, იქ სიცოცხლეც არის“².

საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიაში ყველაფერი მოძრაობს, ყველაფერი იცვლება: წარსული აწყობს ბადებს, აწყობ მომავალს წარმოშობს. „ხვალე, — ამბობს ილია, — შვილია დღევანდელის დღისა და დღევანდელი დღი შვილია გუშინდელისა³“.

„ცხოვრება, როგორც ყოველი მოზარდი, იზრდება ჰყავის, მოაქვს ნაყოფი და მერე ჭინება — იმისათვის კი

¹ ი. ჭავჭავაძე, თხ., ტ. 5, გვ. 120.

² ი. ჭავჭავაძე, ტ. 9, გვ. 58.

³ იქვე, გვ. 240.

არა, რომ მოკვდეს და საუკუნოდ დაიმარხოს, არამედ იმისა—
თვის, რომ თავისაგან მოყვანილის ნაყოფისავე თესლზედ
ამოიყვანოს სხვა ახალი, ნედლი ცხოვრება, რომელიც ისევ-
ისე უნდა წავიდეს ცხოვრების გზაზედ, როგორც პირველი,
თუ უკვდავება უნდა”¹.

ცხოვრებაში, ისტორიაში, ის, რაც პროგრესულია, რასაც
სასიცოცხლო და ცხოველმყოფელი ძალა აქვს, მარად დაუ-
ძინარი და მოუსვენარია და გამარჯვებისათვის იბრძვის. მას
ვერ შეაჩერებს გარეგანი დაბრკოლება, რადგან იგი ცხოვრე-
ბის ფესვებიდან ამოღის და საზოგადოებრივი ცხოვრების ში-
ნაგან ძალას წარმოადგენს. დღეს თუ არა, ხვალ იგი გაიმარჯ-
ვებს, მიტომ რომ მისი „ძირი ცხოვრებაშია გამოკვანძი-
ლი, — ცხოვრება კი ძნელად თუ რასმეს ჰქმნის უაზროდ”².
„თუ ცხოვრება — ამბობს ი. ჭავჭავაძე, — ...ჭანმრთელია, თუ
მასში არის უკეთესობის ნდომა და განახლების ცხოველი
მედი... მისნი ძალნი, მისნი ძარღვნი მარად ღაუძინარნი არიან.
იგინი დაუღალავად, დაუყოვნებლივ მოქმედებენ, მოძრა-
ობენ, წარმოებენ, როგორც ყოველიფერი, რასაც კი სი-
ცოცხლე აქვს მინიჭებული. თუ გარედამ აბრკოლებენ,
უშლიან იმათ მოძრაობასა, მაშინ ისინი მაინც კიდევ თავი-
სას არ მოიშლიან, მიწაში დაიფლებიან და იმ მიწის სიბნე-
ლეშიაც მოქმედობენ იმ ღრომდე, ვიღრე დარი არ დაუღე-
ბათ, რომ გარეთ მზის სინათლეზედ გამოვიდნენ და უფრო
ფართოდ გაშალონ მოძრაობის ფრთები. ყოველს მათ მო-
ძრაობას, ყოველს მათ მოქმედებას თავისი ნაყოფი ამოყავს
ცხოვრების ხეზედა და ყოველს ამ ნაყოფს აქვს თავისი
აზრი და მნიშვნელობა, იმიტომ, რომ იმათი ძირი ცხოვრება-
შია გამოკვანძილი”³.

საზოგადოებრივი ცხოვრების ზრდა და წარმატება
ცხოვრების უკეთ მოწყობას ნიშნავს, ეს ნიშნავს იმის მიღ-
წევასა და განხორციელებას, რაც აღამიანს უნდა, რაც აღა-

¹ ი. ჭავჭავაძე. თხზ.; ტ. 4, გვ. 67.

² იქვე.

³ იქვე. გვ. 69.

მიანისათვის საკეთილდღეოა. ილია თავის აზრს. ზოგადად ფილოსოფიურ ცნებებში ასე გამოთქვამს: „შესაძლებლის განხორციელება და შეუძლებლის ფარგლების შევიწროება. ილია პროგრესის შესახებ ინგლისელი ფილოსოფოსის ბეკნის აზრებს იზიარებს: „პროგრესი, — ამბობს ფილოსოფონი, — არის გაუთავებელი შორს გადგმა არშესაძლებელის საზღვრებისათ. მართალიც არის: ვის ეგონა, რომ შესაძლებელია უშველებელ მანქილზედ კაცი კაცს გამოელა-პარაკებოდა თვალის დახამხამების უმალ? ვის ეგონა, რომ შესაძლებელია ორთქლმა სახლებისოდენა ვაგონები გააქანა გამოაქანოს გაჭენებულ ცხენზედ უფრო სწრაფად? დღეს ყველა ეს არის და, ამ სახით, საზღვარი არშესაძლებელისა ამაების შესახებ, წინად ახლოს მდგარი, დღეს შორს გადა-დგმულია, ანუ, უკეთ ვსოდეთ, საზღვარმა შესაძლებელისაშ ადგილი გადაინაცვლა და შორს გაიწია“¹.

ცხოვრება მუდამ წინ მიდის, არ იყინება, არ ჩერდება. „ცხოვრება რაც გუშინ იყო, ის დღეს ალარ არის, იგი იცვლება, მიდის წინ და მოაქვს განახლება ყოველისფერისა.“ წესი; ჩვეულება, აზრი, გრძნობა, ენა, რომელიც მაგათა გამომეტყველია, ყოველიფერი იცვლება მის ძლიერ გავლენისაგან. რაც გუშინ კაცს ჰვინებია დაურღვეველ ჭეშმარიტებად, რისთვისაც უციია პატივი, როგორც მიუცილებელ საჭიროებისათვის, ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ის დღეს გაუთლელ შეცდომად მიგვაჩნია, ასე რომ კიდეც გვიკვირს, აღრინდელს კაცს როგორა სწამდა ამისთანა ცხადი სისულელე დაურღვე-ველ ჭეშმარიტებად“².

საზოგადოებრივმა ცხოვრებამ თავისი განვითარების გზაზე სხვადასხვა საფეხურები განვლო. ი. ჭავჭავაძის შეხე-ლულებით, ეს საფეხურებია: 1. „პირველუამური მფლობელობის“, ან კიდევ „სათემო მფლობელობის“; 2. „არისტოკრატიულ“-კერძომესაკუთრული, ან „ბატონყმური“, „ფეოდა-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხ. 5, გვ. 17.

² ი. ჭავჭავაძე, თხ. 4, გვ. 65.

ლური“, „ე. ი. იმისთანა წყობა, რომელიც მარტო უფლებაა უმოვალეობო, უსაზღვრო, პირობა-დაუღებელი, და რო- ჰელსაც სხვა საგანი არა ჰქონდა-რა, გარდა ცალკე კაცის პი- რადის კეთილდღეობისა“¹. ამან ხელი შეუშალა „ბუნებრივ მიმღინარეობას ეკონომიკურის ცხოვრებისა“²; 3. ბურუუა- ზიული. ი. ჭავჭავაძე ამის შესახებ ამბობს: „პირველუამური მფლობელობა... სათემო მფლობელობა და ხმარება იყო“³.

დროთა ვითარებაში ეს წყობა შეიცვალა და კერძოობ- რივმა საკუთრებამ ძირი გაიკეთა. ამის მიზეზი უფრო ბევრგან უცხო ხალხთა შემოსევა იყო. შემოსეულნი ჩამოარ- თმევდნენ ხოლმე მკვიდრებს მიწებსა და ერთმანეთში დაჩე- მუბით ირიგებდნენ. ამ უკანასკნელის მიზეზით აღორძინდა კერძოობრივი საკუთრება ინგლისში, საფრანგეთში, იტალიის ჩახევარკუნძულებზე და ინდოეთში. აქ უსწორობა, მეტ-ნა- კლებობა და არისტოკრატია დაპყრობის მიზეზით გაჩნდა; იქ, სადაც-კი მაგ მიზეზს არ უმოქმედნია, კერძოობრივი საკუთ- რების საბაბი შეიქნა შრომა. მაგალითად, ვინც ახოს გამოა- ღებდა სათემო მამულში, შეეძლო დაეჩემა ახოდ გამოღებუ- ლი მიწა კარგი ხნობით⁴.

ბატონყმური მიწათმფლობელობის დროს აღგილი აქვს დიდ უთანასწორობას მიწების განაწილების საქმეში. „სა- ფრანგეთში დიდ რევოლუციამდე, — ამბობს ილია, — ერთი მეხუთედი მთელი სამეურნეო მიწებისა დაიჩემა ხაზინამ; ერთი მეხუთედი ეკლესიამ, ერთი მეხუთედი დიდკაცობამ, დანარჩენი ორი მეხუთედი შუა წოდების (ბურუუაზიის) და გლეხობის წილად დარჩა. რევოლუციამ შესცვალა ეს რაო- ღენობა წილებისა, მაგრამ ამ შეცვლაში მარტო ბურუუაზიამ შოიგო“⁵.

¹ ი. ჭავჭავაძა ძე, თხზ., ტ. 8, გვ. 161, 162.

² იქვე.

³ იქვე, გვ. 137, 138.

⁴ იქვე, გვ. 135, 136.

⁵ იქვე, გვ. 138, 139.

ი. ჭავჭავაძე მომავალი საზოგადოებრივი წყობის სა-
ცეხურსაც, სოციალისტურ წყობილების საფეხურსაც ასა-
ხელებს: „...მეცხრამეტე საუკუნემ, — ამბობს ის, — სოცია-
ლურის წყობილების იდეალად გამოსახა (ილიას მოყავს ცი-
ტატა და წინწკლებში ათავსებს) „გაუქმება ქონების და შე-
მოსავლის მეტ-ნაკლებად განაწილებისა აღამიანთა შორის,
გაუქმება ყოვლის კლასობრივის ბატონობისა და შეძლები-
სამებრ, ყოვლის კლასობრივის სხვადასხვაობისა, ფეხზე წა-
მოყენება და ხელშეწყობა გამრჩევლ და მშრომელ კლასებისა
წარსამატებლად”¹.

აი ყველა ის საფეხური, რომლებიც, ი. ჭავჭავაძის
აზრით, საზოგადოებრივმა ცხოვრებამ დღევანდლამდე განვ-
ლო და მომავალშია მოსალოდნელი. ილია ჭავჭავაძე საზოგა-
დოებრივი წყობილების აღნიშნულ საფეხურებს განიხილავს
პროგრესული თანამიმდევრობის თვალსაზრისით. „პირველ-
ყამური“ ანუ „სათემო“ წყობილება, ფეოდალური, ბურჟუა-
ზიული და სოციალისტური, — ასეთია პროგრესული თან-
რიგი.

პირველყამური სათემო წყობილების არსებით დაშახ-
სიათებელ ნიშანს მიწის საზოგადო საკუთრება. წარმოადგენს.
აქ მიწის მშრომელი და მიწისმფლობელი ერთი და ეგიუე
პირია. უმამულობა ამგვარ წყობილებაში შეუძლებელია.
კერძო საკუთრების წარმოშობის შემდეგ ირლევა პირველ-
ყამური ეკონომიური თანასწორობა და საზოგადოება ორ ბა-
ნაკად იყოფა. „კერძოდ დაჩემება მამულებისა დროთა მიმა-
ვალობაში თანდათან ძლიერდებოდა და ამ გაძლიერებამ
იქამდინ მიიყვანა საქმე, რომ... უმრავლესს ჩამოართვა თით-
ქმის მიწები და უმცირესს დაულოცა“². ფეოდალური წყობ
ბილების განსაზღვრულობა და ნაკლი ისაა, რომ იგი „იმის-
ანა წყობაა, რომელიც მარტო უფლებაა უმოვალეობა,
უსაზღვრო, პირობა-დაუდებელი, და რომელსაც სწვა საგანი

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 6, გვ. 7.

² ი. ჭავჭავაძე, ტ. 8, გვ. 128.

არა აქვს რა, გარდა ცალკე კაცის პირადის კეთილდღეობისა¹. ამიტომ ეკონომიური წარმატება და კეთილდღეობის ზრდა აქ შეფერხებულია. იმას, ვინც მუშაობს, ეკონომიურ ღოვლას ქმნის და ქვეყნის კეთილდღეობის საფუძველია, არავითარი უფლება არა აქვს, მას აღამიანად არ თვლიან, მისი ყვლეფა და მისი იძულება განუსაზღვრელია. ვისაც მიწები ეკუთვნის, მას კი შრომა არ შეუძლია. „საზღვარ-დაუდებელმა უფლებამ საკუთრების პირადის ელემენტისამ, — ამბობს ილია, — მოუყარა თავი მამულებს კვრძო კაცთა ხელში ცალ-ცალკე, განაშორა მუშა-ხელი სამოქმედო საგანს — მიწასა, განაცალკევა მუშა და სამუშაო საგანი. მაგ განშორებამ და განცალკევებამ დიდათ შეარყიო და შეშალა ბუნებრივი მიმდინარეობა ეკონომიურის ცხოვრებისა, იმიტომ, რომ ერთ მხრივ დარჩა მუშა-ხელი უმიწოდ და მეორე მხრივ — მიწა უმუშახელოდ“².

ბურუუაზიული წყობილების უპირატესობა ფეოდალურ წყობილებასთან შედარებით, მაშასაღამე, იმაში უნდა დავინახოთ, ი. ჭავჭავაძის თანახმად, რომ აქ ადგილი არა აქვს ფეოდალის „უსაზღვრო, პირობა-დაუდებელ უფლებას“ მშრომელისადმი, რომ აქ მშრომელი პირუტყვის პირობებში ჩაყენებული არ არის, რომ აქ მშრომელი მონა და ყმა არ არის. ი. ჭავჭავაძე მონათმფლობელურ და ფეოდალურ წყობილებას ურთიერთისაგან არ გამოყოფს. როდესაც ის მიწის მესაკუთრის განუსაზღვრელ, უპირობო უფლებებზე ლაპარაკობს, მხედველობაში აქვს როგორც მონური, ისე ფეოდალური წყობილება.

ბურუუაზიული რევოლუცია სპობს მიწის მესაკუთრის განუსაზღვრელ, უპირობო უფლებას და მიწების ახალ განაწილებას ახდენს. „საფრანგეთის დიდ რევოლუციამდე, —

¹ ი. ჭავჭავაძე, თხ. ტ. 8, გვ. 161, 162.

² ესვი, გვ. 162.

ბურუუაზიული რევოლუცია ფეოდალურთან შედარებით არა მარტო უკეთეს ურთიერთობას ამყარებს მესაკუთრესა და მშრომელს შორის, არამედ მაღალ ტექნიკას, შრომის მაღალი იარაღების შექმნასაც გზას უსწინის. რკინიგზები, ტელეფონი, ტელეგრაფი ქვეყნებს შორის არსებულ მანძილს სძლევს. ორთქლის მანქანა სავლელ მანძილს საზღაპროდ შეამცირებს, სამეურნეო იარაღები სოფლის მეურნის შრომას გაუგონარი წარმატებით აღიდებს. დოსტაქრობას ტექნიკის გაუმჯობესების გამო ცოცხალი აღამიანის აგებულებაში თათქმის გამოუცნობი და დაუნახავი, გაუსწორებელი, შეუკეთებელი აღარათერი დარჩება². მაგრამ შრომის საშუალებებისაგან მშრომელის დაცილებას ვერც ბურუუაზიული წყობილება სპობს. ეკონომიური წარმატების ეს ძირითადი შემაფერხებელი გარემოება ხელუხლებელი რჩება. „დღეს, — ამბობს ი. ჭავჭავაძე, — ღარიბსა და მდიდარს შორის, ძლიერსა და უძლურს შორის უფრო დიდი ზღვარი არის, ვიდრე ოდესმე ყოფილა, და აქ არის იგი სიმწვავე იმ ტკივილისა, რომლის მორჩენაც მეცხრამეტე საუკუნემ უანდერძა აწ მომავალს საუკუნეს. მეცნიერება, აღამიანის გონების წინსვლა, ზნეობის აღმატება, — ჯერ ბევრს სხვას კიდევ ძლევამოსილებით მოიქმედებს, მაგრამ ამ მეცხრამეტე საუკუნის ანდერძზე უაღრესს და უდიდესს საგანს სხვას ვერ აღმოაჩენს და გაუთვალისწინებს კაცობრიობას დღეის ამას იქით“³.

სახოგადოების ეკონომიური ცხოვრების ძირითადი დამაბრკოლებელი გარემოება — „მუშა-ხელის განშორება სამუშაო საგნისაგან“ და მშრომელის უმწეო მდგომარეობა — კაპიტალისტურმა წყობილებამ, ილია ჭავჭავაძის აზრით, არა თუ არ შეამცირა და მოსპო, არამედ კიდევ უფრო გააძლიე-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხ., ტ. 8, გვ. 138, 139.

² ი. ჭავჭავაძე, თხ., ტ. 5, გვ. 17, ტ. 6, გვ. 5-8, 238, 240; 241; 243 და სხვა.

³ ი. ჭავჭავაძე, თხ., ტ. 6, გვ. 8.

რა. ამიტომ ცხოვრების შეუჩერებელი განვითარება ახალი, უფრო მაღალი წყობილების დამკვიდრებისაკენ მიემართება.

ილია ჭავჭავაძე მეცხრამეტე საუკუნის დიდ მიღწევად ადამიანთა ჩაგვრისა და უსამართლობის მოსპობას, თანა-სწორობისა და თავისუფლების იდეის წამოყენებას თვლის. ის ამბობს: „ერთი დიდი და სახელოვანი საქმე მეცხრამეტე საუკუნისა, სხვათა შორის, ის არის, რომ მაგარს საფუძველზე დააყენა და ფრთა გააშლევინა იმ კაცომოყვარულ მოძღვ-რებას, რომ ყოველი ადამიანი, რა წოდებათა კიბის სა-ფეხურზედაც გინდ იდგეს, მაინც ადამიანია, და ვითარცა ადამიანი — ყველასთან თანასწორი, თანასწორად შესაწყნა-რებელი და გულშესატკივარი. მართალია, ამ მოძღვრების დასაბამი დიდის ხნისაგან მოღის, მაგრამ ამ საუკუნემ ეს მოძღვრება განადიდა, გააძლიერა, გააფართოვა და, დაუდვა რა მეცნიერული საბუთი, ღარიბთა და უძლურთა სამწეო მოძღვრებად გადააქცია“¹.

ი. ჭავჭავაძე კერძო საკუთრებას მარადიულ და უცვ-ლელ კატეგორიად არ თვლის. ის წერს: „კერძო საკუთრება სამართლიანად თუ უსამართლოდ, ჩვენდა საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, ჯერ კიდევ დიდხანს იქნება ღიძს პატივში და მის სარბიელზე ძალმომრეობა, ერთმანეთზე მისევა, ვინც გინდ იყოს, იაფად არ დაუჭდება“².

ილია ჭავჭავაძე საზოგადოებრივი წყობილების არსებით დამახასიათებელ ნიშანს მიწის საკუთრების ფორმაში და სა-ზოგადოებრივ კლასებს შორის მიწის გადანაწილებაში ხე-დავს. მიწის საკუთრების ფორმის შეცვლა ნიშნავს საზოგა-დოებრივი წყობილების შეცვლას. მიწის გადანაწილება სხვადასხვა კლასებს შორის საზოგადოებრივი წყობილების შეცვლას მოასწავებს. ერთი წყობილების მეორე წყობილე-ბის მიმართ უპირატესობა ამავე მიწის საკუთრების ფორმის გაუმჯობესებითა და უპირატესობით იზომება. რამდენადაც მიწა მშრომელთა მასებს უახლოვდება და მშრომელთა

¹ ი. ჭავჭავაძე, თხ., ტ. 6, გვ. 6, 7.

² ი. ჭავჭავაძე, თხ., ტ. 9, გვ. 190.

შეღომარეობა უმჯობესდება, იმდენად წყობილებათა ფორ-
მებიც უმჯობესდება და საკაცობრიო ისტორია წარმატებისა
და გაუმჯობესების გზით მიღის. „მუშა რომ თითონ იყოს
პატრიონი თავის მიწისა... არა სჯობია რაო“¹, — ამბობს ილია.
რაკი მიწა საზოგადოების მცირე ნაწილს ეკუთვნის, ხოლო
მშრომელთა მასები საკუთრებას მოკლებული არიან, ამიტომ
საზოგადოების კეთილდღეობის საქმე შეფერხებულია.

ამგვარად, ი. ჭავჭავაძე საზოგადოებრივ ცხოვრებას წყო-
ბილებათა პროგრესული თანამიმდევრობის მიხედვით განი-
ზილავს და სოციალური მოვლენების შესწავლის მისი მე-
თოდი დიალექტიკურია.

როგორი ბუნებისაა ის ძირითადი მიზეზი, რომელიც
საზოგადოებრივი ცხოვრების ცვლილებასა და განვითარებას
იწვევს?

ი. ჭავჭავაძე, დაინტერესებული ქართველი ხალხის
შეღწიერებით, „მგზნებარე მებრძოლი ბატონყმობისა და
თვითმპყრობელობის წინააღმდეგ“², დაუღალავი მზრუნველი
მრავალტანჯული ქართველი ხალხის აღორძინებისათვის, მისი
ეკონომიური და კულტურული წარმატებისათვის, ცდილობდა
ჭეშმარიტი ღონისძიება ეპოვა, რათა ქართველი ხალხის ყო-
შელგვარი მოთხოვნილების დაკმაყოფილების საქმე უზრუნ-
ველეყო. ამ მიზნით ის ეცნობოდა და სწავლობდა მისი
ღროის სოციოლოგიურ და ეკონომიურ მოძღვრებებს: ფიზიო-
კრატების, კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის წარმომად-
გენლების — სმიტისა და რიკარდოს, სისმონდისა და მარქსის
მოძღვრებებს.

ძიების გზაზე ის მივიღა იმ დასკვნამდე, რომ სოფლის
მეურნეობის განვითარება საზოგადოებრივი ცხოვრების ძირი-
თადი მამოძრავებელი მიზეზია, რომ სოფლის მეურნეობის
წარმატება საფუძველია საერთოდ ეკონომიური ყოფისა,
განათლებისა და პოლიტიკისა, მთელი სახელმწიფოებრივი
ცხოვრებისა.

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 8, გვ. 157.

² გაზ. „პრავდა“, 1937 წ. 12 სექტემბერი.

ი. ჭავჭავაძის აზრით, საზოგადოებრივი ცხოვრების მოძრაობისა და განვითარების განმსაზღვრელი ძალები თვით საზოგადოებაში არსებობენ. ის ამბობს: „ცივილიზაცია, ანუ წარმატებულობა აღამიანისა... შედეგია ყოველ იმ ძალონისა, რომელიც ერთად ქრებულად მოქმედობენ კაცობრიობაში საზოგადოთ და თვითეულ ერში ცალკე. ამგვარ ძალ-ღონეს სოციალურ ძალ-ღონეს ეძახიანო. ცოდნა, გონიებრივი და ზნეობრივი აღმატებულობა, მრეწველობის სიმდიდრის მეტ-ნაკლებობა, რწმუნება¹ იმ საგნების მიმართ, რომელიც აღამიანისათვის უდიდესათ მისაჩნევია, მმართველობა, წესწყობილება ოჯახური, საზოგადოებური, სამოქალაქო, კანონები, ჩვეულებანი, ზნე-ხასიათი და სწვა ამისთანა სულ ერთად და ერთს დროს მოქმედნი, ჰქმნიან იმას, რასაც რომელისამე დროის მდგომარეობას ერისას, თუ კაცობრიობისას, ეძახიან, ანუ ცივილიზაციას. თავის მეტ-ნაკლებობით“².

მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ი. ჭავჭავაძე ყველა ამ ფაქტს თანაბაზ მნიშვნელობას აძლევს და მათ უბრალო, გარეგან კავშირზე ან ურთიერთზემოქმედებაზე ლაპარაკობს. იგი შორსაა ფაქტორების თეორიისაგან, რომლის თანახმად საზოგადოების მოძრაობას განსაზღვრავენ იმდენი რიგიც, ფაქტები, რამდენი იღეოლოგიური ფორმაცაა: მორალი, სამართალი, რელიგია, მეცნიერება, ხელოვნება და სხვა. ფაქტორების თეორიის თანახმად, ფაქტორებს შორის თავბრუდამხვევი ურთიერთზემოქმედება არსებობს და ერთი განმსაზღვრელი პრინციპი არ ჩანს. ი. ჭავჭავაძის თვალსაზრისი ასეთი არაა.

ილია ჭავჭავაძის აზრით, საზოგადოებრივი მოვლენების ძირითადი განმსაზღვრელი მიზეზია სოფლის მეურნეობა, მიწათმოქმედება:

საზოგადოებრივი ცხოვრების მოძრაობისა და განვითარების განმსაზღვრელ ძირითად ძალთა რიგში ილია ჭავჭავაძე

¹ Веरований — შენიშვნა ი. ჭავჭავაძისა.

² ი. ჭავჭავაძე, თხ. 5, გვ. 18.

თავსებს მრეწველობასა და ვაჭრობასაც: „ეხლა ან ადლი უნდა გვეჭიროს ხელში, ან გუთანი, ან ჩარხი ქარხნისა, ან მართულები მანქანისა“¹. „ისტორია მარტო იმ ქრს ეკითხება,— ამზობს ი. ჭავჭავაძე,— რომელსაც მიწაზედ ფეხი უდგას და ხელი გუთანს უვლია. თავდაპირველი შემომქმედი ეროვნებისა და ერის სიმდიდრისა მარტო გუთანი და მიწა ყოფილა და იქნება კიდეც. რადგანაც ისტორიას და ჩვენთა მამა-პაპათა მხეობას და თავგანწირვას ეს ორი ძვირფასი განძი ჩვენთვის შეურჩენია, რადგანაც საპოლიტიკო და საეკონომიკო უფაცხოვრება (ხაზი ჩემია. — ა. თ.) ამ ორის საგნით სულ-დგმულობს, ამიტომაც ყოველი წარმატება, ყოველი წინ გადაღმული ბიჭი ამ ორ საგნის მიმართ ჩვენთვის დიდის. ყურადღების ღირსი უნდა იყოს“².

საზოგადოებრივ ცხოვრებას, მართალია, ცვლის და აახლებს მეცნიერება და ხელოვნება, მაგრამ არა თავისი დამოუკიდებელი ძალებით, არა საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან დამოუკიდებლად, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრებით განსაზღვრული ძალებით, რადგან მეცნიერება და ხელოვნება „თვითვე ცხოვრების ნაყოფნი არიან“³ საზოგადოებრივი ცხოვრების გაუმჯობესების სურვილის, განახლების იმედის, შეცნიერებისა და ხელოვნების „ძირები ცხოვრებაშია გამოკვანძილი“⁴.

მეცნიერებისა, ხელოვნების, საერთოდ, იდეოლოგის როლი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში ისაა, რომ ისინი საზოგადოებრივ ცხოვრებას „აცნობიერებენ“ და „აგვისტინიან“⁵. ცხოვრება ძირია, ხელოვნება და მეცნიერება კი — მასზე ამოსული შტოები. მეცნიერება და ხელოვნება აზრს ამოძრავებენ, ხალხის მისწრაფებასა და სურვილებს გამოთქვამენ და ცხოვრების განახლებასა და განვითარებას

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 6, გვ. 12.

² იქვე, გვ. 238.

³ ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 4, გვ. 12.

⁴ იქვე, გვ. 69.

⁵ იქვე, გვ. 70, 71, 73.

ხელს ამ გზით უწყობენ! საზოგადოებრივი ცხოვრების თვით-
ნებურად შეცვლა, სუბიექტური განწყობილების მიხედვით
შისი განვითარება და ამაღლება ილიას სულელურ განზრახ-
ვად მიაჩნია. „ღმერთმა გვიხსნას, — ამბობს ი. ჭავჭავაძე, —
იმ სულელურ თამამობისაგან, რომელიცა ფიქრობს გადასხ-
ვაფეროს ცხოვრება თავისებურად. ჩვენ ისე არ გავპრიყვ-
დებით, რომ ჩვენ საკუთარ წესზედ მოვინდომოთ ცხოვრების
გატარება. თითონ ცხოვრება აღმოშობავს ხოლმე თავისუავის-
წესსა, განსაზღვრავს ხოლმე თავის რჩულსა და კანოშსა“².

ხალხი, მასა, უმეტესობა მხოლოდ გრძნობს ცხოვრების
ვითარებას. ვითარების შეგნება, მისი მეცნიერული ათვისება
„დაწინაურებული თაობის“ საქმეა. „ხალხი, უფრო მეტი მაინც,
ვერ გამოიკვლევს ვითარების აზრსა, მნიშვნელობასა, ხშირად
კი ბუნდად მიხვდება. გრძნობს, მაგრამ ხშირადაც მოხდება
ხოლმე, რომ ხალხი რასაცა ჰგრძნობს იმას ვერა სცნობს და
ვერ არჩევს. სხვათა შორის“³.

ყოფიერებაში არსებული განვითარების კანონზომიერე-
ბა „დაწინაურებული თაობის“ ცნობიერებაში გამოისახება
მეცნიერებისა და ხელოვნების სახით. „დაწინაურებულ თაო-
ბაში“ გათვითცნობიერებული და მეცნიერულ განზოგადებამ-
დე ამაღლებული შეგნება ხალხს გადაეცემა, ხალხი მას აით-
ვისებს და საქმიანობას დაიწყებს. როდესაც მეცნიერებისა
და ხელოვნების მონაპოვარი ხალხის სულსა და გულს
დაეუფლება, როდესაც ხალხიც შეიგნებს ცხოვრების არა-
ცნობიერი პროცესის კანონზომიერებას, მაშინ ხალხი ცნო-
ბიერებიდან საქმიანობაზე გადადის და ისტორიის კეთებას
იწყებს. ასეთია ი. ჭავჭავაძის აზრი.

„რა აახლებს, რა სცვლის და — თუ ცხოვრება ჯანმრთე-
ლია — რას მიყავს წინ? ცოდნასა, მეცნიერებასა, რომელნიც
თვითვე ცხოვრების ნაყოფინი არიან“⁴.

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 4, გვ. 73, 74, 78, 79.

² იქვე, გვ. 78.

³ იქვე, გვ. 69, 70.

⁴ იქვე, გვ. 68.

ილია ჭავჭავაძე შორსაა როგორც სუბიექტურ-იდეალისტური, ხალხოსნური შეხედულებიდან, ისე იმ მიმართულებისაგან, რომლის თანახმად ისტორიული პროცესი უშუალოდ ეკონომიური ფაქტორებით განისაზღვრება. ილია ჭავჭავაძის შეხედულებით, ხალხი ქმნის თავის ისტორიას და ქმნის თავისი აქტიური, შეგნებული და შემეცნებული ჩარევით. რაკი ცხოვრების არაცნობიერი პროცესის კანონზომიერება საზოგადოების ცნობიერებაში გამოისახება, საზოგადოების შეგნება შემდეგ უკუგავლენას ახდენს ცხოვრების განვითარებაზე. „ცხოვრება, — ამბობს ილია, — ძირია, ხელოვნება და მეცნიერება მასზედ ამოსული შტოები არიან“. „ხელოვნება და მეცნიერება... ხალხის აზრს გამოსთქვამენ“!

რით და როგორ უახლოვდება ილია ჭავჭავაძის თვალსაზრისი მეცნიერულ თვალსაზრისს? რაში მდგომარეობს ეს სიახლოვე?

ილია ჭავჭავაძე ადამიანთა საზოგადოების ისტორიის განმსაზღვრელ ძალებად გუთანსა და ადამიანის შრომას თვლის. 1881 წლის ნოემბერში დაწერილ შინაურ მიმოხილვაში ილია „ტეტია გუთნის“ ძალას საზოგადოებრივი ცხოვრების დედაბოძად მიიჩნევს. „ქვეყანა ვისია? — წერს ილია. — ყოველივე ჩემიაო, ამბობს ოქრო. ყოველივე ჩემიაო, — იძანის ხმალი. ყველასფერს ვიყიდიო, — მოჰკვეხს ოქრო. ყველასფერს ხელში ვიგდებო, — იქადის ხმალი. მითამ ეგრეა? არა გვგონია“. არის ერთი რაღაცა და ის ასულდგმულებს ყოველივეს. „იმას რომ ერთს ბეჭრ ხანს ჩასთვლიმოს, არც ოქროს ექნება რამე საყიდავი და არც ხმალს მოსატაცებელი. იმას რომ ერთს ბეჭრ ხანს ჩასთვლიმოს-მეთქი, არ ვიცი ქვეყანას რა დაემართებოდა, თუნდა ოქროს მთები იდგეს და ხმლების ტყეები. უიმისოდ იქროს ქვეყანაზედ მოედანი არა აქვს და არც თითონ ძალოვანს ხმალს დიდი და ხანგრძლივი მანძილი. ის ერთი რაღაცა — გუთანია, ანუ უკეთ ცსოქვათ,

მიწის მოქმედება“.— „ამ ტეტია გუთანს შეუძლიან სთქვას: „შენ, ოქროვ, უჩემოდ უქმი ხარ, არაფერში გამოსაყენებელი; უჩემოდ გაბათილებული ვექსილი ხარ, ანუ, უკეთ ვსთქვათ, გაკოტრებული კაცის თამასუქი: ექნება რამე, — მიიღებ, არა და პირში ჩალა გამოივლე და თუნდა თავი წყალს მოეცი“.— „ხშიალო, შენ-კი... იქნება უჩემოდ შესძლო რამე, მაგრამ ისე-კი, როგორც ნიაღვარი: მოვარდები, წარლვნი, წალეკავ, მიღეწ-მოღეწ, ბოლოს კი, როცა იქნება, ჩაივლი და ჩაშრები“.— „გუთანს კი ერთი განსაკუთრებული მშვიდობიანი დანიშნულება აქვს: დედამიწის უხვი გული გადა-გვიშალოს და იქიდამ საზრდოება გვაწვდიოს. გუთანი, ქართ-ველებო, გუთანი!“.— „მყობადი იმისია, ვინც მიწაზე ფეხგადგმულია და მიწას ამოქმედებს...“!

„ისტორია მარტო იმ ერს ეკითხება, რომელსაც მიწა-ზედ ფეხი უდგას და ხელი გუთანს უვლია. თავდაპირუელი შემომქმედი ეროვნებისა და ერის სიმდიდრისა მარტო გუ-თანი და მიწა ყოფილა და იქნება კიდეც... საპოლიტიკო და საეკონომიკო ყოფა-ცხოვრება ამ ორის საგნით სულდგმუ-ლობს“¹. ამით ილია ჭავჭავაძე გამოთქვამს მთელი თავისი ის-ტორიის ფილოსოფიას. ოქრო მხატვრული სახე და სიმბოლოა ვაჭრობისა, ხმალი — თავდაცვისა და თავდასხმის, გუთანი კი — მიწათმოქმედების.

ამრიგად, ი. ჭავჭავაძის შეხედულებით, ხალხის ეკონო-მიურ, პოლიტიკურ, სახელმწიფოს თავდაცვითსა და თავდასხ-მითს საქმიანობას ასულდგმულებს და განსაზღვრავს მიწათ-მოქმედება: შრომის, გუთნისა და მიწის ერთიანობა. ი. ჭავ-ჭავაძის შეხედულებით მიწათმოქმედება, სოფლის მეურნეო-ბა საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითადი მამოძრავებელი მიზეზია.

გუთნისა და მიწათმოქმედი შრომის შიჩნევა ადამიანთა საზოგადოების ისტორიის განმსაზღვრელ ძალებად ისტორი-

¹ ი. ჭავჭავაძე ტხ., ტ. 6, გვ. 163, 164, 165, 166.

² იქვე, გვ. 238.

ის იდეალისტური გაგების უარყოფაა, მაგრამ არც ისტორიული მატერიალიშია.

ი. ჭავჭავაძე „პირველუამური“, სათემო წყობილების ურთიერთობის უპირატესობას, შედარებით კერძო-მესა-კუთრულ წყობასთან, იმაში ხედავს, რომ აქ ასეთ „უსწორ-მასწორობას“, „უჯრა-უჯრობასა“ და „გუნდ-გუნდობას“ აღილი არა აქვს შრომის პროცესში, აქ „მიწის მშრო-მელი და მიწის-მფლობელი ერთი და იგივე კაცია“. კერ-ძო-მესაკუთრულმა წყობილებამ კი „განაშორა მუშახელი სამოქმედო საგანს — მიწას, განაცალკევა მუშა და სამუშაო საგანი. მავ განშორებამ და განცალკევებამ დიდათ შეარყია და შეშალა ბუნებრივი მიმდინარეობა ეკონომიკურის ცხოვ-რებისა, იმიტომ, რომ ერთ მხრივ დარჩა მუშახელი უმიწოდ და მეორე მხრივ — მიწა უმუშახელოდ“¹.

ილია ჭავჭავაძემ შესანიშნავად იცის, რომ ერთეული ადა-მიანი ბუნების წინააღმდეგ ბრძოლაში, საარსებო პირობების შექმნაში უსუსურია, რომ საზოგადოებისაგან იზოლი-რებულად ცალკეულ ადამიანს ცხოვრება და შრომა არ შეუძლია. „ადამიანი, — ამბობს ის, — ბუნებითად ორს მხა-რეს წარმოადგენს. ერთის მხრივ იგი ცალკე სულიერია, რომელსაც თავისი პირადი, საკუთარი საგანი აქვს ცხოვ-რებისა და სხვაზე დამოუკიდებლად მიეზიდება ამ საგნისაკენ, და მეორეს მხრით ზოგადი სულიერია, რომელიც მრავალ-გვარად გადაბმულია, დამოკიდებულია სხვა თავის მსგავს სულიერებაზედ იმ აუცილებელ საჭიროების გამო, რომ მარ-ტოდ ცხოვრება ბუნებითად არ უწერია და უნდა უსათუოდ ცხოვრობდეს თვისთა მსგავსთა შორის“².

რამდენადც ი. ჭავჭავაძეს წარმოების წესი საზოგადოდ მიწათმოქმედების წესზე დაჰყავს, ხოლო საწარმოო ძალები საზოგადოდ — სოფლის მეურნეობის ძალებზე, ამდე-ნად მას საზოგადოდ წარმოებაში ადამიანების ურთიერთობა

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 8, გვ. 162.

² აქვე, იგივე წერილი, „ხიზნების საქმე“, ნარკვევი მეორე, გვ. 116.

ესმის როგორც აღამიანების ურთიერთობა სოფლის მეურნეობაში.

ი. ჭავჭავაძემ საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითად მამოძრავებელ მიზეზად, სოფლის მეურნეობა აღიარა .იღია ჭავჭავაძე, ფიზიკრატების მშვავსად, სასოფლო-სამეურნეო შრომას თვლიდა ყოველგვარი შრომის დასაყრდენად, სოფლის მეურნეობას კი—ყოველგვარი წარმოების საფუძვლად. „ფიზიკრატების შეხედულებით, — ამბობს კ. მარქსი, — მიწათმოქმედებითი შრომა არის ერთადერთი მწარმოებლური შრომა... ის შეადგენს არა მარტო დამატებითი შრომის ბუნებრივ დასაყრდენს თავის საკუთარ სფეროში, არამედ ყველა სხვა დარგის შრომის დამოუკიდებელი არსებობის დასაყრდენსაც... ფიზიკრატები ფიქრობენ, რომ მრეწველობაში მუშა აჩ ზრდის ნივთიერების რაოდენობას, მუშა აქ მხოლოდ მის ფორმას ცვლის, მასალას აძლევს მიწათმოქმედება: „თავისუფალი მუშახელის“ რაოდენობა... განისაზღვრება სოფლის მეურნეობის პროდუქტების რაოდენობით, რომელსაც მიწათმოქმედი მუშა აწარმოებს მისი საკუთარი მოხმარების დამატებით“¹.

ამ ნაკლოვანებებთან ერთად, ფიზიკრატების ეკონომიური მოძღვრება დადებით და პროგრესულ მხარეებსაც შეიცავდა. ფიზიკრატების ეკონომიური მოძღვრების ძირითადი იდეები ლრმად გამოხატავდა ბურუუაზიული წყობილების გამარჯვების მოახლოებას. ამ მოძრაობას, მართალია; ახასიათებდა „ფეოდალური გარეგნობა, ისე როგორც განათლების ეპოქის არისტოკრატიული ტონი, რომელიც ფეოდალების მთელ მასას თავგამოდებულ მომმარაგებლად და ამ სისტემის გამავრცელებლად ხდიდა“, მაგრამ ეს მოძღვრება იავისი „არსით აღიარებდა წარმოების ბურუუაზიულ წესს ფეოდალური წარმოების წესის ნანგრევებზე“².

ფიზიკრატების შემდგომი „დიდი დამსახურება; —

¹ К. Маркс, Теории прибавочной стоимости, т. I, ст. 39 1931 г.

² მარქსის მიერ ფიზიკრატების საერთო შეფასება იხ. ექვე, ვვ. 36, 45. ა. თ.

შარქსისავე შეფასებით, — ის იყო, რომ ისინი „წარმოების ბურჯუაზიულ ფორმებს“ განიხილავდნენ... როგორც გამო- წვეულს წარმოების ბუნებრივი აუცილებლობით, როგორც დამოუკიდებელს ნებისყოფისაგან, პოლიტიკისაგან და ასე შემდეგ. ეს მათვეის იყო მატერიალური კანონები¹.

ასეთია კ. მარქსის მიერ ფიზიკრატების თვალსაზრისის შეფასება. ასეთავე უნდა იყოს ფიზიკრატების თვალსაზ- რისთან ახლო მდგომი ი. ჭავჭავაძის თვალსაზრისის შეფასე- ბაც.

2. მეცნიერების, ხელოვნების, მოწინავე თაობისა და დიდი აღამიანის როლი, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითა- რებაზე

ი. ჭავჭავაძის შეხედულებით, მიწის კერძო საკუთრების დამკვიდრების შეძლებ საზოგადოება ორ ნაწილად გაიყო. დაირღვა პირველყოფილი სათემო წყობილება და საზოგა- დოება დაიყო ღარიბებად და მდიდრებად, ძლიერებად და უძლურებად, უშიშაწყლოებად და მიწათმფლობელებად. სა- ზოგადოების აშ ნაწილებს შორის წინააღმდეგობა და ბრძო- ლა კი არ მცირდებოდა, არამედ ძლიერდებოდა².

საზოგადოების ორ მოპირდაპირე ნაწილად დაყოფის შემდეგ საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლითა და განვი- თარებით ღაინტერესებული იყვნენ ჩაგრული, მასები, საზო- გადოების დაკამაყოფილებული და მდიდარი ნაწილი კი განვი- თარებისა და წინსვლისათვის თავს არ იტკივებდა. საზოგა- დოების ბედნიერი და კამაყოფილი ნაწილი ფიქრობდა: რა საჭიროა წინსვლაზე და განვითარებაზე ზრუნვა, ვაი თუ ბედნიერება დავკარგოთ! ი. ჭავჭავაძე თავის შეხედულებას ზოგადფილოსოფიური დებულებით ასე გამოთქვამდა: „ჩვენ ჩოდ ჩვენს თავს ბედნიერად ვგრძნობდეთ, ცვლილება შეგ- ვაწუხებდა, დაგვალონებდა, ვაი თუ რაცა გვაქვს, ისიც დავ- კარგოთ, ვიტყოდით. მაგრამ... ოჰ, რა კარგი რამ არის“

¹ K. Marks, Теории прибавочной стоимости, т. I, ст. 37, 1913 г.

² ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 8, გვ. 162; ტ. 7, გვ. 8.

შექსპირი, „მისი ლექსი... მომაგონდაო“ და ვერ მომითმენია რომ აქ არ ამოვწერო:

„ცვლილება არის სამწუხარო ბედნიერთათვის,
ბედკრული კი მას სიხარულით მიეგებიან.
მაშ შენ, ჰე სვეო ცვალებადო, აწ სალაში გეტყვი!...
შენ მე შთამაგდე, უბედური, ვაების წლვაში
და რაც მიყავი, ამაზედ მეტს ვეღარას მიზამ“¹.

მართალია, საზოგადოების დაბეჩავებული ნაწილი, მშრომელი ხალხი არის ის ძალა, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიას წინ ეწევა, მაგრამ ხალხს, საზოგადოების უმეტესობას უშუალოდ, პირდაპირ ნათლად დაცხადად არ შეუძლია საზოგადოებრივი ცხოვრების კანონზომიერების შემეცნება. ხალხი, საზოგადოების უმეტესობა ცხოვრების ვითარების გზასა და აზრს ვერ აკვლევს, ხშირად შუნდოვნად ხვდება, მხოლოდ გრძნობს. „ხშირად მოხდება ხოლმე, — ამბობს ილია, — რომ ხალხი რასაცა პგრძნობს, იმას ვერა სცნობს და ვერ არჩევს, სხვათა შორის“².

საზოგადოებრივი ცხოვრების ცვლილების გზებს, უკეთეს მერმისს იგრძნობენ ხალხის მოწინავე პირები, მას შეიმეცნებს ხალხის ავანგარდი, მეცნიერებისა და ხელოვნების „უკეთესი მიმდევარი, ხალხის დაწინაურებული თაობა“; ის „მაშინვე მიხვდება; რომ დრო იცვლება, პგრძნობს, რომ ეცა სული ახალის გაზაფხულისა, განახლებისა, პგრძნობს, რომ ძველი ცხოვრება აიგსო, დამწიფდა, რაც დათესილი იყო, იმის ნაყოფი მოიტანა და ახლა ამ ნაყოფიდან უნდა გამოიკრიფოს ახალი თესლი ახალის ცხოვრების გამოსაკვანდავათ“³.

თავის საფუძველში საზოგადოებრივი ცხოვრება არა-ცნობიერია. ცოდნა, მეცნიერება, საზოგადოებრივი ცნობიერება, საზოგადოებრივი აზრი, ხალხის შეგნება საზოგადოებრივ ცხოვრებაზე ამოსული შტოები არიან. საზოგადოებ-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხ., ტ. 6, გვ. 176, 177.

² ი. ჭავჭავაძე, თხ., ტ. 4, გვ. 70.

³ იქვე, გვ. 76.

რიგი ცხოვრება კი შეუგნებელი, არაცნობიერი, ძნელად საცნობი პროცესია. ამიტომ იგი უმეტესისათვის, ხალხისათვის უცნობი, ბუნდოვანი, ან მხოლოდ საგრძნობია. მოწინავე თაობის, მეცნიერებისა და ხელოვნების საუკეთესო წარმომადგენლების როლი იმაში მდგომარეობს, რომ მათ ცხოვრების არაცნობიერი პროცესი, ყოფიერება შეგნებაში გამოხატონ, მეცნიერებისა და ხელოვნების სხივების მეშვეობით გაანათონ და ხალხს შეაგნებინონ ისტორიის მიმდინარეობის კანონზომიერება. საზოგადოებრივი ყოფიერება მეცნიერებასა და ხელოვნებაში თავის გამოხატულებას, თავის განათებასა და გასსივოსნებას „მოწინავე თაობაში“, მეცნიერების საუკეთესო მიმდევართა თავებში პოულობს. მეცნიერება და ხელოვნება ცხოვრების ნაყოფია.

„ცხოვრება, — ამბობს ი. ჭავჭავაძე, — ძირია, ხელოვნება და მეცნიერება მასზედ ამოსული შტოები არიან. როგორც მიწიდგან ამოხეთქილი შტოები ისხამენ ნაყოფსა და როცა სათესლეთ მოჰსწევენ, ისევ მიწას გადმოსცემენ, რომ ახალი ძირი გაიქვთონ და ამ ძირმა სხვა ახალი შტოები ამოხეთქოს, აგრეთვე ცხოვრებაზედ ამოსულნი შტოები — მეცნიერება და ხელოვნება — ისხმენ ზედ ცხოვრების ნაყოფსა და როცა მოჰსწევენ სათესლოდ, ისევ ცხოვრებასვე გადმოსცემენ ახალის ცხოვრების გამოსაკვანძავად. ამისთანადამოკიდებულება აქვს ცნობიერებას ცხოვრებაზედ და ცხოვრებასა თავის რიგზედ — ცნობიერებაზედ“¹.

ი. ჭავჭავაძე საზოგადოებრივი ცხოვრებისა და მეცნიერება-ხელოვნების ურთიერთ დიალექტიყურ გავლენაზე მიუთითებს. ამ ურთიერთობაში წამყვანსა და ფესვს ცხოვრება წარმოადგენს. რაკი ცხოვრება წარმოშობს მეცნიერებასა და ხელოვნებას, ისინი პასიურ ძალებად კი არ ჩჩებიან, არამედ აქტიურ, ზემოქმედ და გარდამქმნელ გავლენას ახდენენ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. როდესაც საზოგადოებრივი ცხოვრება ხალხის ცნობიერებამდე ამაღლდება, როდე-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხ. ტ. 4, გვ. 73.

შექსპირი, „მისი ლექსი... მომაგონდაო“ და ვერ მომითმენია რომ აქ არ ამოვწერ:

„ცვლილება არის სამწუხარო ბედნიერთათვის,
ბედკრული კი მას სიხარულით მიეგებინ.
მაშ შენ, ჰე სვეო ცვალებადო, აწ სალამს გეტყვი!...
შენ მე შთამაგდე, უბედური, ვაების ზღვაში
და რაც მიყავი, ამაზედ მეტს ვეღარას მიზან“¹.

მართალია, საზოგადოების ღაბეჩავებული ნაწილი, მშრომელი ხალხი არის ის ძალა, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიას წინ ეწევა, შაგრამ ხალხს, საზოგადოების უმეტესობას უშუალოდ, პირდაპირ ნათლად და ცხადად არ შეუძლია საზოგადოებრივი ცხოვრების კანონზომიერების შემეცნება. ხალხი, საზოგადოების უმეტესობა ცხოვრების ვითარების გზასა და აზრს ვერ აკვლევს, ხშირად ბუნდოვნად ხვდება, მხოლოდ გრძნობს. „ხშირად მოხდება ხოლმე, — ამბობს ილია, — რომ ხალხი რასაცა ჰგრძნობს, იმას ვერა სცნობს და ვერ არჩევს, სხვათა შორის“².

საზოგადოებრივი ცხოვრების ცვლილების გზებს, უკეთეს მერმისს იგრძნობენ ხალხის მოწინავე პირები, მას შეიმეცნებს ხალხის ავანგარდი, მეცნიერებისა და ხელოვნების „უკეთესი მიმდევარი, ხალხის დაწინაურებული თაობა“; ის „მაშინვე მიხვდება; რომ დრო იცვლება, ჰგრძნობს, რომ ეცა სული ახალის გაზაფხულისა, განახლებისა, ჰგრძნიაბს, რომ ძველი ცხოვრება აივსო, დამწიფდა, რაც დათესილი იყო, იმის ნაყოფი მოიტანა და ახლა ამ ნაყოფიდან უნდა გამოიკრიფოს ახალი თესლი ახალის ცხოვრების გამოსაკვანძავათ“³.

თავის საფუძველში საზოგადოებრივი ცხოვრება არაცნობიერია. ცოდნა, მეცნიერება, საზოგადოებრივი ცნობიერება, საზოგადოებრივი აზრი, ხალხის შეგნება საზოგადოებრივ ცხოვრებაზე ამოსული შტოები არიან. საზოგადოებ-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხ., ტ. 6, გვ. 176, 177.

² ი. ჭავჭავაძე, თხ., ტ. 4, გვ. 70.

³ ივე, გვ. 76.

რივი ცხოვრება კი შეუგნებელი, არაცნობიერი, ძნელად საცნობი პროცესია. ამიტომ იგი უმეტესისათვის, ხალხისათვის უცნობი, ბუნდოვანი, ან მხოლოდ საგრძნობია. მოწინავე თაობის, მეცნიერებისა და ხელოვნების საუკეთესო წარმომადგენლების როლი იმაში მდგომარეობს, რომ მათ ცხოვრების არაცნობიერი პროცესი, ყოფიერება შეგნებაში გამოხატონ, მეცნიერებისა და ხელოვნების სხივების მეშვეობით გაანათონ და ხალხს შეაგნებინონ ისტორიის მიმდინარეობის კანონზომიერება. საზოგადოებრივი ყოფიერება მეცნიერებასა და ხელოვნებაში თავის გამოხატულებას, თავის განათებასა და გასხივოსნებას „მოწინავე თაობაში“, მეცნიერების საუკეთესო მიმდევართა თავებში პოულობს. მეცნიერება და ხელოვნება ცხოვრების ნაყოფია.

„ცხოვრება, — ამბობს ი. ჭავჭავაძე, — ძირია, ხელოვნება და მეცნიერება მასზედ ამოსული შტოები არიან. როგორც მიწიდგან ამოხეთქილი შტოები ისხამენ ნაყოფსა და როცა სათესლეთ მოჰსწევენ, ისევ მიწას გაღმოსცემენ, რომ ახალი ძირი გაიკეთონ და ამ ძირმა სხვა ახალი შტოები ამოხეთქოს, აგრეთვე ცხოვრებაზედ ამოსულნი შტოები — მეცნიერება და ხელოვნება — ისხმენ ზედ ცხოვრების ნაყოფსა და როცა მოჰსწევენ სათესლოდ, ისევ ცხოვრებასვე გაღმოსცემენ ახალის ცხოვრების გამოსაკვანძავად. ამისთანადამოკიდებულება აქვს ცნობიერებას ცხოვრებაზედ და ცხოვრებასა თავის რიგზედ — ცნობიერებაზედ“¹.

ი. ჭავჭავაძე საზოგადოებრივი ცხოვრებისა და მეცნიერება-ხელოვნების ურთიერთ დიალექტიკურ გავლენაზე მიუთითებს. ამ ურთიერთობაში წამყვანსა და ფესვს ცხოვრება წარმოადგენს. რაკი ცხოვრება წარმოშობის მეცნიერებასა და ხელოვნებას, ისინი პასიურ ძალებად კი არ რჩებიან, არამედ აქტიურ, ზემოქმედ და გარდამქმნელ გავლენას ახდენენ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. როდესაც საზოგადოებრივი ცხოვრება ხალხის ცნობიერებამდე ამაღლდება, როდე-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხ. 4, გვ. 73.

შაც ცხოვრების მიმდინარეობის არაცნობიერი, ბუნდოვანი პროცესი გაცნობიერდება და ხალხის შეგნებაში ფესვებს შაიღვამს, ხალხი შეგნებულად დაიწყებს აქტიურ მოქმედებას და ცხოვრების აქტიურ გარდაქმნას ხელს მოჰკიდებს. „რაც ცნობაში მოყვანილი, რაც დამტკიცებულია, მხოლოდ ის გადადის ხალხში, მხოლოდ ის მიიღება ხალხისაგან. და რაც მიიღება, მხოლოდ იგი ცვლის ხალხის მდგომარეობას, ცხოვრებასა“¹.

საზოგადოებრივი ცხოვრების მიმღიწარეობის შემეცნება და გათვითცნობიერება მეცნიერებასა და ხელოვნებას ევალებათ. ამ როლს საზოგადოების მოწინავე ნაწილი, მეცნიერებისა და ხელოვნების „საუკეთესო წარმომადგენლები“ ასრულებენ. როდესაც ისინი ჩამოაყალიბებენ, დაასაბუთებენ და დაამტკიცებენ შეხედულებებს, აზრებს, ხალხი მათ ამის შემდეგ მიიღებს. ხალხი დაუსაბუთებელ იდეებს, არაჭეშმარიტ შეხედულებებს არ იღებს.

მეცნიერება და ხელოვნება არსებითად იმას გამოთქვამს, რაც ხალხის მიერ იგრძნობა, ბუნდოვანად განიცდება. „მეცნიერება და ხელოვნება, — ამბობს ილია, — ერთ და იგივეს გამოსთქვამენ: ხალხის აზრს“².

მეცნიერება და ხელოვნება ცხოვრების გაუმჯობესებას, ცხოვრების წინმსვლელობას უნდა ემსახურებოდეს. მათ ეკისრებათ ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, საარსებო პირობების ამაღლება. მათ უნდა იზრუნონ მშიერთათვის, უნდა გამონახონ ყოველგვარი ლონისძიება ცხოვრების განვითარებისა და ამაღლებისათვის. „ჩვენ, — ამბობს ილია, — მეცნიერებასა და ხელოვნებას მოვსთხოვთ არსებითსა პურსა ცხოვრებაში გამომცვარსა და მშიერთათვის მოსახმარესა და გამოსაღებსა. მეცნიერებამ უნდა გვიშველოს თავის გამოცნობილ ჭეშმარიტებებით ცხოვრების ახსნა და გაგებაში; მან უნდა მოგვცეს პირდაპირი პასუხი ყოველ საჭირო კი-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 4, გვ. 73.

² იქევ, გვ. 73, 74.

თხვაზედა. რაც კი პირდაპირ მოედგმება ცხოვრების ვითა-
რებასა, რაც კი გადმოილება ცხოვრებისათვის...”¹. მეცნიერებ-
ბა და ხელოვნება „ჩვენის ფიქრით, არიან მხოლოდ ღონის-
ძიებანი, რომელიც გვიშველიან ცხოვრების სიბრულიდან
სინათლეში გამოყვანასა“².

მეცნიერება და ხელოვნება ადამიანის გამონაგონი არ არის.
ისინი ადამიანის ნებასურვილით კი არ განისაზღვრებან და
იბადებიან, არამედ მათ ცხოვრება წარმოშობს. ისინი სინამდვი-
ლის განვითარების გამოხატვაა ადამიანის შეგნებაში, და რაკი
ჩამოყალიბდებიან ადამიანის შეგნებაში, ისინი ცხოვრების
აქტიურ, გარდამქმნელ ძალებს წარმოადგენენ.

„ჩვენ გვინდოდა გვეჩვენებინა, — ამბობს ილია, —
რომ, მეცნიერება და ხელოვნება არ არიან მოგონილნი კა-
ცის ჭკვის და გამოხატულობის არც ვარჯიშობისაგან და არც
ვარჯიშობისათვის; რომ იგინი იბადებიან ცხოვრებისაგან და
არსებობენ ცხოვრებისათვის; რომ იგინი წინ მიღეან ცხოვ-
რების ვითარებისა გამო და მერე თავის რიგზედ თვითვე წინ
მიჰყავთ ცხოვრება; რომ რაც მავათაგან არის მოყვანილი
ცნობაში და დამტკიცებული, ის გადადის ხალხში და იგი
სცვლის ხალხის მდგომარეობასა და ცხოვრებას“³.

ილია ფრიად საგულისხმო აზრს გამოთქვამს თეორიისა
და პრაქტიკის ურთიერთობის შესახებ. „საქმეა ყოველთვის
გამომცდელოო“⁴, — ამბობს ილია. თეორია უსათუოდ პრაქ-
ტიკით უნდა განახორციელონ, განყენებული აზრი ცხოვრე-
ბაში გადმოიტანონ და მას საფუძვლად დაუდონ⁵. „ცხოვრება
ყოველთვის ორ დიდ ტოტად დადის. ერთი ტოტი მოაზრე
ცხოვრებაა. (Идеальная жизнЬ. — ავტორი), მეორე—მოსაქმე
(Практическая — ავტორი), რომელიც ისე არიან ერთმა-
ნეთზე დამოკიდებულნი, რომ ხან ერთია მეორისაგან წარ-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხ., ტ. 4, გვ. 80.

² იქვე, გვ. 82.

³ იქვე, გვ. 89.

⁴ იქვე, გვ. 78.

⁵ ი. ჭავჭავაძე, თხ., ტ. 7, გვ. 227.

შოდგენილი, ხან მეორე პირველისაგან. თვით აზრიც სხვა არა არის რა, გარდა იმისა, რომ საქმეა, ჭერ განუხორციელებელი და საქმეც — აზრია, უკვე განხორციელებული¹.

როდესაც საზოგადოებრივი მნიშვნელობის იღები და აზრები დამტკიცებულ ფორმას მიიღებენ, მეცნიერულა ავტორიტეტით შეიმოსებიან და ხალხს გადაეცემიან, ისინა რეალურ ძალად იქცევიან და საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნას იწყებენ. ასეთი აზრები ხალხს ამოძრავებს და ამოქმედებს. „როცა, — ამბობს ი. ჭავჭავაძე, — საზოგადო მნიშვნელობის აზრი ამოქმედებს სიტყვას, მაშინ თითონ თქმა ქმნად გადიქცევა ხოლმე. ამ გზით სულჩადგმული ცხოვრება მოედანზედ გამოდის და შემოქმედებითი ძალა ცხოვრებისა აღარ უქმობს, არამედ იღვიძებს და ფრთას ის-ხამს. ეს შემოქმედებითი ძალი ცხოვრებისა სათავეა ყოვლის წარმატებისა და მაგ ძალის ძლიერებაზედ დამოკიდებულია ყოველი იმედი ცხოვრების წინ-წადგომისა და განკარგებისა².

მართალია, მეცნიერებისა და ხელოვნების მოწინავე ადამიანები გრძნობენ და შეიცნობენ იმას, რასაც ხალხი ბუნდოვანად განიცდის, მართალია, ისინი პირველი მიხვდებიან, რომ ცხოვრება იცვლება, რაღაც ახალი უნდა მოვიდეს, ძველი ისტორიის ჩაბარდეს; მართალია, ისინი თავგანწირულ ბრძოლასაც აწარმოებენ ახალი და უკეთესი ცხოვრების დასამკვიდრებლად, მაგრამ ხშირად ულონონი აღმოჩნდებიან ძველის გაუქმებისა და ახალი ცხოვრების დამკვიდრების საქმეში.

მეცნიერებისა და ხელოვნების მოწინავე ადამიანები ავანგარდი არიან; ისინი თვალი და სანათური არიან ხალხის მომავალი ცხოვრების გზის აღმოჩენის საქმეში, მაგრამ ხშირად ისტორიის მძიმე და რთულ პირობებში მათ არ შესწევთ ძალა და ღონე, ნებისყოფა და შორსმხედველობა მძიმე, რთული პირობებიდან გამოსასვლელად. ამ ღროს ცხოვ-

¹ ი. ჭავჭავაძის ტხ., ტ. 4, გვ. 224.

² ი. ჭავჭავაძე, ტხ., ტ. 6, გვ. 204.

რება მოითხოვს უფრო ძლიერსა და შორსმხედველს, მტკიცესა და გამძლეს, წინასწარმჸვრეტელსა და რთული პირობებიდან გამომსვლელს, ახალი ცხოვრების მტკიცე საძირკვლების ჩამყრელ ადამიანს, გმირს, გენიოსს და ისიც მოდის.

„მართალია, — ამბობს ილია, — ეს დაწინაურებული თაობა ხშირად თავდადებით ცდილობს აღასრულოს დროების მოთხოვნილება... მეცნიერებისა და ხელოვნების შემწეობით მოიყვანოს ცნობაში თვითეული მარცვალი... მართალია, ხშირად თავგანწირულად ჯაფასა სწევენ, ებრძვიან ძველსა ახალის სიყვარულისაგან და შეპხარიან ფაქტსა, რომელსაც აზრი უნდა გამოატანინონ, მაგრამ უფრო ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ვერ სძლევენ მოსავლის სიმრავლესა; ხშირად თვით მეცნიერებაც და ხელოვნებაც უღონონა არიან ერთობ ცხოვრების მოსავლის ცნობაში მოყვანისათვის. თუმცა ზოგიერთს ახსნიან, ზოგიერთს გაგვაგებინებენ, მაგრამ უფრო ბევრს ვერ დასდებენ ღირებულს უასსა, ვერ დაუნიშნავენ შესახვედრს და შესაფერს ადგილსა. მაშინ უგ თავგამოდებულნი მოჭირნახულენი რჩებიან, როგორც მუშავნი, რომელთაც ზოგიერთი მასალა მოუმზადებათ ახალის შენობისათვის, მაგრამ გამგებელი არა ჰყავთ; არ არის ძლიერი ხელი, რომ დასძრას პირველი ქვა ძველის შეწიბისა, და გამაგროს პირველი ქვა ახალის საძირკვლებია. საძრრკვლის ამოყვანაა ძნელი, თორემ სხვას ისინიც გააკეთებენ. საძირკვლის ამომყვანელიც არ დაიგვიანებს ხოლმე მოსვლას. მაშინ გამოჩნდება გენიოსი“¹.

რაში მდგომარეობს, ილიას აზრით, გენიოსის ძალა და სიდიადე მეცნიერების ჩვეულებრივ წარმომადგენელთან და „საზოგადოების ჩვეულებრივ წევრთან შედარებით? „გენიოსი, — ამბობს იგი, — აქვს „მახვილის ჭკვის თამამი გამჭვრეტელობა“, მას შეუძლია „მსჯელობით დროებაზედ მაღლა“ დადგეს, „საზოგადო ცხოვრების წრის გარეთ“ გავიდეს და „გარემოების თვალთდამაბნელებელ ქაოსში“ შეუმცდარად,

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 4, გვ. 70, 71.

წმინდა აზრით საგანი დაინახოს ისე, როგორც ის არის და უნდა იყოს. ილია ამასთან დაკავშირებით რუსთაველზე მიუთითებს: „რუსთაველმა ძალიან აღრე თქვა, რომ მარტო ბრძენი საწუთროს ეურჩებაო, სხვანი კი იმის მონები არიან“¹. „ცხოვრების ტალღა მეტად ძლიერია და ჩვეულებრივი კაცი მეტად სუსტი, რომ თან არ წაიყოლიოს იმ ტალღამ. მარტო გენიოსის მკერდი თუ გააპობს და შემუსრავს, თორჩებ სხვისთვის ძნელია“. გენიოსი შორსმხედველი, დროების მუშავე, გულმაგარი და უშიშრად წანმაულია, რგი თავისი ჭკუით ხალხს გზას უნათებს შორი მანძილისაკენ. „შორანხედველობა, — ამბობს ილია, — დროებაზედ უფლობა მარტო გენიოსის საქმეა. ის თავის თამაძს სვლაში შემოაბერტყავს ხოლმე დროების მტვერსა, არმელიც ჩვენისთანა კაცა უფარავს საგნის მნიშვნელობასა, გულუშიშრად მიდას წინ, როგორც ბელადი წინ მიუძლვის ხალხსა და უნათებს თავის ჭკუის სხივებით გზასა“².

გენიოსი ძლიერი სულის ადამიანია. იგი სხვა ადამიანებზე ძლიერ გრძნობს, უფრო მეტად გამჭირახი — და წინასწარმშვრეტი გონება და ძლიერი ნებისყოფა აქვს. იგი შეამჩნევს და დაინახავს იმას, რაც სხვისთვის შეუმჩნეველი და უხილვაია, განიცდის და განაცდევინებს იმას, რაც სხვების გრძნობიერებისათვის მიუწვდომელი იყო, ის უშიშარი და მტკიცეა ყოველივე იმის წინაშე, რაც დანარჩენებისათვის საშიში და სახითათოა. „იგი, — ამბობს ილია, — ცნობაში შოიყვანს იმას, რაც ჩვენ შორისვე იყო და არ გევსმოდა. მაშინ იგი გამოანგრევს ძველის საძირკველსა და ახალის საძირკველში რაკი ქვას დაამკვიდრებს, მიანებებს საქმეს უმცროსთა მუშაკთა“³.

ვინ არის გენიოსი თავისი წარმოშობით? საიდან მოდის, ვინ ქმნის მას?

¹ ი. ჭავჭავაძე, თხ. ტ. 4, გვ. 66.

² იქვე.

³ იქვე, გვ. 72.

იდეალისტურ-რელიგიური თვალსაზრისით, გენიოსი ღვთაების მიერ მოვლენილი ადამიანია, კიდევ მეტიც: იგი ღმერთია, ამ ქვეყნად ადამიანში განსახიერებული. ნაპოლეონი, ამბობდა ჰეგელი, ამ ქვეყნად მოკლინებული თეთრ ცხენზე მჯდომი ღვთაებრივი სულია. პრინციპულად საწანალმდეგაა ილია ჭავჭავაძის თვალსაზრისი. გენიოსი ცით მოვლენილი არსება კი არ არის, არამედ ხალხის წიაღიძან წარმოშობილი ადამიანია. „ნურავინ ნუ იფიქრებს, — ამბობს ილია, — რომ ჩვენ ვამბობდეთ... ვითომც გენიოსი ციდამ იყოს ჩამოსული. ისიც ისეთივე ნაყოფია თავისი ღროებისა, როგორც სხვანი, მხოლოდ ეგ ნაყოფი სრულია, დამწიფებულია“¹. გენიოსი, დიდი ისტორიული პიროვნება ისტორიის ობიექტური პირობებით არის განსაზღვრული და მცი მოქმედება, ამდენად, ამ პირობებით განისაზღვრება. მას არ შეუძლია თავისი გეგმების მახედვით ისტორიის შეცვლა. ი. ჭავჭავაძე დიდ ისტორიულ პიროვნებას უყურებს როგორც ხალხის ობიექტური ისტორიული პირობების ანარეკლს და ამ პირობების მიხედვით მოქმედს. გენიოსი იმას უნდა აკეთებდეს, რაც ხალხის ნება-სურვილიდან და ობიექტური ისტორიული პირობებიდან გამომდინარეობს, და არა იმას, რასაც მისი პირადი ოცნება და სურვილი უკარნახებს. ასეთი მეოცნებე არც შეიძლება იყოს დიდი ისტორიული პიროვნება, ასეთი პიროვნება უნიალაგოა, დონ-კიხოტია. გენიოსმა მხოლოდ ის უნდა გამოაქვას და აკეთოს, რაც ხალხის ისტორიული პირობებით არის განსაზღვრული და შესაძლებელი.

„ის (ე. ი. დიდი ადამიანი — ა. თ.), — ამბობს ილია, — თავის ძლიერი მხრებით ამოიტანს, ამოზილავს ხოლმე მას, რაც თითონ ცხოვრებაშია, ე. ი. ცხოვრების შიგ მდებარებასა; მასში არის მთელი აწმყო თავისი ღროებისა და თესლიც მომავალისა. არცერთი გენიოსი ჩვენ ახალს არ გვეტყვის, ის მხოლოდ გვიხსნის მას, რაც თითონ ცხოვრე-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხ., ტ. 4, გვ. 66, 67.

ბას ამოურიყავს თავის მდინარეობაში, რაც თავის დაუდგო—
მელ დუღილში მოუგდია ზედაპირზედა, — ამიტომაც ხა-
ლისხან ამას უფრო იქნება დაეტყოს თავისი დროების ნიშანი
ყველაფრისა: ცუდისა, თუ კარგისა, ვიდრე მას, ვინც და-
ბადება ხოლმე მარტო იმისათვის, რომ უხეიროდ მოკვდეს”¹.
„გმირებს, სახელოვან კაცებს, დიდებულ მოღვაწეებს ქვეყ-
ნისას... შემოქმედებითი ძალი ცხოვრებისა ბადავს”².

რამდენადაც გენიოსი თავისი ეპოქის ყველაზე სრული-
და მაღალი მოვლენაა, იმდენად, ცხადია, ის თავის ეპოქას-
სრულად გამოხატავს. დიდ ისტორიულ პირში, გენიოსში,
ეპოქა თავისი არსების ყველაზე ნათელ გამოხატულებას-
პოულობს. გენიოსი თავისი ეპოქის არსების განსახიერებას
წარმოადგენს, იგი თავისი ეპოქის საუკეთესო განცდათი,
აზრთა და სურვილთა განსახიერებაა.

გენიოსი შემთხვევით არ იბადება, იგი კანონზომიერო
მოვლენაა ისტორიის დიდი ეპოქისა. როდესაც საზოგადო-
ებრივ ცხოვრებას, ისტორიას სჭირდება, როდესაც რთული
ეპოქალური ამოცანებია გადასაწყვეტი, მაშინ გენიოსი ყო-
ველთვის მოდის. იგი, რა თქმა უნდა, ამოცანის გადაწყვეტის
მომენტში კი არ ჩნდება, იმ წამს კი არ ვლინდება სასწაუ-
ლებრივ. არა, იგი შესაძლებლობის სახით არსებობს ხალხში
და საჭიროების შემთხვევაში ეს შესაძლებლობა რეალობად
იქცევა. ასეთ აღამიანში ჩვეულებრივი სახით არსებული
მისწრაფება, აზროვნება, განცდები, რომლებიც მანამდე
ჩვეულებრივი დაკვირვებისათვის, შეუმჩნეველი იყო, ისტო-
რიული საჭიროების შემთხვევაში თელვებს, უჩვეულო
ზრდას იწყებს და, დიდი ეპოქალური ამოცანების დროს,
გენიოსის სახით წარმოსდგება.

„ჩვენ, — ამბობს ილია, — არ გვინდა... ვთქვათ, ვითომ
სწორედ იმ წამს იბადებოდეს გენიოსი. ის იქნება აქამდინაც
იყო, და უთუობაც უნდა ყოფილიყო, რომ ცხოვრებას თა-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 4, ვ. 66, 67.

² ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 6, ვ. 205.

ჭისი ძუძუთი გამოეზარდა, თავისითან გამოეცადა, მოემზადებინა თავისი ვითარებისვე აღსახსნელად. თუ აქამდინ არ გამოჩნდა იგი, იმიტომ, რომ მისი ძლიერი სულის შესაფერი საქმე არსად იყო; გამოჩნდა თუ არა საქმე, იმანაც გაშალა თავისი ძლიერი ფრთა და როგორც მზე გამობრწყინდა ცხოვრების გასანათებლად¹. ილის შეხედულებით, როდესაც გენიოსი თავის ისტორიულ მისიას შეასრულებს, იმას გააკეთებს, რისი გაკეთება მეცნიერებისა და ხელოვნების საუკეთესო წარმომადგენელმა ვერ შესძლო, როდესაც ის ახალი ცხოვრების საძირკვლებს ჩაყრის, შემდეგ მეცნიერებისა და ხელოვნების საუკეთესო წარმომადგენლები, მეცნიერება და ხელოვნება ისევ განაგრძობენ საქმის კეთებას გენიოსის მიერ ნაჩვენები გზით. მეცნიერების საუკეთესო წარმომადგენელთა აზრები, გენიოსში წარმოქმნილი აზრები დასაბუთებული, სისტემაში მოყვანილი სახით ხალხს გადაეცემა და ხალხი იწყებს ისტორიის კეთებას².

ი. ჭავჭავაძე საზოგადოების დაჩაგრულ („უბედურ“) ნაწილს ისტორიულ ვითარებაში პროგრესულ როლს ანიჭებს. ის არ ლაპარაკობს კლასების შესახებ, მას არა აქვს კლასის ცნება, მაგრამ პირველყოფილი საგვარეულო წყობილების შემდეგ კერძო საკუთრების წარმოშობასთან ერთად საზოგადოებაში რომ მქონებელნი და უქონელნი არსებობენ, მათ შორის რომ წინააღმდეგობაა და ისტორიული ცვლალებით საზოგადოების დაჩაგრული ნაწილია დაინტერესებული და არა მხაგრელები, ეს ი. ჭავჭავაძეს ნათლად აქვს შეგნებული.

ი. ჭავჭავაძე მტკიცედ იცავს პიროვნებისა და საზოგადოების ერთიანობისა და განუყრელობის აზრს. ამ ერთიანობასა და ურთიერთობაში მთავარ, წამყვან როლს ის საზოგადოებას ანიჭებს. მაგრამ, მისი აზრით, საზოგადოების უპირატესობა პიროვნების დამონებას არ უნდა იწვევდეს. პი-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხ. ტ. 4, გვ. 71.

² იქვე, გვ. 72.

როვნება საზოგადოებაში არც მონა უნდა იყოს და არც თა-
ვაშვებული. პიროვნება საზოგადოებრივ ინტერესებს უნდა
ემსახურებოდეს, საზოგადოება პიროვნების კეთილდღეობი-
სათვის უნდა ზრუნვლდეს. საზოგადოებაში ერთი ყველასა-
თვის, ყველა ერთისათვის უნდა იღწვოდეს. ესაა საზოგა-
დოებრივი ცხოვრების განვითარების მიზანი. მაგრამ ამ მიზ-
ნის განხორციელება მომავალშია შესაძლებელი.

ი. ჭავჭავაძე ამ საკითხთან დაკავშირებით ამბობს:
„... ადამიანი, იმისთანა თვისებით არის ქვეყანაზე გა-
ჩენილი, რომ ყველაფერში განცალკევებული ვერ მოიხ-
დენს, თვისთა მსგავსთა გარე ცხოვრებას ვერ შეი-
ძლებს ვერასგზით და ვერას მანქანებით. რაკი ეგრეა, მრა-
ვალგვარი დამოკიდებულება ერთმანეთზედ აუცილებელია
ადამიანისათვის, უმაგისოდ ადამიანთა ერთმანეთში მოთავსება.
შეუძლებელია და წარმოუდგენელი“¹. რამდენადაც ადამიანი-
საზოგადოებრივ ურთიერთობაში ცხოვრობს და მის გარეშე
არსებობა არ შეუძლია, იმდენად ის ვალდებულია საზოგა-
დოებრივი ცხოვრების პირობებსა და მოთხოვნილებებს დაე-
მორჩილოს, საზოგადოება მაღალ და მბრძანებელ გარემოდ
მიიჩნიოს: ... „მე“, — ამბობს ილია, — „მოვალეა“, „ჩვენ“ კი
მბრძანებელიო. ეგ „ჩვენ“ თითონ საზოგადოებაა, ანუ მთავ-
რობა“²... მაგრამ საზოგადოების მბრძანებლობა პიროვნება-
ზე, საზოგადოების პიროვნებაზე ბატონობასა და საზოგადო-
ების პიროვნების წინაშე მონობას როდი ნიშნავს. საზოგა-
დოება პიროვნებათა კეთილდღეობის გარემო უნდა იყოს და
არა მათი მონობისა და ჩაგვრის ორგანიზაცია. საზოგადოებ-
რივი ცხოვრების მიზანი პიროვნებათა კეთილდღეობაა. სა-
ზოგადოებრივი ცხოვრების ორგანიზაცია იმიტომ არის დამ-
კვიდრებული, რომ პიროვნებათა კეთილდღეობასა და ბედ-
ნიერებას ემსახუროს. სხვა აზრი საზოგადოებრივ ურთიერ-
თობის არსებობას არა აქვს. „ეგ „ჩვენ“, — ამბობს ი. ჭავ-

¹ ი. ჭავჭავაძის თხზ., ტ. 9, გვ. 35.

² იქვე.

ჭავაძე, — ...საზოგადოებაა, ანუ მთავრობა, ესე-იგი — იმის-
 თანა წყობაა, რომელიც მარტო იმისთვის არის, რომ თვი-
 თეულის ადამიანის ფარიც იყოს და სმალიც საჭიროებისა-
 მებრ. ღრმად რომ ჩაუკვირდეთ თითონ საზოგადოების არ-
 სებობის საგანსა და მიზეზს, დავინახავთ, რომ იგი სხვა არა
 არის-რა გარდა იმისა, რომ ადამიანის „მე“ თავის ჯეროვანს
 ადგილს დასვას ისე, რომ მის ცალკე ბედნიერებას, ცალკე
 კეთილდღეობას, სიკეთეს არა აბრკოლებდეს რა, მის სულსა
 და გულსა ფრთის გაშლას არა უშლიდეს რა, თუ რომ სხვის
 ბედნიერებას არას ერჩის და არას უშავებს¹. მაგრამ ასეთი
 მდგომარეობის დამყარება მსტორიის შორეული მიზანია. იქ-
 ტორიის შორეული მიზანია საზოგადოებაში დამკვიდრდეს
 ისეთი ურთისათვის და ერთი ყველასათვის იზრუნებს. საზოგადოე-
 ბის ყველა წევრი ცალკეულ პირთა სიყვარულით, კეოილ-
 დღეობითა და ზრუნვით უნდა განიმსჭვალოს და თითოეული
 პიროვნება ყველა დანარჩენის ბედნიერებისა და სიამოვნე-
 ბისათვის ზრუნავდეს. „მთელი პროგრესი კაცობრიობისა, —
 ამბობს ილია, — ამაზეა მიმართული, მთელს მოღვაწეობას
 კაცობრიობისას საგნად მარტო ეს აქვს და სხვა არარა. რო-
 მელი მოძღვრებაც გინდათ გასინჯეთ, ეხლანდელი, თუ უწინ-
 დელი, ყველას სახეში ისა აქვს, რომ თვითეულის ადამია-
 ნის „მეს“ უჭირველი ბინა დაუდოს ამ ქვეყნიერობაზედ და
 შეძლებისამებრ ჯეროვანად და უმეტ-ნაკლებოდ ბედნიერ
 ჰყოს². ადამიანის პიროვნებისა და პირადი ბედნიერების
 ხელშეუხებლობა საზოგადოებრივი ცხოვრების სასურველი
 მიზანი უნდა იყოს. თუ ადამიანს მისი პირადი მე შეულახე
 და უარყავი, მისი პირადი ბედნიერება თუ მოსპე, მას არა-
 ფერი რჩება, მაშინ მის სიცოცხლეს ყოველგვარი აზრი ეკარ-
 გება და ადამიანის აჩსებობა ნადირის ცხოვრებაზე დაბალი
 იქნებათ. „ადამიანს მისი „მე“, — ამბობს ილია, — გაუნა-
 დგურეთ, მის საკუთარ კარზედაც ნუ მოასვენებ, შინ შეუ-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 9, გვ. 36.

² იქვე.

სიენით, სჯიჯგნეთ და ჰერცეგით სულიერად და ხორციელად, დღე მუდამ შიშ ქვეშ ამყოფეთ, ან ეხლა შემომიხტებიან, ან ეხლაო, ერთის სიტყვით, საკუთარის ღირსების გრძნობა აპყარეთ და გაუქარვეთ და რაღა დარჩება აღამიანს ცხოვრების საგნად? რისთვის-ლა გაისარჯოს? რისთვის-ლა იღვაწოს? რისთვის-ლა მისცეს მხარი თავის მსგავსსა, თავის მოძმესა? ან რისთვის-ლა უნდა თითონ საზოგადოების არსებობა? ტყის ნადირი რით იქნება უარესი ამ-რიგად გათახსირებულ, ამ ყოფაში ჩავარდნილ აღამიანზედ”¹.

საზოგადოების უწმინდესი მოვალეობა ის უნდა იყოს, რომ პიროვნების კეთილდღეობასა და ბედნიერებას ემსახუროს. საზოგადოება პიროვნების ნივთიერ და მორალურ ამაღლებაზე უნდა ზრუნავდეს. მაგრამ ასეთი საზოგადოების შექმნა და განმტკიცება მთელი თავისი სისრულით შესაძლებელია მომავალში².

ასეთია ილია ჭავჭავაძის შეხედულება მეცნიერებისა და ხელოვნების, ხალხის, მოწინავე თაობისა და ღიღი აღამიანის როლის შესახებ.

ამგვარად, ბუნებისა და საზოგადოების შესახებ ილია ჭავჭავაძის ფილოსოფიური ნააზრევის კვლევა-ძიებამ შემდეგ დასკვნამდე მიგვიყვანა. ი. ჭავჭავაძის მედროშეობას ქართველი ხალხის კეთილდღეობისათვის, მის ბრძოლას ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგა ბატონყმური წყობილების დამსხვრევის მოთხოვნას, მემამულური მეურნეობის კაპიტალისტურ მეურნეობასთან შეგუებისა და საწარმოო ძალების ამაღლება - განვითარების საქმიანობას, მის ბრძოლას ძველი თავაღაზნაურული იდეოლოგიის წინააღმდეგ თეორიულ საფუძვლად. ედო სამყაროს მატერიალისტური გაგება. საზოგადოებრივი ცხოვრების საკითხების ახსნაში ი. ჭავჭავაძე მიუახლოვდა მატერიალისტურ თვალსაზრისს.

¹ ი. ჭავჭავაძე, თხ. ტ. 9, გვ. 32.

² იქვე, გვ. 39.

მის შეხედულებებში შემდეგი სწორი ელემენტები, სწორი მომენტებია: სოფლის მეურნეობის იარაღების განვითარების საჭიროება საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებისათვის, მეცნიერებისა და ხელოვნების წარმოქმნისა და განვითარების ახსნა საზოგადოებრივი ცხოვრებით; მეცნიერებისა და ხელოვნების უკუგავლენა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე; მასების, ხალხის და ისტორიული პიროვნების როლის სწორი შეფასება საზოგადოებრივი ცხოვრების მოძრაობასა და განვითარებაში.

- ილია ჭავჭავაძე ამ ელემენტების აღნიშვნით დაკმაყოფილდა. მისი თვალსაზრისი ისტორიულ მატერიალიზმამდე არ ამაღლებულა.

ესთეტიკური
შეხვდულება

ესთეტიკა ფილოსოფიური მეცნიერებაა, მისი შესწავლის საგანია ხელოვნება.

სამყაროს შესწავლისა და გარდაქმნის საქმეს შინაარსით მსგავსნი, ფორმით განსხვავებული, — მეცნიერება და ხელოვნება ემსახურებიან. ხელოვნება თავისი საგნითა და შინაარსით ისეთივე ფართო და უნივერსალურია, როგორც მეცნიერება. სამყაროს შემეცნებისა და გარდაქმნის საქმეორივე მათგანის შინაარსსა და მთავარ მიზანს წარმოადგენს. მაგრამ ამ მიზანს ისინი სხვადასხვა ფორმით ახორციელებენ: მეცნიერების ფორმა ცნებაა, ხელოვნებისა კი — სახე. მეცნიერება ცნებით აზროვნებაა, ხელოვნება — კი სახეებით. ხელოვნების სპეციფიკა სინამდვილის მხატვრულ ასახვაში მდგომარეობს.

ორი, ფორმით განსხვავებული, შემეცნების შესახებ ორი ფილოსოფიური მეცნიერება არსებობს: ლოგიკა და დიალექტიკა, როგორც შემეცნების თეორია და ესთეტიკა, როგორც ხელოვნების თეორია.

ესთეტიკა, როგორც ხელოვნების თეორია, მიზნად ისახავს შემდეგი ძირითადი საკითხების გარკვევას: 1. რა არის ხელოვნება და რა ფუნქციას ასრულებს ის საზოგადოებრივ ცხოვრებაში; 2. როგორია ფორმისა და შინაარსის ურთიერთობა ხელოვნებაში; 3. რა კავშირი აქვს ხელოვნებას მეცნიერებასთან, პოლიტიკასთან, მორალთან; როგორია ხელოვნების დამოკიდებულება სინამდვილესთან და სხვა.

ი. ჭავჭავაძეს ესთეტიკის ძირითად საკითხებზე გარკვეული დასრულებული შეხედულებები აქვს. ვნახოთ, როგორია ესთეტიკის ძირითად საკითხებზე მის მიერ გაცემული პასუნი, როგორია მისი ესთეტიკური თვალსაზრისი.

ხელოვნება და საზოგადოებრივი ცერემონიება

ი. ჭავჭავაძისათვის საზოგადოებრივი ცხოვრების წარმატება და განვითარება, ამაღლება და კეთილდღეობა ყველაზე სანუკვარი მიზანი იყო. იგი ქართველი ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრების წარმატებისათვის საჭიროდ სთვლიდა როგორც ხელოვნებას, ასევე მეცნიერებას. მისთვის არ არსებობდა „მეცნიერება მეცნიერებისათვის“, „ხელოვნება ხელოვნებისათვის“. ი. ჭავჭავაძის შეხედულებით, საზოგადოებრივი ცხოვრება ხელოვნებას იმისათვის წარმოშობს, რომ ეს უკანასკნელი მასვე ემსახუროს. მისი აზრით, ხელოვნების ღანიშნულება და მიზანი, აზრი და გამართლება საზოგადოებრივი ცხოვრების წარმატებაში მდგომარეობს.

საზოგადოებრივი ცხოვრება ხელოვნების წარმოშობი მიზეზიც არის და საზრუნავი მიზანიც.

ხელოვნება გასართობი და თავშესაქცევი საგანი კი არ არის, არამედ ცხოვრების ასახვისა და შემეცნების ერთ-ერთი საშუალებაა. „მეცნიერება და ხელოვნება, — ამბობს ი. ჭავჭავაძე, — არ არიან მოგონილნი კაცის ჭიკვის და გამოხატულების არც ვარჯიშობისაგან და არც ვარჯიშობისათვის; იგინი იბადებიან ცხოვრებისაგან და არსებობენ ცხოვრებისათვის“¹.

ხელოვნება ყოველგვარ აზრს ღაკარგავდა, თუ ის საზო-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 4, გვ. 83.

გადოებრივი ცხოვრების გაუმჯობესების საქმეს თავს აპრი-
ჭებლა და თავშესაქცევ, გასართობ მოვლენად გადაიქცეოდა.
ხელოვნების აზრი, გამართლება და დანიშნულება ცხოვრე-
ბის პირობების გაუმჯობესებაში მდგომარეობს. „მეცნიერე-
ბასა და ხელოვნებას ჩვენ, — ამბობს ილია, — ვუყურებთ,
როგორც ცხოვრების გასამჯობინებელ ღონისძიებათა“¹.

უნაყოფო და ფუქსავატურია პოეზია იმ პოეტისა, რო-
მელიც თავისი ხალხის ცხოვრების საჭირობოროტო საკითხებს
თავს არიდებს და თავისი პოეზიით ცხოვრების მიღმა, მეშვი-
დე ცაში ნავარდს იწყებს. „დაე ზოგიერთმა... უნაყოფო
პოეტმა ხელოვნების სახელითა, — ამბობს ი. ჭავჭავაძე, —
უკუარიდოს პირი თავის ხალხის ცხოვრებასა, მეშვიდე ცას
შეაჩეროს გაბეცებული თვალები და ბულბულსავით უაზრო
შტვენა დაიწყოს და აღარ გაათავოს. ჩვენ იმათთან საერთო
გზა არა გვაქვს“².

ხელოვნება საზოგადოებრივ ცხოვრებას აცნობიერებს,
გასაგებსა და ნათელს ხდის. ხელოვნება მუდამ დღე თავს უნ-
და დასტრიალებდეს ხალხის ცხოვრებას და ასახავდეს მის
ყოველგვარ ცვლილებას, რათა ხალხმა შეიგნოს, ნათლად და
მარტივად გაიაზროს, თუ რა სჭირდება საზოგადოებრივ
ცხოვრებას, რა გაუმჯობესებს და აამაღლებს მას. ხელოვნე-
ბა ხალხის, საზოგადოებრივი აზრის სალაროა³.

ხელოვნებამ დაუნდობლად უნდა გამოიყონოს საზოგა-
დოებრივი ცხოვრების ჭუჭყი და ნაგავი, მტკრვნეული და
საჭირობოროტო მხარეები. ხელოვნების მთავარი და არსები-
თი მიზანია დაანახოს ხალხს მისი ცხოვრების როგორც მტკივ-
ნეული, უარყოფითი, ისე დადებითი მხარეები; უარყოფითა

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 4, გვ. 79.

² იქვე, გვ. 79, 80.

³ იქვე, გვ. 68, 70, 72.

მხარეები უნდა გაკიცხოს და უკუაგდოს, დადებითი კი ხალხს გულში შთაუნერგოს, შეაყვაროს, რათა მათი ამაღლება-წარმატებისათვის ხალხმა შეუპოვრად და დაუზოგავად იმოქმედოს. „ხელოვნება,—ამბობს, ილია,—ნუ მოერიდება იმის გამოაშკარავებას, გაკიცხას, რაც ჩვენში საკიცხავია და ცუდი“, მან უნდა იაროს „ცხოვრების მდინარეში, მონახოს მარგალიტები და თუ იმათ ამოკრეფაში ლაფი და ლექი თან ამოყვება, რა უყოთ? ლაფი ჩამოვირეცხოთ, ჭუჭყი მოვიშოროთ, რომ მწოლოდ მარგალიტები დაგვრჩეს ჩვენის ცხოვრების სასახელოდ“¹.

ხელოვნებამ ცხოვრების მიღმა უნაყოფო ოცნებას და ფუქსავატურ ნავარდს თავი უნდა დაანებოს და ცხოვრების გაუმჯობესების საშუალებად იქცეს. ხელოვნებამ თავისი მომხიბვლელი სახეებით ცხოვრების ავი და კარგი უნდა შეგვაგნებინოს, ავი შეგვაძულოს, კარგი შეგვაყვაროს და მის ასამაღლებლად ბრძოლის წყურვილითა და შეუპოვარი მოქმედებით აღგვჭურვოს. „ხელოვნებასაც (ისე როგორც მეცნიერებას. — ა. თ.) იმას. მოვსთხოვთ, რომ სარკესავით ცხოვრება გადმოიცეს, რათა ჩვენი თავი მის მომხიბლავის კალმით ცხოვლად იყოს წარმომდგარი ჩვენ წინა, რათა სიცუდეცა და სიკეთეც ჩვენი დავინახოთ“. „ჩვენ... ხელოვნებას. მოვსთხოვთ არსებითსა პურსა ცხოვრებაში გამომცხვარსა და მშიერთათვის მოსახმარესა და გამოსადეგსა“².

ხელოვნება საზოგადოებრივი აზრის ამსახველი და განშავითარებელი უნდა იყოს. საზოგადოებრივი აზრის მხატვრულ სახეებში გამოთქმა და მისი განვითარება-ამაღლებისათვის ზრუნვა ხელოვნების ძირითადი ამოცანაა. ხელოვ-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 4, გვ. 82.

² იქვე, გვ. 8.

ნება იმავე საქმეს აკეთებს, რასაც მეცნიერება, მაგრამ სხვა სახით, სხვა ფორმაში. „მეცნიერება და ხელოვნება, — ამ ბობს იღია, — ერთ და იგივეს მსახურებენ: აზრის მოძრაობას; ერთ და იგივეს გამოსთქვამენ: ხალხის აზრსა, და თუ რამეში განიჩევიან, მხოლოდ იმაში, რომ სხვადასხვა გზით და სხვადასხვანაირად მოქმედებენ და გამოსთქვამენ“¹.

ხელოვნება საშუალება უნდა იყოს, რომლითაც მაჟ სები მეცნიერებას დაუახლოვდებიან და დაეუფლებიან. ხელოვნება შუამავალი უნდა იყოს მეცნიერებასა და ხალხს შორის. ამ საკითხთან დაკავშირებით ილია ამბობს: „საჭიროა სკოლების გარდა ისეთი ღონისძიებაც, ისეთი საშუალებაც, რომელმაც იმისთანა თვისება უნდა იქონიოს, რომ ყველგან მისწვდეს, გამოფინოს საქვეყნოდ კაცის ჭირის ძვირფასნი მარგალიტები საყოველთაო მოსახმარებლად, რომ მრავალთა თვის მისაწვდომი გახადოს ის, რაც დასაკუთრებული აქვს ცოტასა. ის საშუალობა, ის ღონისძიება უნდა ცდილობდეს, თუ არ სრულიად ხალხთან, მომეტებულ ნაწილებთან მაინც დაიჭიროს საქმე, შეიქმნას შუამავლად მეცნიერებასა ერთის მხრივ და ხალხისა და ცხოვრებისა მეორეს მხრივ. მაგ ძნელ საქმეს ასრულებს ყველგან ლიტერატურა“².

ხელოვნება ისევე დაუსრულებლად ვითარდება, როგორც ცხოვრება. ხელოვნება ცხოვრების გაუმჯობესების საშუალებაა და შეუწყვეტლივ ვითარდება მის წარმომშობ მიზეზთან, საზოგადოებრივ ცხოვრებასთან ერთად. „მეცნიერება და ხელოვნება, — ამბობს ილია, — იბადებიან ცხოვრებისაგან და არსებობენ ცხოვრებისათვის; იგინი წინ მიღიან ცხოვრების ეთარების გამო“³.

ხელოვნებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების დამკიდებულება დიალექტიკურია: საზოგადოებრივი ცხოვრება წარ-

¹ ი. ვაკევა ვაჭერა, თხზ., ტ. 4, გვ. 73, 74.

² წევე, გვ. 83.

მოშობს ხელოვნებას და იწვევს მის შეუტყვეტელ განვითარებას, მაგრამ ისე კი არა, რომ ხელოვნება, როგორც შედევი, პასიური იყოს და თავის მხრივ აქტიურ უკუგავლენას არ ახდენდეს თავის წარმოშობზე, თავის მიზეზზე — საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. არა, ხელოვნება თავის მხრივ უკუგავლენას ახდენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, ამოძრავებს, ცვლის. და ავითარებს მას. საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ხელოვნებას შორის დიალექტიკური ერთიანობა. და ურთიერთობაა იმ გაგებით, რომ ხელოვნებას საზოგადოებრივი ცხოვრება წარმოშობს და ავითარებს როგორც თავისი გაუმჯობესების საშუალებას, მაგრამ თავის მხრივ ხელოვნება, როგორც შედევი, უკუგავლენას ახდენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე და ხელს უწყობს მის მოძრაობა-განვითარებას. ამას-თან დაკავშირებით ილია ამბობს: „მეცნიერება და ხელოვნება... იბადებიან ცხოვრებისაგან და არსებობენ ცხოვრებისათვის; იგინი წინ მიღიან ცხოვრებისა გამო და მერე თავის რიგზედ თვითვე წინ მიჰყავთ ცხოვრება;... რაც მაგათგას არის მოყვანილი ცნობაში და დამტკიცებული, ის გადადის ხალხში და იგი სცვლის ხალხის მდგომარეობასა და ცხოვრებას“¹. ამაზე ნათლად, ამაზე მხატვრულად შეუძლებელია ხელოვნებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ურთიერთ განპირობების დიალექტიკის, საზოგადოებრივი ცხოვრების წამყვანი მნიშვნელობისა და ცხოვრებაზე ხელოვნების უკუგავლენის გადმოცემა.

დღიური რუსი მატერიალისტების გავლენა ილია ჭავჭავაძეზე. ილია უდავოდ მე-19 საუკუნის რუსული კლასიკური მატერიალიზმის სკოლის მიმდევარია, ეს იჭვს არ იწვევს, მაგრამ ისიც უდავოა, რომ ილია არ არის დიდი რუსი მატერიალისტების — გერცენის, ბელინსკის, ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვის უბრალო პოპულარიზატორი.

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 4, გვ. 83.

ხელორის-ბის სკოციპიკა

1. მშვიდეობა და მია აჩა მგა

ილია ჭავჭავაძე ხელოვნების სპეციფიკური ნიშნის ძიების მიზნით ხელოვნებას მეცნიერებას აღარებს. იგი ამბობს: „მეცნიერება და ხელოვნება სხვადასხვა გზით იყიდება ახალის ვითარების ახსნასა, ცნობაში მოყვანასა“¹.

ილია ხელოვნების სპეციფიკურ ნიშანს სიცხადესა და მომხიბვლელობაში ხედავს. ხელოვნება სინამდვილეს ცხადად, უშუალოდ ასახავს. ილია თავის აზრს ასე გამოთქვამს: „ხელოვნებასაც იმას მოვსთხოვთ, რომ სარკესავით ცხოვრება გადმოიცეს, რათა ჩვენი თავი მის მომხიბლავის კალმით ცხოვლად იყოს წარმომდგარი ჩვენ წინა“².

ი. ჭავჭავაძე მშვიდეობის ცნების ძიების ღროს ესთეტიკური აზროვნების კლასიკურ გზას მიჰყება. მსგავსად ესთეტიკური აზროვნების დიდი კლასიკოსებისა, იგი. მშვიდეობის ცნების ნიშნების დადგენისას მხატვრული განცდის ფაქტიდან ამოდის.

მაგრამ მხატვრული განცდა სხვაგვარი განცდაა, ვიდრე ფიზიოლოგიური სიამოვნება. ი. ჭავჭავაძე ირონიულად უპასუხებს „მოამბის“ უსაფუძვლო კრიტიკოსებს, რომლებიც ესთეტიკურ განცდას ვერ ასხვავებდნენ ფიზიოლოგიური, გაძლიერი განცდისაგან. და ნ. ბარათაშვილის ლექსებზე ამბობდნენ: „მაღა გამიღვიძა და კუჭი ვერ გამიძლოო“. ილია მათ შესახებ დაცინვით ამბობს: „პოეზია ლობიო-შეჭამანდის ქოთანი ხომ არ არის, რომ ლობიო გასვლიპოს“; „ლობიო შეჭამანდი არ არის მეთქი ნ. ბარათაშვილის ლექსშია. ჩვენი უურნალის მკითხველებს კი სჯერათ, რომ ლექსი კაცი კუჭა უნდა უძლობდესო...“³.

1 ი. ჭავჭავაძე, თხ. 4, გვ. 73.

2 იქვე, გვ. 80.

3 იქვე, გვ. 106.

ილია იმ აზრისაა რომ მხატვრული განცდა და აღმაფრენა ყოველთვის კეთილს არ ემთხვევა; ზნეოჭრივი მოქმედება და განცდა სხვაა, მხატვრული — სხვა. „პოეზია, — ამბობს ილია ჭავჭავაძე, — და მეტადრე სახალხო პოეზია... უფრო ფანტაზიის ნაყოფია და ფანტაზია კიდევ მაგრე-რიგად არ ეწყობა და არ ემორჩილება ზნეობით კანონის მოთხოვნილებას. ხშირად... ხალხი, გატაცებული ფანტაზიის აღმაფრენით, დამღერის და დაპხარის ისეთს საგანს და მოვლენას, რომელიც ძირეულად ეწინააღმდეგება ცხოვრების სიკეთესა... მარტო პოეზის მიხედვით დასკვნა და მსჯელობა ხალხის ცხოვრების საჭიროებაზედ და იმის მოთხოვნილებაზედ შეცდომა იქნება...“¹.

ი. ჭავჭავაძე კიდევ უფრო ღრმად განიხილავს მშვენიერებისა და ჭეშმარიტების ცნებების, შედარების საკითხს. რაში მდგომარეობს მათი განსხვავება? იმაში რომ მშვენიერება სახეებით გამოითქმის, ჭეშმარიტება — ცნებებით. „ფილოსოფია და პოეზია, — ამბობს ილია, — განიყოფებიან გამოთქმის საშუალებაში, პირველი ე. ი. ფილოსოფია აღინიშნება ზოგად, უსახო გამოთქმებითა, ჭეშმარიტება ფილოსოფიისა ამისა გამო, არ გამოიხატება წარმოდგენაში როგორც რაიმე სახე, რადგან უსახო... — არ წარმოაუდგება კაცსა... „ყოველი პოეტის თხზულებაში ვეძებთ ჩვენ პირველად... სახესა, რომელშიც განხორციელებული უნდა იყოს იდეა მშვენიერებისა“². „პოეზია, — ამბობს ის სხვა ადგილას, — განსახიერებაა ჭეშმარიტებისა და ცხოვრებისა“... „ხელოვნება არის განხორციელება სახეში იდეისა, აზრისა“³.

რაში მდგომარეობს, ი. ჭავჭავაძის აზრით, მშვენიერების თავისებურება? „მშვენიერი... უანგარო... მიმზიდველი და... საგულმტკივნეულოა“⁴. მშვენიერი უმწიკვლო და საყვარელია; მას მორჩილებს შური, მტრობა, რისხვა და ზა-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხ., ტ. 5, გვ. 249.

² „ლიტერატურული მატიანე“, 1-2, გვ. 486, 487.

³ ი. ჭავჭავაძე, თხ., ტ. 4, გვ. 21, 31.

⁴ ი. ჭავჭავაძე, თხ., ტ. 8, გვ. 349.

რი; მას ვერ უძლებს მძულვარება და ზიზღი. იგი ჭადოსნუ-
რი და გრძნეულია: მას ნაკლს ვერ უპოვის შური და მტრო-
ბა; გააფთრებული მხეციც კი მას მორჩილებს. ილია გან-
დეგილში ასე ახასიათებს მშვენიერს:

„მაგრამ ისეთი, მშვიდი, ნარჩარი
იყო იმ დღისა ლამაზი დილა,
რომ თვით მყინვარის რისხვა და ზარი
იმ დილის მაღლსა და მორჩილა“.

მწყემსი ქალის სილამაზეს ის ასე აგვიწერს:

„ყმაწვილი ქალი სავსე სიცოცხლით
სავსე მშვენების ჭადოთი, გრძნობით.

თვით შური, მტრობა ვერ უპოვიდა
ქალს მშვენიერსა ვერაფერს ნაკლს,

ვის არ მოიხმობს, მოინადირებს
ყოვლად ძლიერი მშვენიერება..
თქმულა მხეციც კი გააფთრებული
მის წინ დატებება და დაწყნარდება“.

მშვენიერი „სულისთვის ალთქმული უკვდავების სი-
ტებოებაა“. იგი წარმტაცი, გულის წამლები, გამრინტებელი,
თავდამვიწყებელი და ნეტარია. მშვენიერება „წრთელი სი-
ტებოებაა“¹ და უმწიდვლოა; იგი სულის „გულწრთელი გო-
დებაა“². მშვენიერება „სასწაულმოქმედი ძლიერებაა, რომე-
ლიც „სიტყვასაც საქმედ ჰქმნის“³. მშვენიერის სასწაულ-
მოქმედი ძლიერება მარტო ის კი არ არის, რომ იგი, სი-
ტყვით განსახიერებული, საქმედ იქცევა, არამედ ისიც, რომ

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ., გ. 4, გვ. 4.

² იქვ, გვ. 270.

³ იქვ, გვ. 278.

იგი „მავლენილია ჭრილობიდან სისტლის შეუწყვეტელოდენა კაცთა სიცოცხლეს შეუყენოს“¹.

ი. ჭავჭავაძეს აქ მხედველობაში აქვს კეთილმოქმედო მშვენიერების უმაღლესი განცდა. ის ამბობს: „პოეზია მაღლია, ნიჭია, რომელიც ეძლევა მხოლოდ კაცთა, ლვთით რჩეულთა. მაღლია, მაგრამ ამასთანვე ტვირთირ არის“².

მშვენიერების განცდა, პოეტური განწყობა ჭირშიაც და ლხინშიაც საამური და დამატებობელია. „პოეზია საგრძნობელია და არა საცნობელი... — ამბობს ი. ჭავჭავაძე, — იგი გვატკბობს და ვვასიამოვნებს ჭირსა და ლხინშიაც, იგი ხატებაა ჩვენთა გრძნობათა, გულის თქმათა, ფიქრთა, ნაღველთა, ერთი სიტყვით, ხილულთა და არა ხილულთა“³. ილია პოულობს მშვენიერების სპეციფიკას, მაგრამ ამით მას როდი სწყვეტს კეთილსა და მორალურს. საზოგადოებრივი ცხოვრების საჭიროებისათვის მშვენიერებას ღირებულება და დადებითი მნიშვნელობა იმდენადა აქვს, რამდენად ის კავშირშია კეთილ საქმესთან, საზოგადოებრივი ცხოვრების საჭიროებასთან. ილია მშვენიერებას კეთილისაგან დამოუკიდებელ, თვითლირებულ მნიშვნელობას არ აკუთვნებს. მშვენიერების ღირსების საზომი სიკეთე უნდა იყოს. მართალია, მშვენიერს თავისი სპეციფიკური, დამოუკიდებელი ბუნება აქვს, მაგრამ ეს დამოუკიდებლობა, ეს სპეციფიკურობა ცხოვრების მოთხოვნილებით უნდა იზომებოდეს და ფასდებოდეს. თუ ესთეტიკური განცდა საზოგადოებრივ ან პირად კეთილდღეობას ეწინააღმდეგება, ის უკუგდებულ უნდა იქნას.

მშვენიერება სინამდვილის სპეციფიკური ნიშნის გამოხატვაა. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის კავშირშია უნდა იყოს ჭეშმარიტებასთან, სიკეთესთან, სასარგებლოსთან. მშვენიერების ღირსება და ღირებულება სიკე-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხ. ტ. 4, გვ. 223.

² ი. ჭავჭავაძე, თხ. ტ. 3, გვ. 28.

³ ი. ჭავჭავაძე, თხ. ტ. 5, გვ. 255, 256.

თით უნდა იზომებოდეს: მშვენიერება ადამიანის კეთილდღეობას უნდა ემსახურებოდეს, ის ადამიანის კეთილდღეობის საშუალებაა და არა თვითმიწანი.

ილია ჭავჭავაძე თავის ფილოსოფიურ თვალსაზრისს თანამიმდევრულად იცავს. მისი თვალსაზრისი ესთეტიკაშიც მატერიალისტურია. იდეა, აზრი, რომლის განსახიერებას ხელოვნება ემსახურება და რომლის შედეგად ხელოვნების მშვენიერებას ვიღებთ, სუბსტანციური არსებობა როდია. აზრი და იდეა, რომლის განსახიერება მშვენიერებაა, მატერიალური სინამდვილის გამოხატვას წარმოადგენს. 1862-1863 წლებით დათარილებული ილიას დაუმთავრებელი ნაშრომი „ხელოვნება და მეცნიერება“ ამ საკითხის ვითარებას ნათლად არკვევს. აქ აღნიშნულია, რომ იდეა, აზრი, რომლის განსახიერება ხელოვნების ამოცანას წარმოადგენს, არის ობიექტური მატერიალური სამყაროს საგნების ზოგადი თვისებებისა და არსების გამოხატულება დამიანის ცნობიერებაში. ი. ჭავჭავაძე აქ ლაპარაკობს „გამომკვეთელის აზრზე“, იდეაზე, „მთელი ქვეყნის ვაჟკაცების, ღიღებულების... საზოგადო ნიშნებზე“, პოქანოარის მიერ ამ ნიშნების „მოკრეფაზე“, „ერთად, წყობილად შეკრეფაზე“¹. ხელოვნებაში განსასახიერებელ იდეას ფენომენალური არსებობა აუცს და არა სუბსტანციური.

ამგვარივე აზრია გატარებული 1861 წლით დათარილებულ მეორე ნაწარმოებში — „პასუხი“. მართალია, აქ ლაპარაკია ზოგადად: „ხელოვნება არის განხორციელება სახეში იდეისა, აზრისა“, მაგრამ კოტა ქვემოთ აღნიშნულია. რომ ეს იდეა ხალხის იდეა და აზრია: „ლიტერატურა, — ამბობს ი. ჭავჭავაძე, — ხალხის ჭუა, ხალხის გონება, გრძნობა, ფიქრი, ჩვეულება და განათლების ხარისხია“². აქვე პოეზია წარმოდგენილია როგორც ხალხის ცხოვრების ამსახველი საშუალება: „პოეზია, — ამბობს ილია, — ხალხის ცხოვრე-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 4, გვ. 402, 403.

² იქვე, გვ. 40.

ბის გამომთქმელია“, „ხალხის... სულიერი ბუნების“ გა-
შომხატველია”¹.

ილია ჭავჭავაძის შეხედულებით, შემეცნების ერთად-
ჟრთ ობიექტს ბუნება, საზოგადოებრივი ცხოვრება და ადა-
მიანის სულიერი მდგომარეობა წარმოადგენს. მეცნიერება
და ხელოვნება ბუნების დაუსრულებელ წიგნს თავისებურ
ენაზე სთარგმნიან. „ადამიანი, — ამბობს ილია, — ბუნება,
ცა, ქვეყანა, მსოფლიო — ერთი დიდებული წიგნია, უცნა-
ურს ენაზედ დაწერილი. მეცნიერება ამას სთარგმნის უხა-
ტებო, უსურათო სიტყვითა, პოეზია კი ხატებითა და სურა-
თითა“². არავითარი საბუთი არ არსებობს ვამტკიცოთ, რომ
ი. ჭავჭავაძის ესთეტიკური თვალსაზრისი მისი ლიტერატუ-
რული საქმიანობისა და მოღვაწეობის რომელიმე პერიოდში
იდეალისტური იყო. პირიქით, მისი ესთეტიკური თვალსაზ-
რისი უეჭველად მატერიალისტურ ხასიათს ატარებს.

სელოვნება და გეცნიერება

ესთეტიკური აზროვნების ისტორიაში, ხელოვნების გან-
საზღვრის მიზნით, მეცნიერებისადმი ხელოვნების შედარე-
ბა კლასიკურ პრინციპადა მიჩნეული. ამ გზას მიჰყვება
ილია ჭავჭავაძეც. მისი გაგებით, ხელოვნება სახეებით
აზროვნებაა, მეცნიერება კი — ცნებებით აზროვნება. ისე რო-
გორც ხელოვნების განსაზღვრა საჭიროებს მეცნიერებისადმი
მის შედარებას, ასევე მშვენიერება ჭეშმარიტებისადმი შედა-
რებას მოითხოვს.

ხელოვნება და მეცნიერება სინამდვილის შემეცნების
ორი განსხვავებული გზაა, მაგრამ არა ისეთი გზები, რომ-
ლებიც ურთიერთს გამორიცხავდნენ, ურთიერთს უპირის-
პირდებიან და არღვევენ. პირიქით, ადამიანს ხელოვნება და
მეცნიერება შეწყობილად და შეთანხმებულად ემსახურე-

¹ ი. ჭავჭავაძა ქ. თხ. ტ. 4, გვ. 49.

² იქვე, გვ. 256.

ბიან მრავალფეროვანი და მრავალმხრივი სინამდვილის შე-
მეცნების საქმეში.

რას ემყარება ხელოვნებისა და მეცნიერების ერთია-
ნობა და თანხმობა სინამდვილის შემეცნებისას? როგორც
მეცნიერება, ისე ხელოვნება სინამდვილის კანონზომიერე-
ბას სწავლობს. სინამდვილის კანონზომიერების, სინამდვი-
ლის ზოგადი და არსებითი მხარის შემეცნების გარეშე ხე-
ლოვნება ისევე კარგავს თავის ნამდვილ აზრსა და გამართ-
ლებას, როგორც მეცნიერება. ამ საკითხთან დაკავშირებით
ილია ამბობს: „ფილოსოფია და პოეზია სრულებით არ არი-
ან... კაცის სულიერი მხარის... განკიდურებანი და დამარ-
ტვეველნი ერთმანეთისა, ორივეს ერთი და იგივე წყარო
აქვს, ერთი და იგივე საფუძველი — ჭეშმარიტება“¹. ჭეშმა-
რიტება მეცნიერებისა და ხელოვნების საერთო საგანი და
საერთო ამოცანაა. ნამდვილი ხელოვნება ჭეშმარიტების გა-
რეშე არ არსებობს. სამყაროს შემეცნება და აღამიანთა სა-
ზოგადოების საკეთილდღეოდ შეცვლა მეცნიერებისა და ხე-
ლოვნების საერთო ამოცანას წარმოადგენს. „პოეზია, —
ამბობს ილია, — განსახოვნებაა ჭეშმარიტებისა და ცხოვ-
რებისა“².

მეცნიერება სინამდვილის ზოგადი, საყოველთაო, არსე-
ბითი და კანონზომიერი მხარის შემეცნებას ისახავს მიზნად.
ხელოვნებაც ამას უნდა აკეთებდეს, მაგრამ სხვა გზით, სხვა
საშუალებებით. მეცნიერება კონკრეტულ ბუნებრივ სინამ-
დვილების პოულობს ზოგადს, კანონზომიერსა და არსებითს,
ახდენს მათ განყენებას კონკრეტული სინამდვილის მოვ-
ლენების ინდივიდუალური განსახიერებიდან და ცნებებით
გამოთქვამს მათ. მაგალითად, ნაციონალურ, ტომობრივ,
გვაროვნულ მრავალფეროვნებაში გამოვლენილ გმირობას,
თავდადებასა და მხერის მეცნიერი აკვირდება და განსხვა-
ვებულ, ნაციონალურ, ტომობრივ ნიშნებსაბატრაქციას უკა-

¹ „ლიტერატურული მატიანე“, 1-2, 1940, გვ. 486, 487.

² ი. ჭავჭავაძე, თხ., ტ. 4, გვ. 21, 31, 83.

თებს, ხოლო გმირობის, მხრივისა და გულადობის ნიშნებს გახდის თავისი შემეცნების საგნად და მათ ცნებებში ჩამოაყალიბებს. გმირობის ცნებას არ ახასიათებს გრძნობითი, ხელშესახები აღქმითი ნიშნები.

სულ სხვაა გმირის ესთეტიკური ასახვა, მისი მხატვრული სახეში მოცემა, მარმარილოში მისი გამოკვეთა. აქ ჩვენ გვაქვს გმირის სახე და აგებულება, ნაკვთები და გამომეტყველება. თავგამოლება, ვაჟკაცობა და გმირობა მოჩანს მარმარილოს მთელ ჭანდაკებაში: გამომეტყველებაში, კუნთებში, ახოვნებაში, მთელი ტანის აგებულებაში. ვაჟკაცობისა და გმირობის მეცნიერულ ცნებას არ შეუძლია გმირობა ასეთი თვალსაჩინოებით წარმოგვიდგინოს. გმირობის საერთო, საყოველთაო და არსებითი ნიშნები მარმარილოში გამოკვეთილია სახის გამომეტყველების, გულ-მკერდის, ახოვნების, მთელი სხეულის აგებულების სახით და ოქვენ ხედავთ, უცქერით ამ გმირობას პირისპირ, შთაბეჭდილებებს იღებთ მისგან, აღიქვამთ მას. გმირობის საზოგადო, საყოველთაო ნიშნების მწყობრად და ორგანული თანაბიმდევრობით გამოკვეთა მარმარილოში ხელოვანის უნარისა და შიგიერების საზომია.

რით გავს მარმარილოში მხატვრულად გამოკვეთილი გმირი მეცნიერულ ცნებაში გააზრებულ გმირს? ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს გმირობის არსებით ნიშნებთან. ამასთან დაკავშირებით ილია ამბობს: „დააცქერდებით სახის ყოველს ნაკვთსა, იმიტომ, რომ გამომკვეთსა რაკი ეგ სახე; შეუქმნია, ის ფიქრი ჰქონია, რომ მაგ სახით მიგახვედროთ შიგ მდებარე აზრსა... გრძნობთ, რომ ამ მარმარილოს სახემ უსიტყვოდ, უთქმელად შეგატყობინათ გამომკვეთელის აზრი... მერე ისე ცხადათ, რომ თქვენ მაშინვე იცანიო. მთელი ქვეყნის გმირებსა და ვაჟკაცებს რომ შეადაროთ მარმარილოში გამოკვეთილი გმირი, დაინახავთ, რომ ის ყველას ჰგავს. ეს გიკვირთ თქვენ, მაგრამ საკვირველი აქ არა არის რა. ჰგაუნდოთ, რომ რაც საზოგადო ნიშნები ჰქონიათ მთელი ქაუყნის ვაჟკაცებს, დიდებულებს, თავგამოლებულებს; ისინ

სულ არიან გამოკვეთილნი ამ მარმარილოს სახეზედ და ამით
ტომ გვანან და ამიტომაც ადვილად მიუხვდით გამოკვე-
თელს აზრსა... რაც საზოგადო პქონიათ, ის მოუკრეფია გა-
მომკვეთსა... ამიტომაც ისინი გვანან გმირის ამ ქანდაკე-
ბას”¹.

როგორც გმირობის მეცნიერულ ცნებაში, ისე მის
მხატვრულ სახეში თავმოყრილია გმირობის საყოველთაო-
არსებითი ნიშნები. როგორც ცნებაში, ისე მხატვრულ სახე-
ში მოცემულია მარტო ვაჟკაცობის, თავგამოდების, გმირო-
ბის საყოველთაო ნიშნები, სხვა ნიშნები კი უგულებელყო-
ფილია. ამიტომ გმირობის როგორც მეცნიერული ცნება,
ისე მხატვრული სახე გამოიჭერს, მოიცავს და ჰგავს სინა-
მდვილეში არსებულ ყველა გმირს. მხატვრული სახე და
მეცნიერული ცნება ერთ და იმავე ღროს ჰგავს და არცა
ჰგავს სინამდვილეში არსებულ ყველა გმირს.

ცნებისა და მხატვრული სახის განსხვავება (სინამდვი-
ლეში არსებული გმირების მიმართ მსგავსება-განსხვავების-
რვალსაზრისით უუ განვიხილავთ) იმაშია, რომ ცნება არ-
არის თვალნათლივი, უშუალო და მთლიანი ამსახველი-
სინამდვილეში არსებული გმირებისა, სახე კი ასეთია-
„მარმარილოს ქანდაკების დანახვისას, — ამბობს ილია, —
მაშინვე იმას გრძნობთ, რომ ამ მარმარილოს სახემ უსი-
ტყვოდ, უთქმელად შეგატყობინათ გამოკვეთელის აზრი. ის-
აზრი სახეზედ და სახის ნაკვთებში იყო აღმცენდილი, მერე
ისე ცხადათ, რომ თქვენ მაშინვე იცანით... ქვამ ცნობიერად
გითხრათ აზრი”². მეცნიერულ ცნებაში გააზრებული საყო-
ველთაო და არსებითი ნიშნები მარმარილოს ქანდაკებაში გა-
თვალსაჩინოებულია, განსახიერებულია და ისეთ ერთეულ,
გრძნობით სახილველ სახეშია მოცემული, რომელიც სავსე-
ბით შეწყობილია, შეხამებულია, პარმონიაშია ამ ზოგად, არ-
სებით ნიშნებთან, გმირობისა, ვაჟკაცობისა და თავდადების

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 4, გვ. 402, 403.

² იქვე.

საყოველთაო ნიშნებთან. ცნება ზოგადს ერთეულ სახეში არ იძლევა, მხატვრული სახე კი ზოგადს ერთეულ სახეში გვაძლევს. ცნება სინამდვილის უსახო გამოთქმაა¹.

მეცნიერება ასახვაა სინამდვილის ზოგადი, არსებითი, საყოველთაო და კანონზომიერი კავშირებისა. ხელოვნება სინამდვილის ზოგად, არსებით, საყოველთაო და კანონზომიერ ნიშნებს მხატვრულად განასახიერებს და ისე წარმოვკიდენს. „პოზია, — ამბობს ილია, — განსახოვნებაა ჭეშმარიტებისა და ცხოვრებისა“; „ხელოვნება არის განხორციელება სახეში იდეისა, აზრისა“².

ი. ჭავჭავაძე დიდი რუსი მატერიალისტების — გერცენის, ბელინსკის, ჩერნიშევსკის, ღობროლუბოვის ესთეტიკური მძღვრებიდან ამოდის. იგი უარყოფს იდეალისტური ესთეტიკის მცდარ თვალსაზრისს ხელოვნებისა და მეცნიერების ურთიერთობის შესახებ. გერმანული იდეალისტური ესთეტიკა მეცნიერებისა და ხელოვნების ურთიერთობის საკოთხში მეტაფიზიკურ თვალსაზრისს ვერ გასცდა, იგი ხელოვნებას მეტაფიზიკურად უპირისპირებდა მეცნიერებას. ზოგი გერმანული იდეალისტ ესთეტიკოსისათვის, მაგალითად, შელინგისათვის, მეცნიერება შემეცნების დაბალ საფეხურის წარმოადგენს, ხელოვნება კი — მაღალს. ჰეგელთან პირიქითაა: ხელოვნება შემეცნების დაბალი საფეხურია მეცნიერებასთან შედარებით. კანტი ხელოვნებას სავსებით წყვეტს მეცნიერებისაგან. მეცნიერებისა და ხელოვნების ურთიერთობის საკითხზე სულ სხვაგვარი შეხედულება აქვს რუსულ კლასიკურ მატერიალისტურ ესთეტიკას. ბელინსკისან, მაგალითად, მეცნიერებისა და ხელოვნების საკითხი ასეთი დაპირისპირებით არ დგას. ბელინსკი არ აყენებს საკითხს — ხელოვნებაა მაღალი თუ მეცნიერება. ბელინსკის შეხედულებით, ხელოვნებასა და მეცნიერებას თავთავიანთა უპირატესობანი და დამახასიათებელი ნიშნები აქვთ, რო-

¹ ი. ჭავჭავაძე, „ლიტერატურული მატიანე“, 1-2, 1940,
გვ. 486. 487; აგრეთვე, თხზ., ტ. 4, გვ. 21, 31.

² ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 4, გვ. 21, 31.

შელთა გაერთიანება და შერწყმა სინამდვილის შემეცნების
საქმეში საჭირო და აუცილებელია.

დიდი რუსი მატერიალისტები და მათთან ერთად იღია
ჭავჭავაძე გასცდნენ იდეალისტური ესთეტიკის მცდარი
პრინციპის საზღვრებს. დიდი რუსი მატერიალისტები მეც-
ნიერული და მხატვრული შემეცნების თანაბარ და თანა-
სწორ ლირებულებას აღიარებენ და მათი ფორმების განსა-
კუთრებულ ღირსებებზე, მეცნიერულ აზროვნებასთან
მხატვრული აზროვნების მჭიდრო კავშირსა და ერთიანობაზე
ძიუთითებენ. ასე იქცევა ი. ჭავჭავაძეც. ი. ჭავჭავაძის შეხე-
დულებით, მეცნიერება და ხელოვნება „სხვადასხვა გზით
იკისრებენ ახალის ვითარების ახსნასა“, „ცნობაში მოყვანა-
სა“¹. ხელოვნებამ, მეცნიერებისაგან განსხვავებით, საზო-
გადოდ სინამდვილე, კერძოდ კი აღამიანთა ცხოვრება
უნდა გადმოსცეს თავისი „მომხიბლავის კალმით“, უ. ი. მხა-
ტვრული, ესთეტიკური სახეებით². ხელოვნების მომხიბლაობა,
თვალსაჩინოება და სიცოცხლე უნდა შეუერთდეს მეცნიე-
რული აზროვნების სილრმეს, განმაზოგადებელ და წინასწარ-
განმშვრეტ ბუნებას, რათა სამყაროს შემეცნებისა და გარდა-
ქმნის საქმე უკეთესად განხორციელდეს, — ასეთია დიდი
რუსი მატერიალისტებისა და ი. ჭავჭავაძის თვალსაზრისი-
მეცნიერებისა და ხელოვნების ურთიერთობის შესახებ.

დიდი რუსი მატერიალისტები და მათთან ერთად ი. ჭავ-
ჭავაძე, როგორც ვთქვით, გასცდნენ იდეალისტური ესთეტი-
კის საზღვრებს და უშუალოდ მიაღგნენ დიალექტიკურ-მატე-
რიალისტურ ესთეტიკას, მაგრამ ვერ შეძლეს მატერია-
ლისტურ - დიალექტიკურ ესთეტიკამდე ამაღლებულიყვნენ.
ი. ჭავჭავაძე, როგორც ვნახეთ, იმ აზრს იცავს, რომ ხელოვ-
ნებას ისევე შეუძლია ზოგადისა და უნივერსალურის შემეც-
ნება, როგორც მეცნიერებას. ხელოვნების ღირსება, იღიას
აზრით, მით უფრო დიდია, რაც უფრო ზოგადს, საყოველ-

¹ ი. ჭავჭავაძაქვაძე, თხზ., ტ. 4, გვ. 70.

² იქვე, გვ. 83.

თაოსა და საკაცობრიოს წვდება ის. „რამოდენად, — ამბობს ილია, — მწერლის შემოქმედების ძალი სწოლება ზოგად კაცობრის ტიპსა, იმოდენად მწერალი დიდია, იმოდენად მსოფლიოა“. „მსოფლიო გენიოსი მწერალი იმიტომ არიან მსოფლიონი, რომ მათს ნახატში, რომლის ერისაც გინდათ, იმ ერის ქაცს იცნობთ, იმიტომ რომ ივინი აღამიანის საზოგადო ტიპსა ჰქმნიან“¹. ი. ჭავჭავაძე, დიდ რუს მატერიალისტებთან ერთად, ნათლად ხედავს, რომ მხატვრული შემეცნება ისევე ღრმად ასახავს სინამდვილეს როგორც მეცნიერება, მაგრამ ამ ფაქტის თანმიმდევრული და შეცნიერულად სრულყოფილი ასსნა მას არა აქვს. მხოლოდ მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის საფუძველზე გახდა შესაძლებელი იდეალისტური ესთეტიკის დამარღვეველი კრიტიკა და ახალი, ჭეშმარიტი თეორიის ჩამოყალიბება.

რა არის მხატვრული სახე? რით განსხვავდება ის მეცნიერული ცნებისაგან? მხატვრული სახე, ი. ჭავჭავაძის აზრით, გათვალსაჩინოებული შემეცნებაა, ცნება კი არა—თვალსაჩინო შემეცნებაა. მხატვრული სახე და მეცნიერული ცნება ერთისა და იმავეს შემეცნებაა, მაგრამ მის განსხვავებულ გამოთქმებს წარმოადგენენ: ცნება ზოგადი, არათვალსაჩინო გამოთქმაა, მხატვრული სახე კი—თვალსაჩინო. მხატვრული სახე მეცნიერული ცნების გათვალსაჩინოებაა, მშვენიერება, ი. ჭავჭავაძის შეხელულებით, სახეში ასახული ჭეშმარიტებაა. ილია პირდაპირ ამბობს: „პოეზია განსახოვნებაა ჭეშმარიტებისა“².

ნელოვნება სინამდვილის ერთი გვარისა და ერთი სახის შრავალფეროვან მოვლენებში გაბნეულ ძირითად და არსებით ნიშნებს (მსგავსად მეცნიერებისა) თავს უყრის და მწყობრად, სისტემატური მთლიანობით გაიაზრებს და განასახიერებს.

ასეთია ი. ჭავჭავაძის აზრი. მაგრამ ამით მშვენიერების

¹ ი. ჭავჭავაძის, თხ. ტ. 4, გვ. 186, 193.

² იქვე, გვ. 21, 31.

განსაზღვრა, მშვენიერების სპეციფიკა მაინც დაჭერილი არ
 არის. რა აქლია მას? ეს განსაზღვრა ფართოა, განსაზღვრის
 შპეციფიკა მასში დაჭერილი არ არის. მართლაც და ყოველ-
 გვარი განსახიერებული აზროვნება მხატვრული აზროვნება
 როდია. სხვა არის ის განსახიერებანი, რომლებიც ჰომეროსმა,
 რუსთაველმა, დაწებე, შექსპირმა და პუშკინმა შექმნეს, და
 შულ სხვაა ის არამხატვრული განსახიერებანი, რომლებიც
 მდარე ნიჭის მწერლებმა დაგვიტოვეს. განსახიერებაც
 არის და განსახიერებაც. არსებობს მხატვრული და არა-
 მხატვრული განსახიერება. რაში მდგომარეობს მხატვრული
 განსახიერების არსება? რაშია ხელოვნების „მომხიბლველო-
 ბა“, რომელზეც მიუთითებს ი. ჭავჭავაძე, როგორც ხელოვ-
 ნების დამახასიათებელ სპეციფიკურ ნიშანზე? ხელოვნება
 მონახავს რა საგნის არსებას, შემდეგ ამ საგნის სახეების
 მრავალფეროვანი სინამდვილიდან კრებს იმ ნიშნებს, რომ-
 ლებიც ას საგნის არსებას სრულად და ყოველმხრივ ავლე-
 ნენ, ქმნის ამ ფორმას, რომელიც არსებასაც თანხმობასა და
 ჰარმონიაშია. ესთეტიკური ქმნილების მხატვრულობა, მშვე-
 ნიერება იმაშია, რომ ის შინაარსისა და ფორმის, არსებისა
 და გამოვლენის სრულ თანხმობასა და ჰარმონიას გვაძლევს.
 შინაარსისა და ფორმის, არსებისა და გამოვლენის სრული
 თანხმობისა და ჰარმონიის გარეშე არ არის მხატვრულობა,
 არ არსებობს მშვენიერება. ილია ჭავჭავაძეს აქვს ამაზეც
 მითითება, გრძნობს ამას, როდესაც ლუსკუმას მაგალითს
 განიხილავს. როცა მოქანდაკე მონახავს გმირობის არსე-
 ბას, იმ ზოგადს, რომელიც გმირობის დამახასიათებელია,
 იგი იწყებს გმირის სახის შეთანხმებას გმირობასთან. ხელო-
 ვანი მარმარილოში ისეთ ხაზებს, ნაკვთებს, სახეს, აღნაგო-
 ბასა და სხეულს გამოკვეთს, რომელიც „მარტო ვაუკაცობას,
 თავგამოდებას, დიღებულებას ნიშნავს და სხვას არაფერს“;
 იგი მათ ჰარმონიულად შეუთანხმებს „წყობილად მცრე-
 ფილ“ ზოგად ნიშნებს. ამაშია ხელოვნების საიდუმლოება!

1 ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 4, გვ. 402, 403.

თაოსა და საკაცობრიოს წვდება ის. „რამოდენად, — ამბობს ილია, — მწერლის შემოქმედების ძალი სწვდება ზოგად კაცობრის ტიპსა, იმოდენად მწერალი ღიღია, იმოდენად მსოფლიოა“. „მსოფლიო გენიოსი მწერალნი იმიტომ არიან მსოფლიონი, რომ მათს ნახატში, რომლის ერისაც გინდათ, იმ ერის კაცს იცნობთ, იმიტომ რომ იგინი ადამიანის საზოგადო ტიპსა ჰქონიან“¹. ი. ჭავჭავაძე, დიდ რუს მატერიალისტებთან ერთად, ნათლად ხედავს, რომ მხატვრული შემეცნება ისევე ღრმად ასახავს სინამდვილეს როგორც მეცნიერება, მაგრამ ამ ფაქტის თანმიმდევრული და მეცნიერული სრულყოფილი ახსნა მას არა აქვს. მხოლოდ მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის საფუძველზე გახდა შესაძლებელი იდეალისტური ესთეტიკის დამარტველელი კრიტიკა და ახალი, ჭეშმარიტი თეორიის ჩამოყალიბება.

რა არის მხატვრული სახე? რით განსხვავდება ის მეცნიერული ცნებისაგან? მხატვრული სახე, ი. ჭავჭავაძის აზრით, გათვალსაჩინოებული შემეცნებაა, ცნება კი არა-თვალსაჩინო შემეცნებაა. მხატვრული სახე და მეცნიერული ცნება ერთისა და იმავეს შემეცნებაა, მაგრამ მის განსხვავებულ გამოთქმებს წარმოადგენენ: ცნება ზოგადი, არათვალსაჩინო გამოთქმაა, მხატვრული სახე კი—თვალსაჩინო. მხატვრული სახე მეცნიერული ცნების გათვალსაჩინოებაა, მშვენიერება, ი. ჭავჭავაძის შეხედულებით, სახეში ასახული ჭეშმარიტებაა. ილია პირდაპირ ამბობს: „პოეზია განსახოვნებაა ჭეშმარიტებისა“².

ხელოვნება სინამდვილის ერთი გვარისა და ერთი სახის შრავალფეროვან მოვლენებში გაბნეულ ძირითად და არსებით ნიშნებს (მსგავსად მეცნიერებისა) თავს უყრის და მწყობრად, სისტემატური მთლიანობით გაიაზრებს და განასახიერებს.

ასეთია ი. ჭავჭავაძის აზრი. მაგრამ ამით მშვენიერების

¹ ი. ჭავჭავაძის თხზ., ტ. 4, გვ. 186, 193.

² აქვთ, გვ. 21, 31.

განსაზღვრა, მშვენიერების სპეციფიკა მაინც დაჭირილი არ არის, რა აქლია მას? ეს განსაზღვრა ფართოა, განსაზღვრის სპეციფიკა მასში დაჭირილი არ არის. მართლაც და ყოველ-გვარი განსახიერებული აზროვნება მხატვრული აზროვნება როდია. სხვა არის ის განსახიერებანი, რომლებიც ჰომეროსმა, რუსთაველმა, დანტემ, შექსპირმა და პუშკინმა შექმნეს, და სულ სხვაა ის არამხატვრული განსახიერებანი, რომლებიც მდარე ნიჭის მწერლებმა დაგვიტოვეს. განსახიერებაც არის და განსახიერებაც. არსებობს მხატვრული და არა-მხატვრული განსახიერებები. რაში მდგომარეობს მხატვრული განსახიერების არსება? რაშია ხელოვნების „მომხიბლველობა“, რომელზეც მიუთითებს ი. ჭავჭავაძე, როგორც ხელოვნების დამახასიათებელ სპეციფიკურ ნიშანზე? ხელოვნება მონახავს რა საგნის არსებას, შემდეგ ამ საგნის სახეების მრავალფეროვანი სინამდვილიდან კრებს იმ ნიშნებს, რომ-ლები; ას საგნის არსებას სრულად და ყოველმხრივ ავლენენ, ქმნის იმ ფორმას, რომელიც არსებასუან თანხმობასა. და ჰარმონიაშია. ესთეტიკური ქმნილების მხატვრულობა, მშვენიერება იმაშია, რომ ის შინაარსისა და ფორმის, არსებისა და გამოვლენის სრულ თანხმობასა და ჰარმონიას გვაძლევს. შინაარსისა და ფორმის, არსებისა და გამოვლენის სრული თანხმობისა და ჰარმონიის გარეშე არ არის მხატვრულობა, არ არსებობს მშვენიერება. ილია ჭავჭავაძეს აქვს ამაზეც მითითება, გრძნობს ამას, როდესაც ლუსკუმას მაგალითს განიხილავს. როცა მოქანდაკე მონახავს გმირობის არსებას, იმ ზოგადს, რომელიც გმირობის დამახასიათებელია, იგი იწყებს გმირის სახის შეთანხმებას გმირობასთან. ხელოვანი მარმარილოში ისეთ ხაზებს, ნაკვთებს, სახეს, აღნაგობასა და სხეულს გამოკვეთს, რომელიც „მარტო ვაჟკაცობას, თავგამოდებას, დიდებულებას ნიშნავს და სხვას არაფერს“; იგი მათ ჰარმონიულად შეუთანხმებს „წყობილად მცკრე-ფილ“ ზოგად ნიშნებს. ამაშია ხელოვნების საიდუმლოება!

1 ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 4, გვ. 402, 403.

მეცნიერებისა და ხელოვნების ურთიერთობის საკითხის განხილვამ ი. ჭავჭავაძესთან დაგვანახვა, რომ ის გასცდა ხელოვნებისა და მეცნიერების მეტაფიზიკური დაპირისპირების მცდარ და ყალბ იდეალისტურ პრინციპს, მაგრამ მარქსის-ტულ-ლენინურ თვალსაზრისამდე, ჭეშმარიტ, დიალექტიკურ პრინციპამდე ვერ ამაღლდა.

ფორმისა და შინაარსის ურთიერთობის საკითხი

ი. ჭავჭავაძე ფორმალისტური ესთეტიკის პრინციპს: „ხელოვნება ხელოვნებისათვის“, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, უპირისპირებს რეალისტურ პრინციპს: „ხელოვნება საზოგადოებრივი ცხოვრების გაუმჯობესებისათვის“. წინააღმდეგ ფორმალისტური ესთეტიკისა, რომელიც მშვენიერებას მხოლოდ ფორმის სრულყოფაში, „საგნის სურათსა და... კომპოზიციაში“, „სივრცეში ფიგურირებასა“ და „დროში შეგრძნებათა თამაშში“ ექვებს (კანტი), ი. ჭავჭავაძე სრულყოფილ მშვენიერებას ფორმისა და შინაარსის შერწყმასა და ჰარმონიაში ხედავს. ხელოვნება თავის ამოცანად არა „მარტო ტკბილ ხმათათვის“ ზრუნვას ისახავს. ხელოვნების მთავარ ამოცანას საზოგადოებრივი ცხოვრების სამსახური წარმოადგენს. ხელოვნება არ არის თვითმიზანი, იგი საზოგადოებრივი ცხოვრების გაუმჯობესებას ემსახურება. ამიტომ ძირითადი და მთავარი არც მარტო ფორმაა და არც მარტო შინაარსი, არამედ ორივეს შემოქმედებითი სინთეზი. ამ სინთეზი ძირითადია შინაარსი და საზოგადოებრივი ცხოვრების სამსახური. ი. ჭავჭავაძე პირდაპირ მიუთითებს ხელოვნების შინაარსის წამყვან მნიშვნელობაზე. საზოგადოებრივი ცხოვრების წინმსვლელობის საქმეს რომ ემსახუროს, ხელოვნება პირველ რიგში აღამიანის გონებას, ჭეშას უნდა ესიტყვებოდეს; იგი უნდა სწმენდდეს და აჯანსაღებდეს აღამიანის შენებას. ხელოვნება პირველ რიგში მქურნალი, აღმზრდელი და მასწავლებელია. „...სცენა, — ამბობს ილია,— იგივე სკოლაა,

რომელიც ცხოველის სურათებით ელაპარაკება კაცის გულსა და ჭიუასა... იგი კაცის... ჭიუის... გამწმენდელია.. . განმანათლებელია... გონების გამხსნელია¹. „მწერალი იგივე ექიმია“².

ხელოვნება აღამიანის იმედი და მეგობარია ლხინშიაც და ჭირშიაც; ამიტომ იგი უნდა შეიცავდეს ორმა და ბრძოლულ ნაფიქრალსა და ნააზრევს, იგი უნდა იყოს ჭიუისა და ზეობის საგანძურო. „პოეტის სიტყვა,— ამბობს ილია,— ხელთუქნელი საგანძუროია, საცა იგი პოვებს ხოლმე თავისს უკეთესს ნააზრს და ნაგრძნობს, თავისს უკეთესს სულთა სწრაფვას, თავისს იმედს და სასოებას, თავისს თავმოსაწონებელს გულთა-ძვრას, თავის ჭირსა და ლხინს, თვის სულიერ საუნჯეს, იმ საუნჯეს, რომლითაც ერი ერობს, აღამიანი აღამიანობს“³.

ჭეშმარიტი ხელოვნება არა მარტო საზოგადოებრივი ცხოვრების გამომხატველია, არამედ ამავე საზოგადოებაში „მართებულობის, ზრდილობის, აღამიანის ღირსების ფარიც არის და ხმალიც“⁴; იგი სულიერი საზრდოა საზოგადოებისა⁵. მეცნიერებაა სახეებში⁶.

ეპოქალური ხელოვნების ძეგლი დიდი ისტორიული ქრების გამომხატველია. დიდ პოეტს საკაცობრიო იდეები და ეპოქალური საქმეები ასაზრდოებს. დიდი ეპოქისა და დიდი სოციალური ძვრების გარეშე გენიალური ხელოვანი არ იბადება. „თუნდაც რომ იყვნენ ეხლა ჩვენში, — ამბობს ი. ჭავჭავაძე, — ბაირონის თანასწორნი ნიჭნი, ის ნიჭნი ბაირონისოდენას თავისდღეში ვერ იქმოდნენ: ის ნიჭნი საზრდოს ვერ იპოვნიან ჩვენს ცხოვრებაში; დევს დევის ძუძუ გამოზრდის და, თუ ჩვეულებრივი აღამიანის ძუძუთი გაიზარდა, ის დევი აღარ იქნება“⁷.

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 6, გვ. 47.

² იქვე, გვ. 73.

³ ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 7, გვ. 98, 99, ტ. 9, გვ. 4.

⁴ ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 9, გვ. 25.

⁵ იქვე, გვ. 30.

⁶ ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 4, გვ. 21, 31, 32.

⁷ იქვე, გვ. 49.

ხელოვნებას იგივე ამოცანები აქვს გადასაჭრელი, რაც შეცნიერებას: ემსახუროს საზოგადოებრივი ცხოვრების გაუმჯობესების ამოცანებს, იყოს ობიექტურ სამყაროზე საზოგადოების გაბატონების საშუალება და წარმატების გზაზე საზოგადოებრივი ცხოვრების დამყენებელი.

ხელოვნების მიზანია „შუამავლად იყოს მეცნიერებისა ერთის მხრივ და ხალხისა და ცხოვრებისა მეორეს მხრივ“, მხატვრული ლიტერატურა როგორც თავისი „ენით, ისე აზრის გამოთქმით, ადვილად ასრულებს“ შუამავლის როლს „მეცნიერებასა და ცხოვრებას შორის“¹.

ხელოვნება თავისი შინაარსით დაკავშირებულია ხალხის გულსა და სულთან, მის ჭირსა და ვაებასთან, სიხარულსა და გატაცებასთან. უამისოდ ის მოკლებულია ღარსებასა და მნიშვნელობას². ხელოვნების ნაწარმოების მაღალ ღირსება ზოგადყაცობრიული იდეების განსახიერება წარმოადგენს. მაღალი და გენიალური ნაწარმოები ის არის, რომელიც საკაცობრიო ინტერესებს ემსახურება.

შინაარსის წამყვანი და განმსაზღვრელი ხასიათის აღიარება იმას როდი ნიშნავს, რომ ფორმა უმნიშვნელოა. ცოდნისა და საკაცობრიო იდეების მარტოლდენ სწორი გადმოცემა ესთეტიკურ განცდას ვერ მოგვცემს. მხოლოდ შინაარსი ხელოვნების განცდას არ იძლევა, ხელოვანისათვის არსებითია ცოდნის მხატვრულ ფორმებში განსახიერების უნარი. „ეხლარომ კაცმა სწეროს, — ამბობს ილია ჭავჭავაძე, — ცოდნის და განათლების გარდა, ნიჭიც უნდა ჰქონდეს“. ცოდნა და განათლება ისე აუცილებელი და საჭირონი არიან პოეტისათვის, როგორც ნიჭია საჭირო და აუცილებელი“³.

ხელოვნება აღამიანის ნაფიქრალსა და ნაზრევს, მეცნიერებისა და ცხოვრების მოღწევებს აღამიანის გულის სიღრმეში მიიტანს, იქ მღელვარებასა და აღფრთოვანებას გა-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხ. ტ. 4, გვ. 75.

² იქვე, გვ. 173.

³ იქვე, გვ. 33.

შოთაწევეს და ვნებებსა და წყურვილს აღძრავს შეუკავებელი მოქმედებისათვის. „მეცნიერების ნათარგმნი, — ამბობს ილია, — ჯერ უნდა, რაც შეიძლება ბლომად, მოკროვდეს გულის საგანძეში, რომ მერე პოეტის მხატვრობითმა სიტყვამ აღმობეჭდოს, სული ჩაუდგას, ხორცით შემოსოს გასატაცებლად, აღსაფრთხოვანებლად და გასაოცებლად“¹.

განუსახიერებელ ცოდნას არ ძალუდს განსახიერებაული ცოდნის დაგვარად „სულისა და გულის ამაღლება“, „გონებისა და გულის გახსნა“, განწყობილების გაფაქიზება და განწმენდა².

ზემოთქმულიდან ნათელია, რომ ი. ჭავჭავაძე ფორმისა და შინაარსის ერთიანობის თვალსაზრისიდან ამოდის. მისი აზრით, მიუღებელია როგორც უშინაარსო, წმინდა ფორმის ხელოვნება, ისევე უფორმო, გაუსახიერებელი შინაარსი. რაც უნდა სრულყოფვითი იყოს მხატვრული ნაწარმოები ფორმის მხრივ, დროში შეგრძნებათა თამაშის, სივრცეში ფიგურირების სურათისა და კომპოზიციის რა ჰარმონიაც უნდა ჰქონდეს მას, იგი მაინც არ ჩაითვლება ჭეშმარიტ მხატვრულ ნაწარმოებად, თუ მას ღრმა და საკაცობრიო შინაარსი არა აქვს. ამრიგად, დეკადენტურ, წმინდა ფორმის ხელოვნებას ი. ჭავჭავაძე სასტიკად ებრძვის.

ფორმა ორგანულად უნდა უკავშირდებოდეს შინაარსს, შინაარსი უნდა განსაზღვრავდეს ფორმას, ყოველგვარი ძალადობა, არაბუნებრიობა მათ დაკავშირებაში არაესთეტიკურია, გაუმართლებელია. რაციონალური ემოციურს, ემოციური რაციონალურს ორგანულად უნდა მსჭვალავდეს და ბუნებრივად უნდა უკავშირდებოდეს. ჭეშმარიტ ხელოვნებას, ნამდვილ ესთეტიკურ ქმნილებას ბუნებრიობა, გულწრფელობა, ჭინაზე და სიფაქიზე ახასიათებს და არა სიყალბე.

ჭეშმარიტ გრძნობას არ ახასიათებს მრავალსიტყვაობა და ყბედობა, ჭეშმარიტი გრძნობა თავდაჭერილობისა და ზო-

1 ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 5, გვ. 256.

2 ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 6, გვ. 47.

შიერების განსახიერებაა; მისი ძალა მით უფრო მეტია, რაც უფრო ნაკლებად ბრჭყვიალა და გარეგნულად ნაკლებად აჭრელებულ-აფერადებულია ის. „ჭეშმარიტი, მართალი გრძნობა, — ამბობს ილია, — ყბედი როდია, პირიქით, იმ-დენად თავდაჭერილია, იმდენად სიტყვა-ძვირია რამოდენა-დაც უფრო ძლიერია და — თუ გნებავთ — ამ სიტყვა-ძვი-რობაშია მიმზიდველი ღირსებაცა, იმისი გულსაწვდენი ჰემოქმედებაცა“¹. „ყალბად და, მაშასადამე, უქმად აპრია-ლებულ გრძნობაზე უსაძაგლესი არა არის რა ქვეყანაზე“².

ფორმისა და შინაარსის განუყრელობა და ერთიანობა— ასეთია ი. ჭავჭავაძის ესთეტიკის პრინციპი³. შინაარსისა და ფორმის ერთიანობაში ხელოსნობა არ უნდა ჩანდეს. ისე კი არ უნდა ხდებოდეს, რომ შემოქმედს ერთი ჰქონდეს და მეო-რეს ეძებდეს, ერთს მეორესთან გარეგნულად აკავშირებდეს. შინაარსიდან ფორმა უნდა გამომდინარეობდეს, ფორმა შინა-არსს უნდა ერთვოდეს. დიღმა და ბრძნულმა შინაარსმა თვით უნდა იპოვოს თავისი ფორმა პოეტის ნაძალადევი რეფლექ-სიის გარეშე; ასევე, დიღი გულის ძვრა და აზღვაგებულო გრძნობა თვით ქმნის თავის შინაარსს, იგი მას გარეთ არ ეძებს. ფორმისა და შინაარსის გარეგნული შეერთება და შეკავშირე-ბა არ უნდა იგრძნობოდეს. ამ საკითხთან დაკავშირებით ი. ჭავ-ჭავაძე განიხილავს დრამას და ამბობს: „გული დრამისა უნდა გამოხსნას თითოეულმა სცენამ, თითოეულმა მოქმედებამ ისე, როგორც გორგალი ძაფის წვერმა და, საცა ეს გორგალი არ არის, ან ავტორს არ დაუხვევია, იქ ამაოა ძაფების ტყუილ-უბრალო ცოდვილობა, წევა და გრეხვა. შინაგანი ძალა დრა-მისა უნდა გამომეტყველებდეს გარეთ და არა ავტორი შიჯ ჩასჭახოდეს გარედან. ჩვენი ავტორების საერთო ნაკლოვანე-ბანი ეს არის, და ეს ისეთი ნაკლოვანებაა, რომ იგი და დრა-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 4, გვ. 204.

² იქვე, გვ. 206.

³ იქვე, გვ. 25, 231.

შა ერთმანეთში ვერ მოთავსდება, როგორც ცეცხლი და წყალი”¹.

მხოლოდ ის არის ჭეშმარიტი ესთეტიკური ქმნილება და იმ მხატვრულ ნაწარმოებს შეუძლია აღამიანის გულს ჩაწვდეს, ამ გულში დაისადგუროს, ვნებები, წყურვილი და სურვილი აღძრას, აღფრთოვანება და აღტყინება გამოიწუიოს, რათა ამით აღამიანი მტკიცე და შეუპოვარი გადაწყვეტილებით აამოქმედოს, რომელსაც ღრმა, ბრძნული შინაარსი და მაღალი მხატვრული ფორმა აქვს. შემოქმედის გულში და სულში ფესვგაუდგმელი, მოუმწიფებელი ქმნილება არა-სულდეს არ იქნება ნამდვილად ესთეტიკური, ის ვერ აღაფრთოვანებს აღამიანის სულსა და გულს, ვერ აამაღლებს მის მორალურ არსებას და მას სამოქმედოდ ვერ განაწყობს. „ფესვგაუდგმელი, გულ - ჩაურჩენელი, — ამბობს ო. ჭავჭავაძე, — ტყუილი აღტაცება გროშადაც არ ღირს და უფრო მავნებელია, ვიდრე მარგებელი“... ფესვგაუდგმელ, გულ-ჩაურჩენელ, ყალბი აღტაცებით შექმნილ ნაწარმოებში „გრძნობის აღფრთოვანება არ არის, რომ აღამიანი თავის ადგილიდან მისძრა-მოსძრას სამოქმედოდ, აქეთ-იქით მია-ხედოს ფხიზელის თვალით, გული ჭეშმარიტის ცრემლით ატიროს, ან ყოველთ-მომქმედი სიხარულით, სიყვარულით გაუძლიეროს, გაუღონიეროს“. საღაც შინაარსისა და ფორმის ჰარმონიული ერთიანობა არა გვაქვს, საღაც ფორმა გარედან, მექანიკურად მიკრული და მიწებებულია შინაარსზე, იქ „მარტო უქმი აპრიალებაა ყალბი გრძნობისა, უღონო, უთავ-ბოლო და ხანმოქლე“!

ხელოვნება და სინამდვილე

ო. ჭავჭავაძის შეხედულებით, ხელოვნება, ისე როგორც მეცნიერება, სამყაროს შემეცნებისა და შეცვლის საქმეს უნდა ემსახურებოდეს. ხელოვნების ამოცანა საზოგადოებრივი

¹ ო. ჭავჭავაძე, თხ. 4, გვ. 212.

ცხოვრების კეთილდღეობაა. ამიტომ ის არა მარტო სამყაროს შემეცნების საქართველოში უნდა ემსახურებოდეს, არამედ მისა გარდაქმნაზეც ზრუნავდეს. ქვეყანა, ილია ჭავჭავაძის შეხედულებით, ტაძარი კი არ არის, სადაც კაცი უნდა ლოცულობდეს, არამედ სახელოსნოა, სადაც ის უნდა ირჩებოდეს და შრომობდეს¹. ადამიანები მაყურებელნი და მჭვრეტელნი კი არ არიან სინამდვილისა, არამედ მოქმედნი. ცხოვრება თვით ადამიანის ქმნილებაა და არა მზამზარეულად მიღებული რამ. „ადამიანები, — ამბობს ილია, — განა მაყურებელნი არიან ცხოვრებისა, არამედ მოქმედნი პირნიცა. ცხოვრება არის თითონ ამ პირთა ქმნილება, ამ პირთა ნამოქმედარი და ჭირნახული“². ადამიანი თავისი ცხოვრების საგანსა და აზრს მოქმედებასა და შრომაში ხედავს. „ადამიანი დიდის შრომითა და ღვაწლით ართმევს ბუნებას... ლუკმა პურსა“³. „ისტორია ბრძოლაა ბუნებასთან“⁴. სამყაროს შემეცნებისა და შეცვლის საქმეში ხელოვნება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იდეოლოგიაა.

რამდენადაც ხელოვნება ქვეყნის შეცვლისა და გარდაქმნის საქმეს ემსახურება, იმდენად ის ვერ იქნება სინამდვილის ასლი, სარკისებური ანარეკლი, დაგეროტიპი. ხელოვნებას საზოგადოებრივი ცხოვრება იმიტომ წარმოშობს, რომ მის შეცვლასა და განახლებას ემსახუროს. ხელოვნება ცვლის და აახლებს, ამოძრავებს და ავითარებს საზოგადოებრივ ცხოვრებას. ცხოვრება, მართალია, ძირია, ფესვია, რომელზედაც ხელოვნება ამოდის, მაგრამ ისეთი ნაყოფი კი არ არის, რომელიც თავისი ნიაღავისა და ფესვის შეცვლა-განვითარებას არ ემსახურებოდეს. არა მხოლოდ „მიწიდან ამოხეთქილი შტოები ისხამენ ნაყოფსა და როცა სათესლედ მოჰსწევენ, ისევ მიწას გადმოსცემენ, რომ ახალი ძირი გაიკეთონ და ამ ძირმა სხვა ახალი შტოები ამოხეთქოს,“ არამედ

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 10, გვ. 79.

² ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 9, გვ. 20.

³ ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 7, გვ. 152, ტ. 8, გვ. 3, 61.

ხელოვნებაც ისხამს ცხოვრების ნაყოფს და, როცა სათეს-ლეს მოამჟიფებს, მას ცხოვრებას გადასცემს „ახალი ცხოვ-რების გმოსაკვანძავათ“¹.

ხელოვნება ყოველთვის ცხოვრებას უნდა დასტრიალებ-დეს თავს, რათა მისი ცვლილებისა და გაუმჯობესების საქმეს ემსახუროს². ხელოვნება საზოგადოებრივი „ცხოვრების გა-სამჯობინებელი ღონისძიებაა“³.

ხელოვნება ქვეყნის შეცვლისა და საზოგადოებრივი ცხოვრების გაუმჯობესების წაქმეს თავის წესსა და რიგზე ემ-სახურება. ხელოვნება, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, სი-ნამდვილის მხატვრულ სახეებში შემეცნებაა და ქვეყნის შეცვლის საქმეს ამ სახით ემსახურება. ხელოვნების მიზანია ადამიანს ემსახუროს, საზოგადოებრივი ცხოვრება „მის მომ-ხიბლავის კალმით ცხოვლად“ წარმოგვიდგინოს⁴. ან, თუ ამ აზრს მარქსის სიტყვებით გამოვთქვამდით, ხელოვანი ქვეყა-ნას გარდაქმნის „მშვენიერების კანონების მიხედვით“.

ი. ჭავჭავაძე, მატერიალისტური პრინციპის შესაბამისად; მშვენიერების ობიექტურობას იცავს. ბუნების მშვენიერება, საზოგადოებრივი ცხოვრების სილამაზე მხოლოდ ადამიანის გრძნობის, ადამიანის სუბიექტური განცდის ნაყოფი კი არ არის, არამედ მათ ობიექტური არსებობაც გააჩნიათ, ობიექ-ტური საფუძველი და ნიაღაგი აქვთ. თავის დაუმთავრებელ, 1857-1862 წწ. „ცისკრის“ გარჩევაში ილია „ცისკრის“ მო-ლექსეთ უსაყვედურებს ბუნების მშვენიერების სუბიექტურ გაგებას; ის ამბობს: „ბუნება წმინდა სანთელია იმათ ხელში, რასაც უნდა იშას გამოსახავენ; ბუნება თუ არის მშვენიე-რი — იმათ გრძნობის მიხედვით; ის როგორც ობიექტი არ არსებობს იმათთვის“⁵.

1 ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 4, გვ. 73.

2 იქვე, გვ. 70.

3 იქვე.

4 იქვე, გვ. 80.

5 იქვე, გვ. 383.

“ ბ. ჭავჭავაძის აზრით, მშვენიერება არსებობს სინამდვი-
ლეშიც და ხელოვნებაშიც.

კითხვა ისმის: როგორია სინამდვილისა და ხელოვნების
დამკიდებულება? როგორია ი. ჭავჭავაძის შეხედულება ეს-
თეტიქის ამ ძირითად საკითხზე? ხელოვნების მშვენიერება
სინამდვილის მშვენიერების ზუსტ ასლს წარმოადგენს თუ
არა? ხელოვნებაში გამოსახული მშვენიერება უფრო მაღა-
ლია, თუ სინამდვილეში განსახიერებული მშვენიერება?
ილიას აზრით, ხელოვნების ამოცანა ცხოვრების განვითარე-
ბასა და ამაღლებაში მდგომარეობს. მაგრამ ამას ხელოვნება
მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებს, თუ მას უნარი. შესწევს
მოგვცეს უფრო მაღალი, უფრო სრულყოფილი მშვენიერე-
ბა, ვიდრე სინამდვილეშია.

როგორც აღნიშნული იყო, ილია ჭავჭავაძე მატერიალი-
სტური მსოფლმხედველობის დამცველია და ხელოვნების
სფეროში იმ პრინციპს თანამიმდევრად ატარებს. ხელოვნე-
ბის საგანს, ესთეტიკური შემეცნების ობიექტს სინამდვილე
წარმოადგენს. „პოეზია... ხატებითა და სურათებით...
სთარგმნის უცნაურ ენაზე დაწერილ წიგნს — მსოფლიოს,
ქვეყანას, ბუნებას, აღამიანს“, — ამბობს ილია ჭავჭავაძე¹.
„ხელოვნებასაც (როგორც მეცნიერებას.—ა. თ.) იმას მოვს-
თხოვთ, რომ სარკესავით ცხოვრება გადმოიცეს, რათა ჩვე-
ნი თავი მის მომხიბლავის კალმით ცხოვლად იყოს წარმომ-
დგარი ჩვენ წინა, რათა სიცუდეც და სიკეთეც ჩვენი დავინა-
ხოთ... დროა ხელოვნება ჩავიდეს ცხოვრების მდინარის
ძირშია, იქ მონახოს შიგ-მდებარე აზრი თავის ცხოველ სუ-
რათებისათვის. იქ, ცხოვრების ძირში...“².

ილია ჭავჭავაძე ხელოვნებას არ უყურებს როგორც სი-
ნამდვილის დაგეროტიპს: პირიქით, ჭეშმარიტი ხელოვნე-
ბის მშვენიერება არათუ ჩამორჩება სინამდვილის მშვენიე-
რებას, არამედ ის უფრო მკვეთრი, მომხიბლავი და

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 5, გვ. 256.

² ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 4, გვ. 80.

ამაღლებულია. მართალია, პირველი წყარო ხელოვნებისა ბუნება და საზოგადოებრივი ცხოვრებაა, მაგრამ ნამდვილი ხელოვნება პირველი წყაროს მშვენიერებით როდი კმა-ჟოფილდება. რუსთაველის „ვეფხვისტყაოსნის“ სახეები, ი. ჭავჭავაძის აზრით, უფრო მაღალია, ვიდრე სინამდვილე-ში არსებული სახეები. „ტარიელი, ნესტან-დარეჯანი, — ამბობს ილია, — ავთანდილი, ფრიდონი, თინათინ არც თა-ვისდღეში ყოფილან და არც არიან, არც ოდესმე უცხოვრიათ და არც ეხლა ცხოვრობენ, მაგრამ აბა ნახეთ ჩვენი საკვირ-ველი რუსთაველი როგორ სასწაულთმოქმედობს ადამიანსე, როცა იმათს ცხოვრებას გვიამბობს, მათის ცხოვრების მაჯის ცემას გვატყობინებს!... შოთამ მის მიერ მოგონილ ამბავს ისეთი სული ჩატანა, რომ ამ ჭეშმარიტ სულისაგან თვით არა ჭეშმარიტი ამბავი მართალი გვგონია. ის ეს საოცარი გარდაქმნა, ანუ უკეთ ვთქვათ, ქმნა არ ყოფილისა ყოფილად, მარტო შემომქმედს შეუძლიან და ამოტომაც ამ ღვთიურს ძალონეს ქმნისას შემოქმედობას ეძახიან“!

ზემოთქმულიდან ნათელია, რომ, ი. ჭავჭავაძის აზრით, ხელოვნების მშვენიერება არ არის სინამდვილის მშვენიერების ზუსტი ასლი, პირიქით, ჭეშმარიტი ხელოვნების მშვე-ნიერება უფრო მაღალი, საყოველთაო და სრულყოფილია, ვიდრე სინამდვილის მშვენიერება. ადამიანს, როგორც სინამ-დვილის მაღალ, მშრომელ არსებას, უნარი შესწევს სინამ-დვილის მშვენიერების საფუძველზე შექმნას მშვენიერების უფრო მაღალი, საყოველთაო და სრულყოფილი სახე, ვიდ-რე თვით სინამდვილეშია.

თქმულის დასაღასტურებლად მოვიტანოთ ილიას მეო-რე მაგალითი, მისი მსჯელობა მარმარილოში გამოქანდაკვ-ბული გმირისა და სინამდვილეში არსებული გმირების შესა-ხებ. შარმარილოს ქანდაკება „მარტო ვაუკაცობას, თავგამო-დებას ნიშნავს და სხვას არაფერს“. მთელი ქანდაკება და ყოველი მისი ნაწილი, მისი სახის ყოველი ნაკვთი მხოლოდ

1 ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 9, გვ. 273, 274.

გშირობის გამოსახვას ემსახურება. მოქანდაკეს არაფერო უთქვამს იმის შესახებ, რომ სინამდვილეში მყოფ ვაჟკაცებს სხვა თვისებები აქვთ; მაგალითად, ისინი ამავე ღროს შეძლება გულკეთილები, ლამაზები, კარგი მეგობრები და ამხანაგები იყვნენ. მოქანდაკის მიზანი იყო მხოლოდ ვაჟკაცობისა და თავგამოდების წარმოსახვა. ღანარჩენი თვისებები, რომელთაც ვაჟკაცობასა და თავგამოდებასთან აუცილებელი კავშირი არ ჰქონიათ, აბსტრაგირებულ იქნა. ი. ჭავჭავაძე აქ ნათლად გამოთქვამს თავის აზრს ხელოვნების ამამაღლებელი როლის შესახებ. ხელოვანი შემთხვევითი ნიშნების აბსტრაქციას ახდენს. ამიტომაა, რომ ი. ჭავჭავაძე ამბობს: „მთელი ქვეყნის ვაჟკაცების, დიდებულების და თავდადებულების სახეები გამოკრითის ამ მარმარილოს სახეში, მაგრამ თითოეულად არცერთი არც ეგვანება და კიდეც ეგვანება... რაც საზოგადო ნიშნები ჰქონიათ მთელი ქვეყნის ვაჟკაცებს, დიდებულებს, თავგამომდებლებს, ისინი სულ არიან გამოკვეთილნი ამ მარმარილოს სახეზედ და ამიტომ გვანან და ამიტომაც აღვილად მიუხვდით გამომკვეთელს აზრსა; და რაც კი კერძოობითი ნიშნები ჰქონიათ, რაც კი ერთსა ჰქონია და მეორეს კი არა იმპოტოვის გული არ უთხოვებია გამომკვეთსა, ამიტომ არ ჰგავს“¹. ხელოვნება სინამდვილეს ფოტოგრაფიულად არ ასახავს, ის მას სახეს უცვლის და ამაღლებს, ქმნის მის უფრინ მკაფიო სახეს, გვიხატავს, რა მის მოვლენებს გამახვილებულად და ჭარბი ფერებით. ასეთია ი. ჭავჭავაძის თვალსაზრისი.

ხელოვნების მშვენიერებისა და სინამდვილის მშვენიერების ურთიერთ დამოკიდებულება დაილექტიკურია. ამ დიალექტიკაში წამყვანი როლი სინამდვილის მშვენიერებას ეკუთვნის. შთაგონება და აღმაფრენა სინამდვილის მშვენიერების ნიაღაგზე იბადება. სინამდვილის მშვენიერებით შთაგონებული და აღფრთოვანებული ხელოვანი მშვენიერების უფრო მაღალ სახეებს ქმნის. ტალანტით, გენიალური ნიჭით დაჯილდოებული ხელოვანი თვით არის სინამდვილის ნაწილი

¹ ი. ჭავჭავაძე, თხ. ტ. 4, გვ. 402, 403.

და, როდესაც ის გარემო სინამდვილის მშვენიერებით აღ—
ფრთოვანდება, თვითონ, როგორც ბუნების მაღალი არსება,
როგორც სხვა აღამიანებზე მაღალი უნარით დაჭილდოებუ—
ლი, ქმნის უფრო მაღალ მშვენიერებას, ვიღრე სინამდვილის
მშვენიერებაა.

ხელოვნების მშვენიერება ხელოვანის სუბიექტური—
განწყობისა და კაპრიზის შედეგი კი არ არის, არამედ ობი—
ექტური მშვენიერების კანონზომიერებას ემყარება. ხელო—
ვანი, ემყარება რა ობიექტურ მშვენიერებას, თავისი ტალან—
ტით, გენიალური ნიჭით ამაღლებს მას. ამასთან დაკავშირე—
ბით ი. ჭავჭავაძე ამბობს: „ცხოვრება თვით რჯულია და არ
გამოიჭრება ხოლმე კაცისაგან მოგონილ რცკრიკებზედ...
თუმცა იგი ბერდება, მაგრამ იმ სიბერის გამოცდილებით
ისევ თავისთვად ახლდება და ჰყვავის; მეცნიერება და ხე—
ლოვნება არ არიან მოგონილნი კაცის ჭკვის და გამოხატულო—
ბის არც ვარგიშობისაგან და არც ვარგიშობისათვის;... იგინი—
იბადებიან ცხოვრებისაგან და არსებობენ ცხოვრებისა—
თვის;... იგინი წინ მიდიან ცხოვრების ვითარებისა გამო და
მერე თავის რიგზედ თვითვე წინ მიჰყავთ ცხოვრება;... რაც
მათგან არის მოყვანილი ცნობაში და დამტკიცებული, ის
გადადის ხალხში, იგი სცვლის ხალხის მდგომარეობასა ვა—
ცხოვრებასა“¹.

ხელოვნებამ საზოგადოებაში უნდა გამოავლინოს რო—
გორც კარგი, ისე ავი. და ცუდი; ცუდი უნდა გაკიცხოს და
უკუაგდოს, კარგი კი გააძლიეროს, აამაღლოს და განავითა—
როს. ხელოვნების მიზანი საზოგადოებრივი ცხოვრების გა—
უმჯობესება, მისი იდეალური მდგომარეობისათვის ბრძოლა
უნდა იყოს. საზოგადოებრივი ცხოვრების „...სრულ და ბედ—
ნიერ ჰყოფა, — ამბობს ილია ჭავჭავაძე, — ეგ წმინდა მო—
ვალეობა კისრად აღევს ლიტერატურასაცა. ამის გარეთ ლი—
ტერატურას ასპარეზი არა აქვს“².

¹ ი. ჭავჭავაძე, თხ., ტ. 6, გვ. 47.

² ი. ჭავჭავაძე, თხ., ტ. 9, გვ. 39.

ხელოვნება, ერთი მხრივ, სიძულვილით უნდა იყოს ავსია-
ლი, მეორე მხრივ კი — სათნოებითა და სიყვარულით. ერთი
მხრივ, მას ძლიერი ზიზღი უნდა ამოძრავებდეს, მეორე მხრივ
კი — ძლიერი სიყვარული. მისი სიყვარულის საგანი სა-
თნოება და სიკეთე უნდა იყოს, მისი სიძულვილის და ზიზ-
ღისა კი — ბოროტება. „ვისაც, — ამბობს ილია, — ძალიან
სძულს ბოროტება, მას ძალიან ეყვარება კეთილი... ოღონდ
ხელოვნება არ გასცდეს თავის საკუთარ კანონებსა და მეც-
ნიერება — ჭეშმარიტებისა და, დაუ არც ერთი და ჩრც მეორე
ნუ მოერიდება იმის გამოაშკარავებას, განკიცხვას, რაც
ჩვენში გასაკიცხავია და ცუდი. დაე ორივემ იარონ ცხოვრე-
ბის მდინარეში, მონახონ მარგალიტები და თუ იმათ ამოკრე-
ფაში ლაფი და ლექი თან ამოჰყება, რა უყოთ, ლაფი ჩამო-
ვირეცხოთ, ჭუჭყი მოვიშოროთ, რომ მხოლოდ მარგალიტე-
ბი დაგვრჩეს ჩვენი ცხოვრების სასახელოდ“¹.

ი. ჭავჭავაძის თვალსაზრისი ხელოვნებისა და სინამდვი-
ლის ურთიერთობის შესახებ გასცდა მარქსამდელი ესთეტი-
კის მცდარ თვალსაზრისს. დიდ რუს მატერიალისტ ბელინ-
სკისთან ერთად, მან დასძლია როგორც იდეალისტთა მცდა-
რი თვალსაზრისი, ისე მარქსამდელი მატერიალისტების არა-
სწორი შეხედულება. გენიალურ ბელინსკისთან ერთად, ის
ამ საკითხის, ისე როგორც ჭოგი სხვა საკითხის გადაწყვე-
ტაში მჭიდროდ მიადგა მარქსისტული ესთეტიკის თვალ-
საზრისს.

ხელოვნების სახეთა შეღარებითი შეფასება

მხატვრული განსახიერებისათვის სხვადასხვა საშუალე-
ბა არსებობს: ხაზი, ფერი, ბგერა, სტყვა. იმის მიხედვით,
თუ რა საშუალებით ხორციელდება განსახიერება, ჩვენ ვი-
ღებთ ხელოვნების სხვადასხვა სახეს: ხაზებში და ფერებში
— განსახიერება გვაძლევს მხატვრობას, ბგერაში განსახიერე-
ბა — მუსიკას, სიტყვაში განსახიერება კი — პოეზიას. „ხე-
ლოვნება, — ამბობს ი. ჭავჭავაძე, — არის განხორციელება

¹ ი. ჭავჭავაძე, თხ. ტ. 4, გვ. 82.

სახეში იდეისა, აზრისა: მუსიკა, მხატვრობა, პოეზია — ესენი სახეში გამოსთქვამენ იდეას, მხოლოდ იმით განიყოფებიან, რომ თავის იდეის გამოსათქმელად სხვადასხვა მასალებსა ხმარობენ, როგორც მუსიკა — ხმასა, მხატვრობა — ხაზსა, პოეზია — სიტყვასა”¹.

ი. ჭავჭავაძე ხელოვნების ყველა სახეს არ განიხილავს, ის მხოლოდ თეატრალურ ხელოვნებას, მუსიკასა და პოეზიას ეხება, განსაკუთრებულ ყურადღებას კი პოეზიას აპყრობს. როგორც ცნობილია, ილიას ესთეტიკური ტრაქტატები არ დაუწერია. თავის ესთეტიკურ შეხედულებებს ის გვაცნობს აქა-იქ გამოთქმული თითო-ოროლა დებულების სახით, ამათუ იმ მწერლის შემოქმედების განხილვასთან დაკავშირებით, ან მხატვრულ შემოქმედებაში — ამა თუ იმ გვირჩს პირით, ან კიდევ თავის საკუთარ პოეტურ ქმნილებებში შემთხვევით, ამა თუ იმ საჭიროებასთან დაკავშირებით გამოთქმულომოსაზრების სახით.

როგორია ხელოვნების კერძო სახეების დახასიათება? როგორია მათი შედარებითი შეფასება?

სცენური ხელოვნება, ილიას შეხედულებით, ცხოველ-მყოფელი, სრული და მთლიანია. აქ ბეგრითი ხელოვნება გაერთიანებულია ფერითი და ხაზვითი ხელოვნების სახეებთან. ამის გამო ხელოვნების ეს სახე უფრო მძლავრია. „...სცენა..., — ამბობს ილია, — ცხოველის სურათებით ელაპარაკება კაცის გულსა და ჭიუასა, იგი ამ თავის თვისებით კაცის გუნებაზედ უფრო მედგრად მოქმედებს, ვიღრეულება რამე, ამ მხრით არის იგი სანატრელი, ამ მხრით არის იგი კაცის გრძნობისა და ჭიუის გამაფაქიზებელი, გამწმენდელი”².

ი. ჭავჭავაძე თეატრალურ ხელოვნებას მასებისათვის უფრო მისაწვდომ ხელოვნების სახედ თვლის, ის ამბობს: „სცენა ხალხის მწვრთნელი, ხალხის გამზრდელი უნდა

1 ი. ჭავჭავაძე, თხ., ტ. 4, გვ. 31, 32.

2 ი. ჭავჭავაძე, თხ., ტ. 6, გვ. 47.

ჰყოს... გამწმენდელი იყოს ჩვენის ცხოვრებისა, ჩვენის ჭკუა-
სა და გულის განმანათლებელი და მწვრთნელი... გონება, გუ-
ლის" გასახსნელი იყოს¹.

თეატრალური ხელოვნების თავისებურება და სირთუ-
ლე ისაა, რომ აქ ჯერ სხვისი განცდა უნდა აითვისო და
შეისისხლორცო; ერთხელ სინამდვილეში განცდილი თავისი
ბუნებრივი სახით უნდა განმეორდეს უფრო ამაღლებულად;
ხოლო, მეორე მხრივ, ეს შინაგანი განცდა, ეს სულიერი
მღელვარება და მოძრაობა მიმიკაში, მიხვრა-მოხვრაში, გა-
რეგან მოძრაობაში და გამომეტყველებაში შესაბამისად უნდა
გამომუღავნდეს; სულიერი მღელვარება და მოძრაობა, მიხვ-
რა-მოხვრა სცენაზე ზუსტად და სრულად უნდა გამოხატავ-
დეს სულის მღელვარებასა და მოძრაობას. სინამდვილეში,
მათ შორის სრული შესატყვისობა უნდა იყოს. ასე უყურებს
საკითხს ილია ჭავჭავაძე. „გამყრელიძის მიერ სვიმონ ლეო-
ნიძის როლის“ შესრულებასთან დაკავშირებით („სამშობ-
ლო“) ილია ამბობს: გამყრელიძე „ისე შესაფერად მორთუ-
ლი იყო, რომ პირველს დანახვაზედვე ჰერძნობდით, რომ ამ-
რიგად უბრალოდ, სადად, მაგრამ ფაქტიზად ტან-ჩაცმული
კაცი უსათუოდ შინაგანის ღირსებით უნდა იყოს მდიდარიო.
ასეთი არის სწორედ სვიმონ ლეონიძე „სამშობლოში“. მერე
ყოველივე მიხვრა-მოხვრა ბ-ნ გამყრელიძესი, ყოველივე
მოძრაობა, ხელის თუ სახის ასე თუ ისე ხმარება ისე შეესა-
ბამებოდა ძველს, დარბაისელს, ჭართველს და ამასთან დიდ-
სულოვანს და დიდგულოვანს კაცს, როგორც სვიმონ ლეონი-
ძეა, რომ სწორედ აკვირვებდა მაყურებელს: არც ჭიმვა,
რომ აცა დიდსულოვანის კაცის როლსა ვთამაშობ და გავი-
ბლინძოო, არც გრეხა და პრანჭვა, არც გაჭაჭვა, რომ აცა
გმირად გამოვჩნდეო, არც ერთი ამისთანა უმსიგავსობა არ
მოსვლია ბ-ნ გამყრელიძეს სცენაზედ და იმოდენად იხელოვ-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 6, გვ. 47.

ნა, რომ ყოველ ამ უგემურ უფერ-მარილოდ დაგვანახა ნამ-
დვილი გმირი კაცი... თამაშობა... თვით ბუნება იყო, არაფე-
რი მეტი, არაფერი ნაკლები”¹...

ი. ჭავჭავაძე მუსიკას უფრო კრილად ეხება. თავისი შე-
ხედულება მუსიკაზე მან გამოთქვა ერთ სარეცენზიო წე-
რილში, რომელიც ქართულ ხალხურ მუსიკას უძღვნა 1835
წელს. თავისი შეხედულების გადმოცემას მუსიკაზე და, კერ-
ძოდ, ქართულ ხალხურ მუსიკაზე, ის იწყებს ლესინგის აზ-
რებით. ილია ამბობს: „ლესინგმა... სთქვა: „მუსიკა არის
უტყვი პოეზია და პოეზია—მეტყველი მუსიკაო“. ჩვენ კიდევ
ამას ვიტყვით, რომ სიმღერა, გალობა სხვა არა არის რა,
გარდა ბედნიერად შექსოვილის პოეზიისა და მუსიკისა. აქ
ჭიმღერაში, გალობაში, მწყობრი ხშა შველის წყობილ-სი-
ტყვაობას და წყობილ-სიტყვაობა მწყობრ ხმასა, რე-
თა მთლად და სავსებით აღამიანმა გამოსთქვას თა-
ვისი. სულის მოძრაობა და თავისი გულის ძარღვის
ცემა”². ილია ავტორებს ლესინგის მიერ მუსიკის ზოგად
განსაზღვრას და მუსიკის საკუთარ განსაზღვრას გვაძ-
ლევს. მუსიკა, მისი აზრით, არის აღამიანის გულისთქმის
განსახიერების მაღალი მხატვრული სახე. სიმღერა, მისი შე-
ხედულებით, პოეზიისა და მუსიკის უბრალო, მექანიკური
შეერთება კი არ არის, არამედ ორგანული, ღიალექტიკუ-
რი. მათი შეერთება ახალ თვისობრიობას, ხელოვნების ახალ
სახეს გვაძლევს. ამ სახეს სულისა და გულისთქმის განსახიე-
რების მეტი უნარი აქვს, ვიღრე მუსიკისა და პოეზიას ცალ-
ცალკე. „ხმა და სიტყვა ცალ-ცალკე,—ამბობს ილია,—ბევრს
შემთხვევაში უღლონონი არიან აღამიანის გულის სიღრმიდან
ამოზიდონ იგი სხვილი და წვრილი მარგალიტები, რომლი-
თაც სავსეა აღამიანის გული და რომელნიც აიშლებიან ყო-

1 ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 5, გვ. 267, 268.

2 იქვე, გვ. 258.

ველთვის, როცა ან სევდა-მწუხარება, ან სიხარული შემუ-
სრავს ხოლმე ღვთაებურს სიმებს ადამიანის სულიერებისა”¹.

როგორც მუსიკა, ისე საზოგადოდ ხელოვნება ილიას
ადამიანის სულის განუყრელ ინტიმურ მეგობრად მიაჩნია-
სიხარულშიც და სევდა-მწუხარებაშიც. ორივე შემთხვევაში
სიმღერა ისევე აუცილებელია, როგორც ცრემლები: ცრემ-
ლები ხომ აუცილებლად ესიტყვება ჩვენს გულს როგორც
დიდი მწუხარების, ისე დიდი სიხარულის დროს. ასევეა სიმ-
ღერაც ადამიანისათვის. „სიმღერა, — ამბობს ილია, — იგი-
ვე ცრემლია, რომელიც მოდის, როცა გულს მწუხარება
ჰკუმშავს, და მაშინაც, როცა დიდი სიხარული ეწეუკა“.
საილუსტრაციოდ მას მოყავს „ზარი“, როგორც გლოვის მუ-
სიკა, „მაყრული“ კი — როგორც სიხარულისა და ბეღნიე-
რების ამსახველი, „ორ-პირი“ — ვაჟკაცობისა, მედგრობი-
სა და მხეობისა გამომხატველი².

„სიმღერა... მარტო გულისთქმაა და სხვა არა რა“. მაგ-
რამ, ისევე როგორც ადამიანის გულისთქმა ოკეანესავით
ამოუწურავი და ულევია, სიმღერაც თავისი ხასიათითა და
სახეებით ამოუწურავი და უსასრულოა. გულს დაუსრულე-
ბელი სიმთაუღერა აქვს, რითაც ის თავის განწყობილებას
ამუღავნებს და ასახიერებს. ასევე, სიმღერების მრავალფე-
როვნებასა და ნაირობას, მათ ჰანგებსა და ჰარმონიას ბოლო
არ უჩანს. სიმღერა, როგორც მწყობრი ხმა, მწყობრ სი-
ტყვასთან შეერთებული, ადამიანის გულისა და სულისთქმის
ყველაზე მაღალი გამომსახველია. „ეგ ღვთაებური ნიჭი, —
ამბობს ილია, — ბუნებამ მარტო ადამიანს მოჰმადლა და
იგი იმოდენად ძვირფასად მიაჩნია კაცობრიობას, რომ არ
არის ცის ქვეშეთში იმისთანა კაცი, იმისთანა ერი, რომ ეგ
ნიჭი არ ემოქმედებინოს და ეგ მშვენიერი ნერგი, ადამიანის
ხელში ბუნებისაგან ჩარგული, არ ეხეირებინოს და ცოტა
თუ ბევრი ყვავილები არ გამოესხმევინოს“³.

¹ ი. ჭავჭავაძე, თხ. ტ. 5, გვ. 258.

² იქვე, გვ. 259.

³ იქვე.

მუსიკაც, ეს უტყვი პოეზია ლესინგის თქმით, ამ-
ბობს იღია, — „იგივე ენაა მხოლოდ ხორცით შეუსხმელი,
სიტყვით არ განსაზღვრული, სიტყვით არ გამორკვეული, —
იგი მარტოდ ხმაა, კვესაა, ხარებაა, იგი ძანილია აღფრთო-
ვანებული სულისა“.

ი. ჭავჭავაძეს სიმღერისა და პოეზიის სიამოვნების ნიჭი
ადამიანის საყოველთაო თვისებად მიაჩნია: „სიმღერის, პოე-
ზიის სიამოვნების ნიჭი, — ამბობს ის, — საყოველთაო
კუთვნილებაა ადამიანისა. არ არის ქვეყანაზედ ადამიანი ამ
ნიჭს მოკლებული, ყრუისა და მუნჯის მეტი, ისიც იმიტომ —
რომ აქ ხორცის ნაკლოვანებაა მიზეზი ამ ნიჭის უქონლობი-
სა, და არა სულისა“¹.

ის მოვლენა, რომ ზოგჯერ ადამიანს განათლებული
ხალხის მაღალი მუსიკალური ქმნილება არ მოსწონს, ან სხვა
ერის თუ უცხო მხარის სიმღერები არ იზიდავს, ამ ადამია-
ნის ესთეტიკური უნიჭობისა და უუნარობის საპუთად არ
გამოდგება, რაღაც, ისე როგორც ყოველივეს, მუსიკასაც
შეჩვევა და შესწავლა უნდა. ამ ადამიანში ესთეტიკური გან-
ცდის ნიჭის უქონლობის აღიარება იმას ეგვანებოდაო, რომ
კაცს კაცმა მეტყველების ნიჭის უქონლობა შესწამოს იმის
გამო, რომ ინგლისურის უცოდინარობის მიზეზით ბაირონის
პოეზიის სიღრმე ვერ გაიგოს და თვლემა დაიწყოს“².

ილია ჭავჭავაძე მუსიკას ხალხის სოციალურ ცხოვრე-
ბას, მის ისტორიულ წარსულს, აწმყოსა და მომავალს უკავ-
შირებს. ხალხის ცხოვრებას მოწყვეტილი, ჰაერში გამოკი-
დებული და ორუბლებში მონავარდე მუსიკა, სიმღერა არ
არსებობს; მას მკვიდრი სოციალური და ისტორიული საფუ-
ძველი აქვს და ისე იცვლება და ვითარდება, როგორც საზო-
გადოებრივი ცხოვრება.

ილია, როგორც არა სპეციალისტი მუსიკის დარგში,
მოკრძალებით, მაგრამ დამაჯერებლად გამოთქვამს იმ საინ-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხ. ტ. 5, გვ. 259.

² იქვე.

ტერესო აზრს, რომ ქართული მუსიკა, ქართული სიმღერა „თვითნაჩენია ზავით, თავისით-მყოფია, თვით მოარულია“¹. ქართული მუსიკა არა ჰგავს არც ევროპულ და არც აზიურ მუსიკას. „აზიის რომელისამე ერის სიმღერას არა ჰგავს აქაური ბანით სათემელი სიმღერა. აქ საკუთარი, თვითნაჩენი, თვით-მყოფი სიმღერაა და ამ მხრით მუსიკის მცოდნე კაცთა თვალში ქართული სიმღერები სრულს ახალს ამ-ბავს უნდა წარმოადგენდეს მუსიკის ისტორიისა და თეო-რიისათვის“².

როგორც პოეზიისა და მუსიკის შეერთება სულისა და გულისთქმის ახალ და უფრო მაღალ განსახიერებას წარმოადგენს, ასევე, ილიას თქმით, სიმღერისა და წარმოდგენის შეერთება თეატრში გვაძლევს განსახიერების უფრო მაღალ სახეს, ვიდრე ისინი ცალ-ცალკე არიან. აქაც ილია შემოქმედებითს, დიალექტიკურ სინთეზე მიუთითებს. „ნუთუ, — ამბობს იგი, — კარგი არ იქნებოდა, რომ ჩვენმა დრამატიულმა დასმა... ხოროთი გალობა ქართულის ხმებისა ზედ გადააბას წარმოდგენას... ეს ორი საქმე ერთმანეთს შეაფებს და ერთმანეთს უშველის ამრავალფეროს სიამოვნება... ეს გა-ერთიანება ორის ერთგვარად სასურველ და სანატრელ სიამოვნებისა ერთსაც ახეირებს და მეორესაც, როცა ორივე და-ძმურად ერთად მოწვეულ იქნებიან ჩვენდა გასართო-ბად“³.

პოეტურ ქმნილებათა (ფართო გაგებით) გვარეობიდან ი. ჭავჭავაძე განიხილავს ლირიკასა და დრამას. დრამატულ ნაწარმოებთა სახეებიდან ის გაკვრით ჩერდება სატირაზე (კომედია) და ვრცლად განიხილავს ისტორიულ დრამას.

სატირა, ი. ჭავჭავაძის განსაზღვრით, არის „პირწვეტიანი ეკალი,... რომელიც ზოგჯერ გამოსაკეთებლად აწყლულებს ხოლმე იმას, ვისაც კი დაეძგერება და სხვას კი ყო-

¹ ი. ჭავჭავაძ ა. ქ. თხზ., ტ: 5, გვ. 259.

² იქვე, გვ. 254.

³ იქვე, გვ. 266.

ველთვის აფრთხილებს“; ის „სასაცილოდ“ და სათრეველად აგდებს აღამიანს¹. ამ მოკლე განსაზღვრაში მოცემულია სატირის არსება. ეპიტეტი „პირწვეტიანი ეკალი“ გამოხატავს აღამიანზე სატირის ზეღმოქმედების სპეციფიკურ ნაშანს. ჭეშმარიტი სატირა, აღამიანის „სასაცილოდ“ და სათრეველად დაგდებით, წვეტიანი ეკალივით იჩხვლიტება და გულს აწყლულებს, მაგრამ ისე კი არა, რომ მას დამბლა დასცეს და მისი სრული პარალიზება მოახდინოს, არამედ მასში კეთილ გზაზე დადგომის, ბრძოლის უინი აღძრას და სათნოება ჩასახოს.

რაში ხედავს ილია დრამის არსებას? „დრამა, — ამბობს ის, — სულისა და გულის ცხოვრებაა, სულისა და გულის დიდს ძვრაზეა ასაგებელი და ასაშენებელი... დრამა უსათუოდ სულისა და გულის უდიდეს ძვრაზე უნდა იყოს აგებული და აშენებული, და ეს უდიდესი ძვრა სულისა და გულისა ერთადერთი საგანია დრამისა, ერთადერთი ბუნებაა მისი. ამით იცნობება იგი დრამად. მას სხვა წყარო არა აქვს და არც სხვა მიზეზი არ-სებობისა“². დრამამ გრძნობათა ისეთი ჭიდილი, ქარტეხილი, წვა-დაგვა, განსაცდელი და სულის ისეთი აღფრთოვანება იცის, რომელიც აღამიანს თავისი მდგომარეობიდან დასძრავს სამოქმედოდ. ის აფორიაქებულ გრძნობათა გრიგალის ჭროლვას იწვევს, რათა აღამიანი ცხოვრების ხელშემშლელი პირობების წინააღმდეგ აამოქმედოს³. ილია გვაძლევს დრამის ჭეშმარიტ კლასიკურ გაგებას. გრძნობათა შინაგანი წინააღმდეგობის, ბრძოლისა და ჭიდილის შომენტი დრამის არსებით ნიშანს წარმოადგენს. გრძნობათა შინაგანი ბრძოლის, ჭიდილის, წვა-დაგვის, ქარტეხილის, გრიგალისა და კოლიზიების გარეშე დრამა არ არსებობს. დრამა არ არის იქ, საღაც მოქმედება ცალმხრივადაა გაშლილი, თუნდაც ეს მოქ-

¹ ი. ჭივჭივაძე, თხ. ტ. 4, გვ. 246.

² იქვე, გვ. 202, 203.

³ იქვე, გვ. 204, 206, 212 და სხვა.

შედება თავისი ბუნებით გრანდიოზული იყოს. ცალმხრივ მოცემული მოქმედება კარგავს თავის სიღიადეს, გრანდიოზულობას. გრანდიოზულობა და სიღიადე, ამაღლებულობა და გმირობა შინაგანი ბრძოლისა და დაპირისპირების გარეშე არ აჩვებობს. ეს შინაგანი წინააღმდეგობა დრამის აუცილებელი პირობაა.

ი. ჭავჭავაძე კონკრეტული მაგალითით ამტკიცებს თავის აზრს. ის განიხილავს ცაგარლის დრამას „ქართლის დედა“, სადაც გამოყვანილია ქართველი დედა, რომელსაც ხუთი შვილი აღუზრდია და ყველა სამშობლოს უნდა შესწიროს.
ი. ჭავჭავაძის დრამის თეორიის თანახმად, ამ დედაში უნდა ხდებოდეს „ჭიდილი“, „წვა-დაგვა“, „განსაცდელი“, „სულ-თაბრძე“, გრძნობათა გრიგალისებური შეჯახება იმის გამო; რომ მასში ორი გრძნობა არსებობს: სიყვარული სამშობლო-სადმი და სიყვარული შვილებისადმი. ი. ჭავჭავაძის თანახ-მად, დრამის ავტორი უნდა ცდილიყო ამ ორი გრძნობის ქარტეხილში გამოეტარებინა დედის დიდსულოვნება. ნამ-დვილად კი დრამის ავტორი ცაგარელი დედას სცენაზე შე-მოიყვანს წინათვე გადაწყვეტილი აზრით და ათქმევინებს: „ჩემი ქვეყნისათვის გავზარდე ჩემი ხუთი შვილი, საქართვე-ლოსტავის ვაწოვე ჩემი ძუძუო“ და სხვა არაფერი აინუნში აღარ მოსდის, თითქოს დედაშვილური სიყვარული ისე ცო-ტა რამ იყოს, რომ უომრად, უბრძოლველად ლაჩარსავით დაპნებდეს, თუნდ ამისთანა დიდ-პატიოსანსა და დიდ მშვე-ნიერს გრძნობას, როგორიც მამულისშვილური სიყვარუ-ლია“¹.

მამულისათვის თავდადების განსახიერების ეს ფორმა ყოვლად მიუღებელი და საზიზღარია, — ამბობს ილია. — წამდაუწუმ იმის ძახილი, რომ მე ჩემი ხუთი შვილი მამუ-ლისათვის დამიზრდიაო, — უფრო ბაქიაობაა, ვიღრე საქმე-არა წამდაუწუმ ძახილი ამისა, არამედ ერთხელაც თქმა

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 4, გვ. 204, 206, 212 და სხვა-

ჭედმეტია, იმიტომ რომ ეგ უნდა გვაუწყოს მისმა მოქმედებამ, მისმა საქმემ და არა მისმა სიტყვამ, რომელიც ამ შემთხვევაში უფრო ბაქიაობას მოასწავებს, ვიდრე საქმესაო. წამდაუწუმ დედის მიერ ამის თქმა, ისე მოქმედებს შემენელზე, „თითქოს გვამუნათებს და გვაყვედრის, რომ ჩვენთვის ასეთი სიკეთე გაუწევია. დამუნათებული, წაყვედრებული კეთილი, ჩვენის ფიქრით, — ამბობს ილია, — ბოროტზე უარესია და უმძიმესი ასატანად“¹.

დედის არსებაში არავითარი შინაგანი ბრძოლა არ მიმდინარეობს, ამიტომ „ხუთს მამულისათვის გაწირულს შვილს პირველ მოქმედებიდანვე კაცი უგულოდ აღევნებს თვალყურს“. ეს იმიტომ, რომ ყოველგვარი შინაგანი დრამის, ბრძოლისა და ქარტეხილის გარეშე „წინათვე ვიცით, ვის რა კაცობის ბილეთი აკრავს შუბლზე ავტორისაგან“.

დედაშვილურს გრძნობას დედის გულში არავითარი ადგილი. არ უჭირავს. „ამიტომაც, — ამბობს ილია, — მის მიერ შვილთა მამულისათვის გაწირვას არაფერი ფასი არა აქვს. გაწირვა მაშინ არის დიდისულოვანობის საქმე, როცა გამწირველი თითონ დიდის რასმე ჰყარგავს ამით, როცა ვხედავ, რომ ამ გაწირვამ გულში ერთი უმთავრესი ძარღვი ჩასწყვიტა გამწირველსა, ერთი დიდი რამ დაკლო, ძნელად გასაწირი, ძნელად გასამეტებელი, ძნელად დასათმობი აღაშიანისაგან. ამ შემთხვევაში გულთა ჭიდილი დედისა უნდა გამართულიყო დედაშვილურ და მამულისშვილურ სიყვარულისა გამო, რომელნიც ამ დრამაში ერთმანეთს შეხვდნენ ისე, რომ ან ერთი უნდა გაიწიროს, ან მეორე. ორივე სიყვარული კანონიერია, ბუნებურია, და მით ორივე დიდს გრძნობას წარმოადგენს აღაშიანის ბუნებაში, ძნელად გასაწირს, ძნელად გასამეტებელს და, რამოდენად ან ერთი, ან მეორე, ძნელად გასაწირია, ძნელად გასამეტებელი, იმოდენად თვით გაწირვა დიდია, საპატიო და სახელოვანი“².

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 4, გვ. 204, 206, 212 და სხვა.

² იქვე.

ძლიერი მოწინააღმდეგე სულიერი ძალების ბრძოლა
ადამიანში და ამით გამოწვეული სულისა და გულის ძლიერო-
ძვრა, გრძნობათა ჭიდილი, ქარტეხილი, წვა-დაგვა, განცდა-
თა, აფორიაქებულ გრძნობათა გრიგალის ქროლვა, — ასე-
თია ი. ჭავჭავაძის დრამის თეორია.

ამიტომ ილიას დრამის შექმნა ყველა სხვაგვარ პოეტურ
თხზულებაზე გაცილებით ძნელ საქმედ მიაჩნია.

ზოგადი ესთეტიკური პრინციპის თანახმად, ი. ჭავჭავა-
ძე დრამისთვისაც ბუნებრიობას, ზომიერებას, ფორმისა და
შინაარსის სრულ შერწყმას მოითხოვს. დრამას არ უნდა
ემჩნეოდეს ხელოსნობა ხელოვანობის ნაცვლად. ხასიათები
და განწყობილებანი თავისი ბუნებისამებრ უნდა იშლებო-
დნენ და არა ავტორის მრავალგზისი ხაზგასმითი ნაამბობით.
ხასიათისა და განწყობილების განვითარებას, დამოკიდებუ-
ლებათა კოლიზიებს მაყურებელი ან მკითხველი უნდა
გრძნობდეს თვით გმირთა მოქმედებაში.

დრამა არ უნდა შეიცავდეს გრძნობის გადაჭარბებას,
გმირების პრანქეა-გრეხას თითქოსდა დაუძლეველ განწყობი-
ლებათა და განცდათა შედეგად. „ჭეშმარიტი, მართალი
გრძნობა, — ამბობს ილია, — ყბედი როდია, პირიქით, იმო-
დენად თავდაჭერილია, იმოდენად სიტყვა-ძვირია, რამოდენა-
დაც უფრო ძლიერია და — თუ გნებავთ — ამ სიტყვა-ძვი-
რობაშია მისი მიმზიდველი ღირსებაცა, იმისი გულმისაწვ-
დენი ზედმოქმედებაცა მაყურებელზე“¹. „ყალბად და, მაშა-
სადამე, უქმად აპრიალებულ გრძნობაზე უსაძაგლესი — გა-
ნაგრძობს ილია — არა არის რა ქვეყანაზე“.

დრამის არსება დრამის ყოველ მცირე ნაკვეთში უნდა
გამოკრთოდეს, როგორც მოსალოდნელი დიდი უბედურება და
ტკივილი. დრამის ყოველი მონაკვეთი, ყოველი მცირე გამოვ-
ლენა უნდა მიუთითებდეს იმაზე, რომ რაღაც ძლიერი, დაუძ-
ლეველი და გადაულახვი მოდის როგორც საშინელება და

¹ ი. ჭავჭავავაძე, თხზ., ტ. 4, გვ. 204.

მაყურებელი თუ მქითხველი დაძაბული, სულგანაბული. იმის მოლოდინში უნდა იყოს, თუ როდის იფეთქებს ეს ძალა და უბედურება მოქმედ გმირთა შორის. ამისათვის დრამის ავტორს გმირების გრეხა და პრანჭვა, ყალბი პათოსი და ბაქიაობა არ ჭირდება, პირიქით, ეს მთელ დრამის აქარწყლებს. დაწურული და შეკუმშული მოქმედებით, მძლე და სავსე გრძნობით გამომეტყველი გმირები ყოველივე ამას ზომიერად უნდა ავლენდნენ. „გული დრამისა, — ამბობს ილია, — უნდა გამოხსნას თითოეულმა ცცენამ, თათოეულმა მოქმედებამ ისე, როგორც გორგალი ძაფის წვერმა და, საცაეგ გორგალი არ არის, ან ავტორს არ დაუხვევია, იქ ამაოა ძაფების ტყუილ-უბრალო ცოდვილობა, წევა და გრეხა. შინაგანი ძალი დრამისა უნდა გამომეტყველებდეს გარეთ და არა ავტორი შიგ ჩასძახოდეს გარედამ“¹.

ასეთია დრამის ხასიათი საერთოდ. რაც შეეხება კერძოდ ისტორიულ დრამას, ამის შესახებ ი. ჭავჭავაძე ამბობს: ისტორიული დრამის ამოცანაა თვალწინ წარმოგვიდგინოს ისტორიული პირი თავისი ავ-კარგით, ან წარსული ისტორიული ცხოვრება, გვაჩვენოს, „რა აზრი, რა გულის ტკივილი, რა სწრაფვა სულისა, რა გონება-გახსნილობა, რა ზნე-ჩვეულება ხელთ ჰქონია მაშინდელობას კერძო ცხოვრების თუ საზოგადოების ასე თუ ისე წასამართავად“². ი. ჭავჭავაძე დრამის ამბის მოგონილობას ავტორს წუნად არ სდებს. „დრამატურგი ისტორიკოსი ხომ არ არის, — ამბობს ილია, — რომ ისტორია გვასწავლოს, ისტორიული ქრონიკა გვიწეროს. დე, თუნდა ამბავი, არაკი დრამისა თავის საკუთარის ფანტაზით შექმნას, ხოლო თუ სურს ისტორიული ღირსება მიანიჭოს თავის დრამას, უსათუოდ მოვალეა სული და გული ეპოქისა ამ ამბავში ჩანასკვოს, ჩასახოს და დრამის სკლაში გადაგვიხსნას, გადაგვიშალოს საგრძნობლად დასაშახავად“.

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 4, გვ. 212.

ამგვარი დრამის დამწერს წინ უნდა უძლოდეს დიდი ცოდნა ისტორიისა, დიდი გონიერა-გახსნილობა, დიდი განათლება, გარდა ღვთით მიმადლებული ნიჭისა¹.

კლასიკურ გზას მიყვება ი. ჭავჭავაძე ლირიკას განმარტების დროსაც. „ლირიკა, — ამბობს ის, — უფრო თითონ მწერლის გულთა წვა-დაგვას, ჭირსა და ლხინს გვიგალობს, ვიდრე მოაზრე ცხოვრების აზრთა სვლას და შარმატებას“. ლირიკა უფრო სულის მშვენიერებას „ჰქდიდა ტრფიალების საგნად, ვიდრე ხორცისას“. მაგალითად, სიყვარულის განსახიერების დროს ძლიერი ლირიკა „სულიერობას უფრო თაყვანს სცემდა, ვიდრე ხორციელობას“²... ლირიკა აღამიანის სულისა და გულის უინტიმურების აღსარებაა. ლირიკული განწყობა აღამიანის უერთგულების და უახლოების მეგობარია გაჭირვებასა და დალხინებაში. ლირიკული განწყობის დროს აღამიანი თავის საკუთარ განწყობას ჭვრეტს, ამთ თავის თავს აობიექტივებს და ამაღლებს. ლირიკული მღერის ეს უცნაური თვისება ჩვენს პოეტს უშუალოდ ხილული აქვს. „თითოეული ცემა გულის ძარღვისა, — იმეორებს ილია ერთი ბრძენის ნათქვამს და ეთანხმება მას, — გვსჭრის და გვაწყლულებს ჩვენ, და ჩვენი სიცოცხლე ჭრილობიდან სისხლის შეუწყვეტელი დენა იქნებოდა, რომ ქვეყანაზე პოეზია არ არსებულიყო“. აი, ლირიკის (და საზოგადოდ პოეზიის) ეს თვისებაა, ტკივილსაც რომ საამურ განცდად აქცევს. „პოეზია (კერძო ლირიკა უფრო მეტად), — ამპობს ილია, — მაღლია, ნიჭია, რომელიც ეძლევა მხოლოდ კაცთა, ღვთით რჩეულთა. მაღლია, მაგრამ ამასთანავე ტვირთიც არის, რადგანაც იგი მოვლენილია, რომ ჭრილობიდან სისხლის შეუწყვეტელი დენა კაცთა სიცოცხლეს შეუყენოს“³. პოეტი, იმ უცნაური და საკვირველი ძალის წყალობრივ, რომელიც მის საკუთარ ტკივილს ამსუბუქებს და რომელსაც ტანჯვაც ტკბილ

¹ ი. ჭავჭავაძე, თხ. ტ. 4, გვ. 202.

² იქვე, გვ. 232.

³ იქვე გვ. 283.

განცდამდე აჰყავს, მზად არის „ჭრილობიდან სისხლის შეუწყვეტელი დენა კაცთა სიცოცხლეს შეუყენოს“.

კითხვა ისმის: ი. ჭავჭავაძის აზრით, ხელოვნების განხილულ გვართა შორის რომელი უფრო მაღალია — დრამა, თეატრი, მუსიკა თუ პოეზია (ლირიკა)? ხელოვნების სხვადასხვა გვართა და სახეთა შედარება და მათი კრიტიკული შეფასება, განსაკუთრებით პეგელის შემდეგ, ესთეტიკისათვის სავალდებულო პრინციპულ ნორმად ითვლება. საინტერესოა ი. ჭავჭავაძის აზრი ამ საკითხზე.

პოეზიისა და მუსიკის შედარების დროს ი. ჭავჭავაძე გარჩვევით გამოთქვამს აზრს ხელოვნების ამა თუ იმ სახის უპირატესობის შესახებ და იმასაც აღნიშნავს; რომ თვითეული მათგანი ცალ-ცალკე უფრო დაბალია, ვიდრე მათი ორგანული შენაერთი.

მუსიკისა და პოეზიის იმ განმარტებიდან, რომ „მუსიკა არის უტყვი პოეზია და პოეზია — მეტყველი მუსიკა“, ნათლად ჩანს, რომ ი. ჭავჭავაძე პოეზიას ესთეტიკური განსახიერების უფრო მაღალ სახედ მიიჩნევს. ამ განმარტებით, მუსიკა პოეზიაა, მაგრამ უტყვი, ნაკლის შემცველი, ხოლო პოეზია, პირიქით, უნაკლოა, ის მეტყველი მუსიკაა. სხვანაირად რომ უთქვათ პოეზია უდრის კარგ, მაღალ მუსიკას, ხოლო მუსიკა — დაბალი სახის პოეზიას. რაც შეეხება სიმღერას, ის, როგორც პოეზიისა და მუსიკის შემოქმედებითი სინთეზი უფრო მაღალია, ვიდრე მუსიკა და პოეზია ცალ-ცალკე, ან მათი უბრალო ჯამი.

ქანდაკებისა და მხატვრობის შესახებ ი. ჭავჭავაძეს თავისი აზრი პირდაპირ, რამდენადაც ეს ჩვენთვის ცნობილია, არსად არა აქვს გამოთქმული, მაგრამ ლირიკის, როგორც ადამიანის სულიერი განწყობილების ყველაზე ინტიმური გამომხატველი ხელოვნების დახასიათებიდან ნათლად გამომდინარეობს, რომ ლირიკა, მისი აზრით, უფრო მაღალი და უნარმოსილია განასახიეროს ადამიანის სულისა და გულის მისწრაფებანი (ხელოვნების ეს ყველაზე ძვირფაში და მაღალი საგნები), ვიდრე ქანდაკება და მხატვრობა.

დრამატული ხელოვნება, როგორც თეატრში განსახიერებული ხელოვნება, რთულ ნაერთს, რთულ კომპლექსს წარმოადგენს. თეატრალური ხელოვნება შეიძლება მუსიკას, პოეზიას, მხატვრობას აერთიანებდეს ცოცხალ, ნამდვილ ადამიანებში, რომელთა მეშვეობით ხორციელდება თეატრალური მოქმედება. აქ ი. ჭავჭავაძე გარკვევით გამოთქვამს თავის აზრს: თეატრი, რომელიც ხელოვნების ყველა სახეს გააერთიანებდა, განსახიერების უმაღლეს სახეს მოგვცემდა. აქ ჩვენ გვექნებოდა უმაღლესი შემოქმედებითი სინთეზი. „ნუთუ, — ამბობს ილია, — კარგი არ იქნებოდა, რომ ჩვენმა დრამატიულმა დასშა... ხოროთი გალობა... გადააბას წარმოდგენას... ეს ორი საქმე ორივეს შეავსებს და ერთმანეთს უშველის ამრავალფეროს სიამოვნება... ეს ერთსაც ახეირებდა და მეორესაცა“.

ამგვარად, ი. ჭავჭავაძის ხელოვნების სახეების განხილუების მეთოდი დიალექტიკურია. მისი თვალსაზრისი განვითარების თვალსაზრისია და არა მეტაფიზიკური, რომელიც ხელოვნების სხვადასხვა სახეებს განიხილავს ურთიერთისაგან მოწყვეტით და ვერ ამჩნევს მათს შემოქმედებითს სინთეზს. მეტაფიზიკა თეატრალურ ხელოვნებას განიხილავს როგორც ხელოვნების სხვადასხვა სახეების მექანიკურ ნაერთს, ის ვერ ხედავს ამ ნაერთის თვისობრივად ახალ ნაყოფს. ი. ჭავჭავაძის მართებული შეხედულებით, ხელოვნების სხვადასხვა დარგის ბუნებრივი, ორგანული შეკავშირება ახალ, მაღალ ესთეტიკურ სახეს გვაძლევს და, ამდენად, ადამიანზე უფრო ძლიერად და ღრმად მოქმედებს.

მხატვრული პრიტიპის პრინციპები

ი. ჭავჭავაძემ კრიტიკა ცხავს შეადარა და ამით მიუთითა საზოგადოდ კრიტიკის ძირითად პრინციპზე, კერძოდ კი მხატვრული კრიტიკის ამოსავალიც განსაზღვრა. მან თქვა:

თვისო¹. ისე როგორც მომკელი ხვავს ცხავში გაატარებს, რათა ხორბალი ბალახ-ბულახისაგან გაწმინდოს, ასევე მხა-ტვრული შემოქმედების კრიტიკოსმა ხელოვნების ნაწარმოე-ბი, გონების ეს „ნაჭირნახულევი ხვავი“, თავის ინტელექ-ტუალურ ბრძმელში უნდა გაატაროს, ხელოვანს სწორ გზაზე და ჭეშმარიტ პერსპექტივებზე მიუთითოს, რათა მან თავისი ქმნილება შეუსაბამო შინაარსისა და ცრუესთეტიკური და-ნართებისაგან გაწმინდოს.

მხატვრულმა კრიტიკამ ეს ამოცანა რომ შეასრულოს, მას განსაზღვრული კრიტერიუმი და პრინციპები უნდა ჰქონდეს. საიდან აიღებს მხატვრული კრიტიკა ამ პრინცი-პებს? — ესთეტიკიდან.

ესთეტიკა არის ხელოვნების თეორია, მეცნიერება ხე-ლოვნების შესახებ. მისი საგანია ხელოვნების აღგილისა და როლის გარკვევა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ხელოვნების წარმომშობ მიზეზთა და საზრუნავი მიზნის განსაზღვრა, მისი სპეციფიკისა და ძირითადი კანონზომიერების მონაცეა. მეც-ნიერული ესთეტიკა ამ საქმეს კლასიკური, სანიმუშო, მა-ღალმხატვრული ფაქტების შესწავლის საფუძველზე ასრუ-ლებს.

მხატვრული კრიტიკა არის ესთეტიკის პრინციპებისა-და კანონზომიერების მიყენება ხელოვნების ნაწარმოები-სადმი. ესთეტიკის მიერ აღმოჩენილი კანონზომიერება და პრინციპები ხელოვნების ნაწარმოების შეფასების ღროს. კრიტერიუმის როლს ასრულებენ. ესთეტიკა აღმოაჩენს იმ-საზომს, რომლითაც ესა თუ ის მხატვრული ნაწარმოები უნ-და შეფასდეს.

მხატვრული კრიტიკა რთული და მძიმე საქმეა. ის მოი-თხოვს არა მარტო ესთეტიკის საფუძვლიან ცოდნას, არა-მედ საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ბუნების ფილოსო-ფიის ცოდნასაც. ესთეტიკა ფილოსოფიური მეცნიერებაა. ხელოვნება აღამიანის შემეცნებითი საქმიანობის ფართო და-დიდი სფეროა. ხელოვნება, ისე როგორც მეცნიერება, თავის-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 4, გვ. 161.

პირათად ამოცანად ქვეყნის შემეცნებისა და გარდაქმნის საქმეს თვლის და, ისე როგორც მეცნიერება ფილოსოფიურ თვალსაზრისა და მეთოდს უკავშირდება. ხელოვნების შესახებ მეცნიერება—ესთეტიკა კი ფილოსოფიური მეცნიერებაა.

მხატვრული კრიტიკის ეს სირთულე ი. ჭავჭავაძეს სავსებით შეგნებული აქვს. ამასთან დაკავშირებით ის ამბობდა: „კრიტიკა რთული და მძიმე საქმეა“¹. მხატვრული კრიტიკა მოითხოვს. არა მარტო დიდ ერუდიციას, არამედ შემოქმედებით ნიჭისაცო.

ი. ჭავჭავაძე ჩვენში კრიტიკის უძლურების მთავარ მიზეზად იმ სულიერი ძალ-ღონის უქონლობას ასახელებს, „რომელიც თითონ ჰქმნის, თითონ სჭის, თითონ სწლავს, თითონ სჭრის და თითონ ჰკერავს“. ილიას აზრით, ჭეშმარიტი კრიტიკის ღრმა „ყველაფერი საკუთარი ჰქუით უნდა ჰზიდოთ და ყველაფერს საკუთარის გონების შუქი მიაყენოთ“². ასეთი ძალ-ღონე უფრო მეტად მაშინაა საჭირო, როდესაც საქმე გვაქვს ჯერ ხელუხლებელ ახალ მხატვრულ შემოქმედებასთან. „თვითმსჯელობა, თვითმხედველობა, გონებრივი, უმაღლესი წერტილია ადამიანის განვითარებისა და წარმატებისა, — ამბობდა ილია, — და ეს აკლია ჩვენ კრიტიკას“. „ჩვენი ეგრეთწოდებული ონტელიგენცია“ მეტად სუსტია ამ თვითმოქმედებისათვის. ჩვენი „სწავლულნი, განათლებულნი“, დარგინის თეორიას ზედმიწევნით გაცოდინებენ, ჰეგელის ესთეტიკას, ლესინგისა და ტენის ფილოსოფიას ხელოვნებისას თავისის ხელის-გულსავით გადაგიშლიან; შექსპირზედ, გიოტეზედ, ბაირონზედ. და თუნდა ჰომიროსზედაც... და ერთს პაწალექსს კი ჩვენის რომელისამე პოეტისას ვერ გაუძლვებიან“³. მსოფლიო კლასიკოსებზე ლაპარაკი და მსჯელობა აღვილია, რადგან ისინი შესწავლილია, მათ შესახებ ყველაფერი უკვე ნათქვამია, საქმე ეხება მხოლოდ ნათქვამის განმეორებას. ჩვენი მწერლობის გაძლო-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხ. ტ. 4, გვ. 164.

² იქვე, გვ. 165.

³ იქვე, გვ. 164, 166.

ლა კი აზროვნების შემოქმედებით უნარს მოითხოვს, რად-
გან ის შესწავლილი არ არის, ის ხელუხლებელიაო.

როგორია კონკრეტულად მხატვრული კრიტიკის პრინ-
ციპები ი. ჭავჭავაძის შეხედულებით? მისი აზრით, მხატვ-
რული კრიტიკის ძირითადი პრინციპი უნდა იყოს არსებუ-
ლი საზოგადოებრივი ცხოვრების კანონზომიერების ცოდნა-
და. მისგან გამომდინარე მომავლის მაღალი პერსპექტივები..
ილიას აზრით, ხშირად ეს იმდენად დიდი ამოცანაა, რომ მისი
გადაწყვეტა მხოლოდ გენიოსს შეუძლია. საზოგადოებრივი-
ცხოვრების სირთულის გამო მეცნიერებისა და ხელოვნების
შემოქმედნი ხშირად უძლურნი არიან თავი გაართვან ისტო-
რიის მსვლელობის გაგებას და ამ დროს გენიოსი უნდა-
გამოჩნდეს, რომ ჭეშმარიტად დაგვანაზვოს და განსაჯოს ის,
თუ რა არის და რა უნდა იყოს. დიდი გენიოსია საჭირო,
ამბობს ილია, — „რომ მსჯელობით დროებაზედ მაღლა“
დადგეს. საზოგადოებრივი ცხოვრების წარმატებისა. და წინ-
სვლის სწორი გზის ცოდნა მხატვრული კრიტიკის საფუძ-
ველია.

კრიტიკოსმა უნდა იცოდეს არსებული საზოგადოებრივი-
ცხოვრების ავი და კარგი, მთელი სიღრმით გათვალისწინე-
ბული პქონდეს, თუ როგორ მიმდინარეობს ცხოვრება ფაქ-
ტიურად და როგორ უნდა მიმდინარეობდეს ის, რათა საზო-
გადოება წარმატებას, სიკეთესა და ბედნიერებას ეზიაროს.

ი. ჭავჭავაძის თვალსაზრისი საზოგადოებრივ ცხოვრება-
ზე არ არის მჭვრეტელური, მისი თვალსაზრისი კრიტიკუ-
ლია. ასევე უყურებს ის ხელოვნების დანიშნულებასაც. ხე-
ლოვნებამ სინამდვილე უნდა გვიჩვენოს არა მარტო ისე,
როგორც ის არის, არამედ ისედაც, როგორიც ის უნდა-
იყოს. ხელოვნება, მისი აზრით, საზოგადოებრივი ცხოვრე-
ბის გაუმჯობესების საშუალებაა და არა თვითმიზანი, არა-
ნირვანული ჭვრეტა. ეს ი. ჭავჭავაძის მთავარი პრინციპია.
ხელოვნების გაგებასა და შეფასებაში და, ამდენად, იგი მას-
კრიტიკოსისათვის სავალდებულო პრინციპად მიაჩნია. კრი-
ტიკოსმა უნდა იცოდეს, როგორ მიმდინარეობს საზოგადოებ-

ჭივი ცხოვრება და როგორ უნდა მიმდინარეობდეს ის, რომ ამას შეუფარდოს ხელოვანის ქმნილება და გამოარყვიოს, თუ რაოდენ მხატვრულად ასახავს იგი. აწმყო ცხოვრებას, როგორ ბიძგს აძლევს მას გასაუმჯობესებლად. პრინციპი „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ მხატვრულმა კრიტიკამ უნდა უკუაგდოს; საზოგადოებრივი ცხოვრების მუდმივი წარმატებისა და ამაღლების მიზანი კრიტიკოსს თვალწინ უნდა ედგეს, რათა ღირსეული, ჭეშმარიტი მსაჭული იყოს მხატვაული შემოქმედების საქმეში.

ასეთი თვალსაზრისით უდგებოდა ი. ჭავჭავაძე ქართული ხელოვნების შეფასებას საზოგადოდ, მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ჩვენი ლიტერატურისას, კერძოდ.

ი. ჭავჭავაძე თავის კრიტიკულ წერილებში მწერლის მაღლალ ღირსებად საზოგადოებრივი ცხოვრების სარბიელზე გამოსვლას და აქ თავისი ნიჭის ძალის გამოვლინებას თვლის. მწერალი, პოეტი, მისი აზრით, იმდენად მაღლალი და დიდია, რამდენადაც ის საზოგადოებრივ საჭიროებას ეხმაურება და საზოგადოებრივი საქმის წარმატებისათვის იღწვის. ფართო საზოგადოებრივი ცხოვრების საჭირობოროტო საკითხები და საკაცობრიო მოტივები მწერლისა და პოეტის დიღბუნებოვნებასა და მაღლალ ღირსებას ამჟღავნებს. ვიწრო წრით შემოფარგვლა, კერძო და ინდივიდუალური განწყობილების ფარგლებში მოწყვდევა, პირიქით, დაბალი ღირსების მაჩვენებელია. ამ პრინციპით ხელმძღვანელობს ი. ჭავჭავაძე მე-19 საუკუნის მწერლების ქმნილებათა კრიტიკული განხილვის დროს, ამ პრინციპით განიხილავს ის მე-19 საუკუნის ქართული მწერლობის განვითარებას.

რამდენადაც მატულობს საზოგადოებრივი ცხოვრების საჭირობოროტო საკითხები და საკაცობრიო მოტივები მე-19 საუკუნის ჩვენს მწერლობაში, იმდენად ილია ამას მიიჩნევს ქართული მწერლობის ფართო საკაცობრიო შარაგზაზე გამოსვლის ნიშნებად და უფრო მაღლალი, განახლებული ცხოვრების მოახლოებად. და პირიქით, რაც უფრო უკან მივდივართ და საზოგადოებრივი ცხოვრების ფართო საკითხები და

საკაცობრიო მოტივები ქლებულობს, მით უფრო ეს მას მწერლობის ვიწრო რეალში, შინაურულ წრეში ჩაკეტგად და მისი ღირსების დადაბლებად მიაჩნია. „მწერლობა ჩვენი, — ამბობს ილია, — ოცდაათიან წლებში ხელახლად ფეხადგმული, პირველ ხანს უფრო შინაური საქმე იყო, ვიდრე საყოველთაო, უფრო შესაქცევარი, ვიდრე გარჯით შევლევარი... შინაურობის მოკლე წრეში ტრიალებდა... არც სათქმელი ჰქონდა საყოველთაო“¹. ამ ხანის მწერლობა ლიტერატურისა მხოლოდ ერთ, თუმცა დიდგავლენიანს შტოს ემსახურებოდა, სახელდობრ, „ლირიკას“². ამ ხნის მწერლობას „საზოგადო ცხოვრება ხელიდან გამოცლილი“ ჰქონდა.

მაგრამ მაშინაც მწერლობამ გვერდი ვერ აუარა საზოგადოებრივი ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებს და „თავის საკუთარ გულში“ ჩაკეტილ ისეთ ცნობილ ლირიკოსს; როგორც ა. ჭავჭავაძე იყო, „...საყოველთაო უნუგეშ-ყოფამ მაშინდელის დროისამ წარმოათქმევინა ერთგან თავისი სამძიმარი, საცა ისმის... მოქალაქური გულის-ტკივილი“³. მამულიშვილური გულისტკივილი შემდეგ თანდისთან იზრდება და 60-იან წლებში დიდი სიძლიერით იჩენს თავს⁴.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ლირიკის მაღალ ღირსებას, შეის პოეზიის მსოფლიო მნიშვნელობას, მის დიად, ჩვენი ერის „განმადიდებელ“ კაცობას, მის უკვდავებას ი. ჭავჭავაძე ბარათაშვილის შემოქმედების საკაცობრიო მოტივებში ხელავს. „ზოგად-კაცობრიული ჩივილი“, „ზოგად-კაცობრიული კვნესა“ ამაღლებს და ადიდებს მის შემოქმედებას: „ნ. ბარათაშვილი, — ამბობს ილია, — ერთადერთი პოეტია, რომელიც სხვაზედ უფრო მეტად, სხვაზედ უფრო მკაფიოდ თვალნათლად ატრიალებს ჩვენს აზრს და ცნობის წყურვილს იმ თვალუწვდენელს სფეროში, საცა ზოგადკაცობრიობის დაუსრულებელი საჭირბოროტო კითხვა-პასუხია რწმენის და

¹ ი. ჭავჭავაძე, თხ. ტ. 4, გვ. 227.

² იქვე.

³ იქვე, გვ. 228.

⁴ იქვე, გვ. 229.

არ-ჩწმენისა, მყოფობისა და არ-მყოფობისა, საცა ღალადებაა ყოველგვარ სულისკვეთებისა და ვნებათა ღელვისა”¹.

რაფიელ ერისთავის დამსახურებად ქართული მწერლობის აღმავლობაში ო. ჭავჭავაძეს ის მიაჩნია, რომ მან მწერლობის საკითხების ვიწრო რკალი გააფართოვა და მას ფართო სოციალური, სახალხო ხასიათი მისცა. „ჯერ, — ამბობს ო. ჭავჭავაძე, — ბატონიშვილის (გადავარდნის) ჩუჩუნიც არსად იყო, რომ კაცთმოყვარე გულმა პოეტისამ იგრძნოუსამართლობა მისი და ყმა-დედა აჩვენა მსაჯულთან: „სხვა რაღბატონობს ჩემსა ნაშობსაო, შვილი ჩემია და ბატონმა წინართვა, მიბრძანე: ვისი უპყრია ძალიო“, ეს პირველი ხმა იყო ჩვენში სამწედ უსამართლოდ ჩაგრულთათვის”². 60-იან წლებს ო. ჭავჭავაძე ქართული მწერლობის დაწყების პერიოდად იმიტომ თვლის, რომ ამ დროს „ყველაზე უწინარეს გამობრწყინდა დავიწყებული სიტყვა „მამული“ და „მამულის სიყვარული“, რომ „ამ ზღვაებრ ფართო საკითხს შემოეგარა გარს ჩვენი მწერლობა“. „პროზით თუ ლექსით, ყველა ჰმოლიდადებდა ადამიანობის დარღვეულ უფლების სახელითა და თვით მოსაქმე ცხოვრების განკარგების წყურვილითა: ამ ე. წ. „რეალურმა მიმართულებამ“ ჩვენის აზრიანობისამ ჩვენი გონიერი დააკვირვა ჩვენს მიწიერ ავ-კარგიანობას”³.

60-იანი წლების შემდგომ დამახასიათებელ ნიშანს, რომელიც აღრინდელი მწერლობის ვიწრო რკალის გარღვევასა და საზოგადოებრივი ასპარეზის ფართო შარაგზაზე გამოსვლას ნიშნავდა, მწერლობის საგნად. დაბალი ფართო მასების გულისთქმის გადაქცევა წარმოადგენს. „სამოციან წლებამდე, — ამბობს ო. ჭავჭავაძე, — ალ. ჭავჭავაძედან დაწყებული — ჩვენი პოეზია თითო-ოროლა მაგალითებს გარდა, ისიც 50-იან წლების ბოლო ხანებში, დაპფუფუნებდა ჩვენის დიდყაცობის გულთა-თქმას, თითქო უკადრისობს ამათ გარე რაიმე საგანი უპოვოს პოეზიას. სამოციან წლებმა ამ ვიწროდ

¹ ო. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 4, გვ. 241, 242.

² იქვე, გვ. 247.

³ იქვე, გვ. 250, 251.

შემოღობილს სარბიელს ჩვენის პოეზიისას თავისი ტალღა გაჰკრეს და შემოამტვრიეს ღობეები. ამ ხანაში მოღვაწეებმა მიაგნეს, რომ მდაბიოთა ცხოვრებაშიც არის აღაშიახური გულთა-თქმა, რომ ამ მდაბიოთა გული იგივ ზღვაა, საცა თუ არ მეტ-ნაკლები მარგალიტები არ არის გლოვისა და სინარულისა, ჭირისა და ლხინისა, ძულებისა და სიყვარულისა”¹.

ზოგადკაცობრიული და მსოფლიო მოტივების განსახიერებაში ჟედავდა ო. ჭავჭავაძე შ. რუსთაველის გენიალობას და მისი პოეზიის უმაღლეს ღირსებას. ილიას შეხედულებით, პოეტის გენიალობა ის არის, რომ მან შესძლოს ზოგადკაცობრიული ბუნების დახატვა. „მსოფლიო გენიოსნი მწერალნი, — ამბობს ილია, — იმიტომ არიან მსოფლიონი, რომ მათ ნახატში, რომელის ერისაც გინდათ, იმ ერის კაცს იცნობთ, იმიტომ, რომ იგინი ადამიანის საზოგადო ტიპსა ჰქმნიან“.

„რამოდენადაც მწერლის შემოქმედების ძალი სწვდება ამ ზოგადკაცობის ტიპსა, იმოდენად მწერალი დიდია, იმოდენად მსოფლიოა“². „შექსპირს... განა იმითი არ აღიდებენ ყველანი და მსოფლიო გენიოსად არა სთვლიან, რომ კაცად კაცნი გამოყვანდა თავის სახელოვანს ღრამებში და არა შოტლანდიელი, ვალისელი და ინგლისელი... ვიწრო მოედანი მარტო პატარა ფალავანის სარბიელია და არა იმისთანა გოლიათისა, როგორიც შექსპირია და თუნდაც რუსშაველიც“³. მხატვრულ კრიტიკას ძირითად პრინციპად უნდა ედვას ხალხის, მასის, საზოგადოების და არა ერთო მუჭა დიდკაცების კეთილდღეობა და წარმატება, საკაცობრიო ცხოვრების განვითარება და გაუმჯობესება. ხელოვნება უნდა იყოს რეალისტური, ის შინაარსისა და ფორმის, ეთიკურისა და ესთეტიკურის ორგანულ ერთიანობას უნდა წარმოადგენდეს. მხატვრული კრიტიკა ამას უნდა ითვალისწინებდეს. ასეთია ო. ჭავჭავაძის თვალსაზრისი მხატვრული კრიკის პრინციპების შესახებ.

¹ ო. ჭავჭავაძე, თხ., ტ. 4, გვ. 254.

² იქვე, გვ. 186.

³ იქვე, გვ. 194.

საქართველოს საზოგადოებრივი ცხრილების
მხატვრული განსახიერება ი. ჭავჭავაძის
შეარქიზება მი

როგორც ცნობილია, ი. ჭავჭავაძე არა მარტო თავისი
მეცნიერულ-თეორიული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური
მოღვაწეობით უწყობდა ხელს საქართველოს საზოგადოებ-
რივი ცხოვრების შემეცნებისა და გარდაქმნის საქმეს, არა-
მედ თავისი მხატვრული შემოქმედებითაც.

ი. ჭავჭავაძე საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრე-
ბის შემეცნებისა და შეცვლის საქმეს მაღალი მხატვრული
სახეებით ემსახურებოდა. სამართლიანად ამბობს ი. ბ. სტალინი:

„განა რომელიმე ქართველმა მწერალმა მოგვცა ისეთი
ფურცლები მემამულეთა და გლეხთა ფეოდალური ურთიერ-
თობის შესახებ, როგორიც მოგვცა ჭავჭავაძემ? მე-19 საუ-
კუნის მიწურულისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართ-
ველ მწერალთა შორის ილია ჭავჭავაძე უთუოდ. დიდი ფი-
გურა იყო“¹.

ი. ჭავჭავაძის მხატვრული შემოქმედება უაღრესად
იდეურია. მისი მხატვრული შემოქმედება საქართველოს სა-
ზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნა-გაუმჯობესებისაღმი
მისწრაფებით არის გაშინაარსიანებული, მას საქართველოს
საზოგადოებრივი ცხოვრების გაუმჯობესების პრინციპები
უდევს საფუძვლად. ი. ჭავჭავაძემ თავისი სოციალურ-პოლი-
ტიკური, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი იდეები
და შეხედულებანი მაღალმხატვრულ სახეებში გამაღა, რა-
თა ამ განსაკუთრებული ღონისძიებითაც ხელი შეეწყო ქართ-
ველი ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრების გაუმჯობესები-
სათვის.

ბრძოლა პატრიარქალურ-ბატონიური წყობილების წი-
ნაღმდეგ, დახავსებული კავის მეურნეობის დამსხვრევა,
ფეოდალური ჩაგვრისა და ექსპლოატაციისაგან ქართველი
ხალხის განთავისუფლება, მისი ეკონომიკური. და საზოგადოებ-

1 იხ. ურნ. „მნათობი“, 1939 წ. № 12. გვ. 149.

რივ-პოლიტიკური წარმატება, ამ მიზნით ფეოდალური იდეოლოგიის უკუგდება — აი ის ძირითადი იდეები, რომლებიც ი. ჭავჭავაძემ თავის მაღალმხატვრულ ქმნილებებში განასახიერა.

ი. ჭავჭავაძის მხატვრული შემოქმედება, ერთი მხრივ, კიცხავს საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ბნელდა და დუხშირ მხარეებს, ხოლო, მეორე მხრივ, ამ ცხოვრებას გარდაქმნისა და ამაღლებისაკენ მიუთითებს.

თავისი მხატვრული შემოქმედების გეგმა და მიზანდა-სახულება ი. ჭავჭავაძემ მოკლედ გადმოგვცა ლექსში „პოეტი“. პოეზია კერძოდ, ხელოვნება საზოგადოდ, ილიას აზრით, არ არის ფრინველის გალობისებური უმიზნო მოვლენა, მარტო სმენის დამატებობელი. პოეზია მაღალი მოვლენაა აღამიანში, მაგრამ ამის გამო აღამიანის საჭირბოროტო საკითხებს, ცხოვრების გაუმჯობესების პირობებს მოწყვეტილი კი არ არის. ხელოვნების დანიშნულება ხალხის, ერის წინამძღოლობაში, საზოგადოებრივი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაში უნდა მდგომარეობდეს. პოეტური აღმაფრენა, ესთეტიკური აღტყინება პოეტის სულში იმიტომ ისახება და მათი ცეცხლი მის გულში იმისთვის ღვივის, რომ ის ერს წინ წარუძღვეს, ჰმუნვასა და სიხარულში ერის მოძმე იყოს. ხელოვანს, პოეტს აღტყინების, აღმაფრენისა და ესთეტიკური გატაცებისას ხალხი, ერი და მათი გაჭირვება კი არ უნდა ავიწყდებოდეს, არამედ მათი წყლული მისი წყლული უნდა იყოს, მათი ტანჯვით მასაც გული ეწოდეს, მათი ბედი და უბედობა მისი ბედნიერება და უბედურება უნდა იყოს; ხელოვანში პიროვნული სოციალურს უნდა ემსახურებოდეს, სოციალური პიროვნულზე მაღლა უნდა იდგეს, ინდივიდუალური სოციალურით გამსჭვალული უნდა იყოს და სოციალურის ამაღლების საფეხურს წარმოადგენდეს.

ხელოვნება ხალხის ინტერესებისათვის, ხელოვნება საზოგადოებისათვის და არა ხელოვნებისათვის — ასეთია ამ ლექსის იდეური შინაარსი. ეს შინაარსი უდევს საფუძვლად

ილიას მხატვრულ შემოქმედებას, მთელი თავისი მხატვრული პრაქტიკით იგი ამ იდეის განხორციელებას ემსახურება. ი. ჭავჭავაძის მხატვრული შემოქმედება მისი მსოფლმხედველობის, მისი ისტორიის ფილოსოფიის მხატვრული განსახიერებაა.

საილუსტრაციოდ რამდენიმე თხზულება განვიხილოთ.

ი. ჭავჭავაძის მსოფლმხედველობა, მისი ისტორიის ფილოსოფია, მისი გეგმა საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების გაუმჯობესებისა, მთელი მისი ნაფიქრისა და ნამოღვაწარის არსება შეიძლება შემდეგი დებულებებით გამოვთქვათ: ი. ჭავჭავაძე იბრძოდა პატრიარქალურ-ბატონყმური წყობილების დამცველი ძველი თავადაზნაურობის იდეოლოგიის, იდეალიზმისა და რელიგიის, ამ წყობილების დამცველი სოციოლოგიის წინააღმდეგ; ის იბრძოდა ქართველი ხალხის ეროვნული აღორძინებისა და თავისუფლებისათვის; მოითხოვდა ბატონყმობის დამსხვრევას; ქადაგებდა წოდებათა შერიგებას და მათი მშვიდობიანი თანამშრომლობის ნიადაგზე ეროვნული აღორძინების იდეებს; აყენებდა რა წოდებათა შერიგების ლოზუნგს, ის ლიბერალურ თავადაზნაურებს მოუწოდებდა სათავეში ჩადგომოდნენ საქართველოს კაპიტალისტურ განვითარებას. ამ გზით უნდოდა მას გაეუმჯობესებინა ქართველი გლეხებისა და მუშების მძიმე, ფუტანელი მდგომარეობა.

თავისი მსოფლმხედველობის ყველა ეს ძირითადი იდეა

ი. ჭავჭავაძეს განსახიერებული აქვს თავის მაღალმხატვრულ შემოქმედებაში.

პატრიარქალურ-ბატონყმური წყობილების დამცველი ფეოდალებისა და მათი იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლის განმასახიერებელი მაღალმხატვრული ქმნილებებია „განდეგილი“ და „პასუხის პასუხი“.

„განდეგილი“, როგორც ეს შრომის პირველ ნაწილში იყო ჩათელყოფილი, ასკეტიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მაღალმხატვრული განსახიერებაა, იგი შიმართულია დახავსებული ფეოდალური იდეოლოგიის, იდეალიზმისა და

ჭრისტიანული რელიგიის წინააღმდეგ. მიღმური ქვეყნის უარყოფა და ბუნების პირველადობის აღიარება, ლვთაებრივი სიკეთის მოჩვენებად მიჩნევა და მხოლოდ ამქვეყნიური ნეტარების დაცვა, ამქვეყნიური ბელნიერებით დატკბობა, საზოგადოებრივი ცხოვრების უმაღლეს ნეტარებად გამოცხადება — აი ის ძირითადი იდეები, რომლებიც ამ მაღალ-მხატვრულ პოემაშია განსახიერებული.

მოთხოვობები „კაცია ადამიანი!“ და „ოთარანთ ქვრივი“ ფეოდალური საქართველოს ბნელი და დუხშირი მხარეების საუკეთესო მხატვრული განსახიერებაა, ისინი მემაშულეთა და გლეხთა ფეოდალურ ურთიერთობას საუცხოო მხატვრული სახეებით გვისურათებენ.

პოეტის ღრმა გულისტკივილის მიზეზი მარტო ის კი არ არის, რომ საქართველო თვითმპყრობელური პოლიტიკის უღელქვეშ გმინავს, არამედ ისიც, რომ აქ უსაქმო, მცონარე, გადაგვარებული თავადები არსებობენ, რომლებიც გლეხებს, მშრომელებს საზოგადოდ, ქვეყნის ამ ბურჯებს ადამიანებად არ თვლიან.

პოემა „აჩრდილში“ პოეტი ასე მიმართავს საქართველოს:

„ორი რამ იყო, რისთვისაც ქე შენი იღწვოდა —
ბედმა უწყალომ სხვა საქმისათვის არ მოაცალა, —
მამულისა და რჯულისათვის იგი იბრძოდა,
ორივ დაიცვა, მაგრამ ყველა მათ ანაცვალა“.

ი. ჭავჭავაძე ღრმა სევდითა და მწუხარებით შეჰქურებს ჭლასებად და წოდებებად დაყოფილ საქართველოს. მას გული სტკივა, რომ ბატონი ყმას ანადგურებს; მონათმფლობელი მონას სპობს. პოეტი უფლისა და მონის ურთიერთობას ასე ასახავს: მონა თრთოლით ბატონს სასწორზე ხარჯს უწონის,

„და, რა დასწორდა სასწორზედ წონა,
უფალი პინას ზედ აღგაშს ფეხსა
და მით მის ხარჯსა ერთსა — ორად ჰედის...
მონამ მწუხარედ გულს გაიღიმა,
უმწეობითა თავის ხარჯსა ჰერდის
და საწყლის თვალთვან ცოემლმა იწვიმა,
მაგრამ ქვა არის ბატონის გული,
ვერ დაარბილებს მას შებრალება...“ („აჩრდილი“).

ფეოდალი და მონათმფლობელი ყმებსა და შონებს არა
მარტო თავისი ეკონომიური მოთხოვნილების დაკმაყოფილების
საშუალებად იყენებენ, არამედ თავისი უსაზღვრო სექსუა-
ლური ვნებისა და თავაწყვეტილი უინის დაკმაყოფილების
საგნადაც აქცევენ.

მსოფლიო პოეზიაში იშვიათად შეხვდებით სულის შემაძ-
რწუნებელ, უძლეველი ზიზღის აღმძვრელ ისეთ მხატვრულ
სურათებს, როგორიც ი. ჭავჭავაძის პოემა „აჩრდილშია“ მო-
ცემული. აქ მაღალი პოეტური შთაგონებითა და დიდი მხატ-
ვრული ალოთი ასახულია ბატონის მიერ ნამუსახდილი ქალ-
წული, მისი უბედური დედა და ამით პოეტი გამოწვეული
ლრმა გულისტკივილი. პოეტი მონა დედის ვაებას და უბე-
დურებას ასე აგვიწერს:

„შენში კაცისას გრძნობას არ ხედვენ,
დედას ძუძუდგან შეილსა აპგლევენ,
ვინ იცის, სიღამ სად გაჰყიდიან...
უწმინდურისა ხელითა სთხრიან
დედისა გულში ცკეთესს გრძნობას,
ცოდვად უთვლიან შეილისა ტრთობას.
თუ ღმერთმა მისცა შენსა ასულსა
სილამაზე და მშვენიერება, —
მონავ ჩაგრულო, ვითამ შენ გულსა
სასიხარულოდ იგი ექნება?!

ქალს წაგრძმევენ, ქალს გაჰყიდიან,
ნამუსს მოუკვლენ შეუბრალებლად,
და წრფელსა გულში ღვარძლს ჩასხმიან
გახდიან ყვავილს ფეხ-ქვეშ სათრევლად.
უმანკო პირზე შენს ტურფას ქალსა
გარევნა დასვამს საზარო დაღსა...
მას, რაც გიყვარდა, ნახავ დაცემულს,
ნამუსწარმმეულს და შეგინებულს!..
პირს უკუ-იქცევა და შეძრწუნდები,
კრიუმლს მოინდომებ და არ გექნება,
წყევლით. ვაებით მას განმორდები
და ქალი შენი შენ შეგზარდება, —
და მაშინ იტყვი: ნეტავი გველად,
გველის წიწილად მე მომცემოდი,
რომ ქვეყნის ქელვად, ქვეყნის სათრევლად
შენ, შვილო ჩემო, არ გამხდომოდი“ („აჩრდილ კ“).

ი. ჭავჭავაძის პოეტური აღშეფოთება მიმართულია არა მარტო ბატონის ელურობის წინააღმდეგ, არამედ ვაჭრისა და ღვთის მსახურთა უგულობისა და ცბიერების წინააღმდეგაც. როგორც კაპიტალისტი, ისე ეკლესიის მსახურნი პირადი კეთილდღეობით არიან გატაცებული და ქვეყნის ჭირვარამი გულთან ახლო არ მიაქვთ. არც ვაჭრებს და არც ღვთის მსახურებს გული არ შესტკივათ საქართველოზე, ქართველ მშრომელ ხალხზე. ამასთან დაკავშირებით პოეტი ამბობს:

„აგერ ვაჭარიც ცბიერის ღიმით
მოძმეთ ატყუებს, რა ჰყიდის ნივთსა,
და ძმა მის მოკვდეს თუნდა შიმშილით,
უნაღვლოთ განვლის ცხოვრების გზასა.
აგერა მღვდელნიც — ერთა მამანი —
რომელთ ქრისტესგან ვალად სდებიათ
ამა ერისა სულის აღზრდანი,
რა-რიგ გულ-ხელი დაუკრებიათ!
სად არის სიტყვა დიდის სწავლისა,
სიყვარულის და სამართალისა,
რომ მათ ბაგეთგან არ მომდინარებს
და ერს დაცემულს არ აღამაღლებს?
სად არის იგი მღაღადებელი
ქვეყნის ხსნისათვის ჭეშმარიტება?
სად არის იგი ბიწის მდევნელი
გვარცმულის ღმერთის მაღალი მცნება?“ („აჩრდილი“).

ი. ჭავჭავაძე საქართველოს მთავარ და ძირითად უბედურებად თვლიდა შინაგან სოციალ-კლასობრივ ბრძოლასა და ცარიზმის ბატონობას. აქედან ცხადია, თუ როგორ უნდა წარმოსახოდა მას საქართველოს ბედნიერი მომავალი: შინაგან სოციალ-კლასობრივი ბრძოლისა და ცარიზმის ბატონობისაგან განთავისუფლება. ილია ნატრობს იმ დროს, როდესაც საქართველო თავისუფალი იქნება ცარიზმის ბატონობისაგან და შინაგანი სოციალური უთანხმოებისაგან:

„როდისლა ვნახავ მშენიერსა ამ ქვეყანასა
თვისთა დიდების ნაშთსა ზედა კვლავცა აღმდგარსა,
დროსთან დათქმულსა სხვა-და-სხვათა კავშირთა ბრძოლას,
ერთის ცხოვრების, ერთის სულის ძლიერსა ქროლას?“

რომ ესე ტოტნი ერთ ცხოვრების, ერთ-არსებისა, ესლა გაყრილნი, ერთ მდინარედ შეერთდებიან? როს იგი ტომნი ცად მიღწეულ მძლავრ კავკასისა ერთისა აზრით, ერთის ფიქრით განდილდებიან? თავისუფლების შვერნიერის სხივთ მხურვალება. როდის დააღნობს დაუანგებულს დიდ ხნის ბორკილსა, და ქართველობა სიქადულად როდის ექნება ქვეყნის წინაშე ყოვალ ქართვლის ერთგულსა შვილსა?“

ა. ჭავჭავაძე შინაგანი სოციალური ბრძოლის (კლასობრივი ბრძოლის) ძირითად მიზეზად შრომის ტყვეობას თვლის. იმის გამო, რომ გაბატონებული წოდება უფლებამოსილია შრომა ტყვეობაში იყოლიოს, ქვეყნად არ არის სიყვარული, სათნოება, ნიჭისა და ნაყოფიერი შრომის ღირსეული დაფასება. იგივეა საქართველოს ეკონომიკური დაცემის, პოლიტიკური სიბეჩავის, ურთიერთშორის უნდობლობისა და გაუტანლობის მიზეზი.

ილიას მისი საუკუნის უდიდეს ამოცანად შრომის განთავისუფლება მიაჩნდა. შრომა საზოგადოებაში ყოველგვარი სიკეთის წყაროა, და თუ მშრომელი თავისუფალი არ იქნება, შრომა თავის ყოვლისშემძლე ფრთებს ვერ გაშლის საზოგადოებრივი ცხოვრების საკეთილდღეოდო. ამიტომ შრომის განთავისუფლება საუკუნის უძირითადესი ამოცანაა. ამასთან დაკავშირებით ილია ამბობს:

„შრომისა ახსნა — ეგ არის ტვირთი
ძლევა მოსილის ამ საუკუნის,
კაცთა ღელვისა დიადი ზვირთი
მაგ ახსნისათვის მეღგრადა იბრძვის“.

ილია დიდი იმედით შეჰყურებს ამ ბრძოლას. ის დარწმუნებულია, რომ შრომა განთავისუფლდება და საზოგადოებრივი ცხოვრება კეთილი გზით წარიმართება:

„ვეღარ გაუძლებს ქვეყანა ძველი
განახლებისა გრიგალის ქროლას,
ვეღარ განუძლებს ქვეყნის მძარცველი
ჟეშმარიტებით აღძრულსა ბრძოლას,—
და დაიმსხვრევა იგი ბორკილი
შემფერხებელი კაცთა ცხოვრების,

და ახალს ხერგზელ ახლად შობილი
ყველასთვის იქმნეს იგი სუფევა
ესე ქვეყანა კვლავ აყვავდების“.
„შრომის სუფევა მოვა მაშინა
ჰეშმარიტების მის ძლიერებით
და განმტკიცდება სოფელსა შინა
კაცომიყვარების სახიერებით.
თანასწორადა ნიჭის მფენელი;
მის მაღლით წარწყმდეს ძარცვა და რბევა
და ერთგან სძრვდეს ცხვარი და მგელა.
მაშინ უქმ სიტყვად არ იქნებიან
ძმობა, ერთობა, თავისუფლება,
ეპლის გვირგვინით აღარ ივლიან
კაცომიყვარება და სათნოება.
აღლო აიღო ქვეყანამ ძველმა,
რომ დღე-და-დღე მის წყობა ირღვევა,
და ამ ზვიადმა საუკუნემა
უნდა შეას იგი შრომის სუფევა“.

(„აჩრდილი“)

შრომის განთავისუფლება, რა თქმა უნდა, ი. ჭავჭავაძეს
არ ესმის მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებლების მსგავ-
საღ. შრომის თავისუფლება მას ბატონიშვილის მოსპობის,
შრომის მხოლოდ იურიდიული თავისუფლების აზრით ესმის.
ყრმა, ილიას თანახმად, უნდა განთავისუფლდეს ბატონისა-
გან და მას თავისი სამუშაო ძალის გაყიდვის საშუალება
მიეცეს. რაც შეეხება შრომის ეკონომიკურ თავისუფლებას,
რომელიც გულისხმობს კერძო საკუთრების მოსპობას, არა-
შრომელი ექსპროპრიაციას, საზოგადოებრივი, სოციალის-
ტური საკუთრების დამკვიდრებას, — ეს ილიას შორეულ
იდეალად მიაჩნდა, მისი ეპოქისათვის შეუძლებელ და განუ-
ხორციელებელ ამოცანად ესახებოდა.

ილიას აზრით, მუშის მდგომარეობა ყმისა და მონის
მდგომარეობაზე არა ნაკლებ მძიმეა. ამის დასადასტურებლად
იგი მუშის ცხოვრების მოელ ისტორიას გადაგვიშლის მხატ-
ვრულ სახეებში. ვინ არის მუშა? ის გუშინდელი ყმა და მო-
ნაა. მუშა ბატონისაგან ქალაქში უკეთესი ბედის საძებნელად
გამოქცეული ყმაა. მაგრამ ამაოდ! მცირ შდგომარეობა ქალა-

ქად ოდნავადაც არ უმჯობესდება. სოფლიდან ქალაქში გად-
მოხვეწილი მშრომელი უგზო-უკვლოდ დაეხეტება: მას აქ
შემბრალედ არც ცოლ-შვილი, არც მეგობრები და არც ნა-
თესავები არა ჰყავს. პოეტი ასე აგვიწერს მუშის მდგომარეო-
ბას ლექსში „მუშა“: პაპანაქება სიცხეში კედელთან, ქუჩის-
პირად წევს მუშა. შრომით იღავგაწყვეტილი თავისითვის ჩუ-
მად, ნაღვლიანად ღიღინებს. მის ღიღინში მისი წამებული
ცხოვრება ისახება. მისი ცხოვრება არის „დღიურ ლუკმისათ-
ვის ტანგვა, შრომა და მწუხარება“. მან ვერ-გაუძლო სოფ-
ლად ბატონის როზგებს და ქალაქს მოაშურა. მაგრამ ქალა-
ქად ის კარგს ვერაფერს ნახულობს. ის აქ მძიმე, აუტანელი
ტვირთის ზიღვით წელში მოხრილა, კურტანს მისი ზურგი
დაუწყლულებია, ქანცგალეულს მუხლები ეკეცება და იმის
მაგიერ, რომ თანაგრძნობა იპოვოს, მას დასცინიან, აღამიანად
არ თვლიან. პოეტი ასე გვიხატავს მუშას:

„აი ტვირთ-ქვეშა მოქაულხარ, საბრალოვ შენა!
ოფლი წურწყურით პატიოსან შუბლით გელვრება,
შეგუბებულის სულის ისმის დაღლილი ქშენა,
მიხვალ, საწყალო, ტომრის ქვეშ მუხლთ გეკეცება!..
ვინ შეგიბრალებს?... აგერ მოქრის ღიდეაცის დროშა,
შენს პირდაპირა იგი მორბის დაუდევნელად,
აგერ წამოგწვდა, დაგეჯახა, — და, როგორც კოქა,
შენ — კერძო ღვთისა — არ დაგინდო ღასამსხვრეველად...
შენ გარდიქეცი ტომარითურთ და გამვლელ ხალხმა
მაგ შენ ყოფაზედ იწყო უგრძნოდ მაღლა ხარხარი...“

ამის შემდეგ პოეტი აღწერს, თუ რა აუტანელ შრომას
ეწევა მუშა, რა უგულოდ ეპყრობა მას დამქირავებელი, რო-
გორ ენანება შისთვის კაპეიკები, მაშინ როდესაც ის მდიდარს
თუმნებსა და ას თუმნებს მისცემს უანგარიშოდ, ათასებსა
და ასიათასებს გაფლანგავს ფუფუნებაში.

პოეტი ღიღი გულისტკივილით მიმართავს შრომით გა-
წამებულ უბედურ მუშას:

„შენს სიცოცხლესა დააღმებ ესრეთ შრომაში,
კაცი კაცურად ვერ იცხოვრებ ვერც ერთსა დღესა...“

მერე ვინ იცის, რომელ ქოხში, რომელ სარდაფში
დაუწყებ ბრძოლას სასიკვდილოდ მოსულსა სენსა.
მარტო ეგდები და ლეიბად გექნება ნამდა
და სახურავად, თუ კი მოგყვა, რუსის ფარაჯა!
მარტო იცოცხლებ და მარტოცა, ძმაო მოკვდები!
გალაბი შენი ვერ დაგასხამს მღულარე ცრემლსა“.

(„მუშა“).

ი. ჭავჭავაძე მხატვრულ შემოქმედებაში, თავის თეო-
რიულ მოსაზრებათა შესაბამისად, ქართველი ხალხის მძიმე
მდგომარეობისგან გამოსახსნელად კლასთა თანამშრომლო-
ბაზე, კლასთა შერიგებასა და ძმურ ერთიანობაზე მიუთიერებს-
მოთხოვები „კაცია აღამიანი?!“ და „ოთარაანთ ქვრივი“,
ფეოდალური საქართველოს მძიმე კლასობრივი ჩაგვრის მა-
ლალმხატვრული სურათების გადაშლასთან ერთად, ამ მძიმე
მდგომარეობიდან გამოსვლის საშუალებებზეც მიუთიერებნ.
მწერალი თავის შემოქმედებაში მაღალმხატვრული ხერხების-
მომარჯვებით ცდილობს დაგვაჯეროს, რომ „მგელი და თხა“,
ბატონი და ყმა შეიძლება ძმები და მეგობრები იყვნენ.
ქართველი ხალხის ბეჭნიერების და სიკეთის საწინდრალ
პოეტი, ერთი მხრივ, ლუარსაბებისა და დარეჯანების გა-
კიცხვა მიაჩნია, მეორე მხრივ კი, გიორგებისა და კუსოების
შეულლება — ყმებისა და ბატონების დანათესავება, მათი
სიყვარული და მეგობრობა. მისი აზრით, კლასებს შორის
ჩატეხილი ხიდის გამთელება ამ გზით იყო შესაძლებელი.

„კაცია აღამიანი?!“ „საზოგადო ჭირზე“ მოგვითხრიბს.
მოთხოვება მიზნად ისახავს ოვადთა უარყოფითი მხარეების
აღწერით მოსპონს ბატონყმობის ბოროტება.

„მოყვარეს პირში უძრავე,
მტერს პირს უკანაო“.

—ამბობს მწერალი, ჩვენი მიზანია „საზოგადო ჭირზედა-
ვწეროთ“, ჩვენი „გულისტკივილი“ გამოვთქვათ „ლუარსაბის
სახეში“, რომ ამით ქართველი ხალხის კეთილდღეობის ვეზ-
სახუროთ.

მოთხოვთ „ოთარაანთ ქვრივში“ პოეტი მიზნად ისახავს, გვაჩვენოს ბატონებსა და ყმა გლეხებს შორის არსებული „ჩატეხილი სიღი“, რომლის გამთელება ყოვლისშემძლე სიყვარულსაც ვერ მოუხერხებია ამჟამად, მაგრამ რომელიც მომავალში საერთო შეგნებამ უნდა გაამთელოს. ხილის გამთელების საშუალებას ი. ჭავჭავაძე საერთო შეგნებით გამოწეულ თანაგრძნობაში და ამ თანაგრძნობით აჩუყებული გულის ცრემლებში ეძებს. მოთხოვთ ერთ-ერთი მთავარი გმირი, თავადი არჩილი, თავის დასკესოს ეუბნება: „— წმინდაა ეგ ცრემლი და არ მოგწერდ. თქვენ, ქალები, ამით გვჯობიხართ მამაკაცებს...“

„ეგ ცრემლიანი ცოდნა უკანა სწვავს და ჰბურავს, წინა ამწვანებს. ეგ ნამი რომ გაბევრდება, მდინარე წყლად იქცევა და მთელს ტივს მიიტანს, რომ ჩვენს შორის ჩატეხილი ხილი გაამთელოს და ეგრე ორსავ ნაპირას გააერთებს. ეგ ცრემლიანი ცოდნა, თუ ცოდნიანი ცრემლი უკანისა, — შუქია წინასი და შუქი ხომ...“

— დასაწყისია განთიადისა, განა, ჩემო კარგო?!

— სწორედ.

და-ძმანი სიხარულით ერთმანეთს გადაეხვევიან¹.

ასეთია ი. ჭავჭავაძის კლასთა მორიგების ფილოსოფია. ილია ჭავჭავაძეს ცარიზმის მჩაგვრელური პოლიტიკი-საგან ეროვნული განთავისუფლების საშუალებად საქართველოში არსებული კლასების შერიგება და ამ პოლიტიკი-სადმი მათ დაპირისპირება მიაჩნდა. ის ვერ ამაღლდა იმ შეგნებამდე, რომ ეროვნული თავისუფლების მოპოვება შეიძლება მხოლოდ სხვადასხვა ერთა მშრომელი ხალხების შეკავშირებისა და საერთო ძალით კლასობრივი მტრის წინააღმდეგ რევოლუციური ბრძოლის გზით.

ამრიგად, ი. ჭავჭავაძემ თავისი თეორიულ-ფილოსოფიურ-ესთეტიკური და სოციოლოგიური თვალსაზრისი ქარ-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხ. ტ. 3, გვ. 115, 116.

თველი სალხის კეთილდღეობის, წარმატებისა და განვითარების შესახებ მხატვრულ სახეებში გამალა, რათა ამ გზით განსაკუთრებული ღონისძიება განეხორციელებინა არსებული სინამდვილის შემეცნებისა და გარდაქმნის მიზნით. ხელოვნება ი. ჭავჭავაძის აზრით, როგორც ეს ზემოთ იყო ნაჩვენები, ქვეყნის შემეცნებისა და გარდაქმნის საქმეს განსაკუთრებული წესით, მხატვრული სახეებით ემსახურება და იგი თავისი ბუნებით უფრო მასობრივი და შორსმწვდომია, ვიდრე, მეცნიერება. მეცნიერების გვერდით ხელოვნებაც უნდა მოქმედებდეს, რათა ცნებებში გააზრებული შემოქმედ გულს სიღრმეში ჩაწერდეს და მძლავრად აამოქმედოს, — ასეთია ი. ჭავჭავაძის თვალსაზრისი.

ილია ჭავჭავაძე თავისი დიდი ტალანტითა და საქმიანობით ყოველმხრივ ეხმარებოდა საქართველოს წარმატებისა და განვითარების საქმეს. იგი იყო პუბლიცისტი, მოაზროვნე, მხატვარი, პოლიტიკოსი, ეკონომისტი, სახელმწიფო მოღვაწე. არც ერთ ამ დარგში ის თავის ძალ-ღონეს არ ზოგადა, რათა ქართველი ხალხი წარმატების, განვითარებისა და ამაღლების გზაზე დაეყენებინა.

ი. ჭავჭავაძის ფილოსოფიური და ისთეტიკური თვალსაზრისი ემ-19 საუკუნის მთავრობის მოწინავე მსოფლიო შუაზე

გერმანული კლასიკური ბურჟუაზიული ფილოსოფია თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურს ჰეგელის, და ფეირბახის ფილოსოფიაში აღწევს. ჰეგელი იდეალიზმის უკანასკნელი დიდი მესიტყვე იყო. ფეირბახმა კი უკანასკნელი სიტყვა მეტაფიზიკური მატერიალიზმის განვითარებაში თქვა.

იდეალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ფეირბახის ისტორიული დამსახურება ის იყო, რომ მან ყველაზე განვითარებული იდეალისტური მოძღვრების — ჰეგელის ფილოსოფიის კრიტიკის მაგალითით ნათელყო საზოგადოდ იდეალიზმის

რელიგიური საიდუმლოება. მეორე მხრივ, მისი მუშაობა იქითქენ იყო მიმართული, რომ რელიგიური სამყარო მიწიერ საფუძველზე დაეყვანა.

ფეიერბახი დაუძლეველი სიძლიერით შეიძყრო იმ აზრის დასაბუთებაში, რომ ჰეგელის „აბსოლუტური იდეის“ დაუსაბამო არსებობა, სამყაროს გაჩენამდე „ლოგიკური კატეგორიების“, მატერიალური სინამდვილის ამ გეგმისა და სქემის თვით მატერიალურ სინამდვილემდე არსებობა, მხოლოდ ფანტასტიკური ნაშთია. სამყაროს გარეშე მყოფი შემოქმედის, ღმერთის რწმენისა. მან ჰეგელის ფილოსოფიის კრიტიკის საფუძველზე კიდევ ერთხელ ნათელყო, რომ ერთადერთი ნამდვილი სამყარო მატერიალური სინამდვილეა. მაგრამ ფეიერბახი ჰეგელის ფილოსოფიის რელიგიური საიდუმლოება, მან თავისი ფილოსოფიური კრიტიკის მახვილი ღმერთისაკენ მიმართა, ფეიერბახმა რელიგიური არსება, ღმერთი, ადამიანის არსებაზე დაიყვანა. მან რელიგიურ მოძღვრებათა ცველა ფორმის, განსაკუთრებით კი ქრისტიანული რელიგიის კრიტიკის საფუძველზე დასაბუთა, რომ ღმერთი კი არ ქმნის ადამიანს, არამედ, პირიქით, ადამიანი ქმნის ღმერთს. მაგრამ ფეიერბახს საბოლოოდ არც იდეალიზმი დაუძლევია და არც რელიგია უარუყვია; ის ვერც იდეალიზმისა და ვერც რელიგიისაგან ვერ განთავისუფლდა. ფეიერბახის იდეალიზმი ისტორიის ფილოსოფიაშია. მას რელიგიის გაუქმება კი არ უნდოდა, არამედ მისი დასრულება სურდა. ის ულმერთო რელიგიის საჭიროებას აღიარებდა. „ფეიერბახის მიხედვით რელიგია არის გრძნობიერი, გულისხმიერი დამოკიდებულება აღამიანსა და აღამიანს შორის“¹... დღემდე ეს დამოკიდებულება ჭეშმარიტებას ეძებდა და სინამდვილის ფანტასტიკურ ასახვაში, ღმერთში; დღეს კი ჭეშმარიტება, მისი აზრით, პირდაპირ და უშუალოდ აღამიან-

¹ ფ. ენგელსი, კ. შარქსი და ფ. ენგელსი. რწმული ნაწერები, ტ. 2, გვ. 454.

თა სიყვარულში ისახება. ფეიერბახის შეცდომა ის იყო, რომ ფგ ადამიანური გრძნობების მისტიფიცირებას ახდენდა. მას ადამიანთა გულითადი დამოკიდებულებანა — თანაგრძნობა, მეგობრობა, სიყვარული, თავგანწირვა და სხვა — რელი-გიური მისტიფიციის გარეშე ვერ წარმოედგინა¹.

ფეიერბახის ფილოსოფიის შეცდომა და შეზღუდულობა მარტო ეს როდი იყო. მან, ამასთან ერთად, კრიტიკულად ვერ აითვისა ჰეგელის ფილოსოფია და ვერ გამოიყენა ამ ფი-ლოსოფიის გონივრული მონაპოვარი — ღიალექტიკა.

რელიგიისა და იდეალიზმის საბოლოო გამანადგურებე-ლი მეცნიერული კრიტიკა და ჰეგელის ფილოსოფიის გო-ნივრული მონაპოვრის ათვისება, ჰეგელის დიალექტიკიდან „რაციონალური მარცვლის“ გამოყენება მოცემულია პრო-ლეტარიატის ბელადების მარქსისა და ენგელსის ფილოსო-ფიაში.

მარქსისტული ფილოსოფიით დაიწყო ახალი ერა ფი-ლოსოფიური აზროვნების ისტორიაში. მარქსისა და ენგელ-სის მიერ შექმნილი დიალექტიკური მატერიალიზმი ნამდვი-ლი რევოლუცია იყო ფილოსოფიაში. მარქსისა და ენგელსის შემდეგ ფილოსოფიური აზროვნება მთლიანად და სავსებით გამოდის მეცნიერული აზროვნების უსაზღვრო ასპარეზზე.

მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია, ღიალექტიკური მატერიალიზმი, არის მეცნიერება ბუნების, აღამიანთა სა-ზოგადოებისა და აზროვნების განვითარების საყოველთაო უზოგადესი კანონების შესახებ.

ღიალექტიკური მატერიალიზმი საკაცობრიო ფილოსო-ფიური აზროვნების ჭეშმარიტ მწვერვალად ითვლება და ამდენად იგი ყოველი სხვა ფილოსოფიური სისტემისაგან ძირეულად, თვისობრივად განსხვავდება.

მაგრამ რა დამოკიდებულებაშია ო. ჭავჭავაძის ოვალსა-ზრისი მარქსისტულ ფილოსოფიასთან?

¹ ი. ფ. ენგელსი, ქ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეუ-ლი ნაწერები, ტ. 2, გვ. 454, 455.

ილია ჭავჭავაძემ თავისი ფილოსოფიური და ესთეტიკური შეხედულებანი გამოიმუშავა დიდი რუსი მატერიალისტების — გერცენის, ბელინსკის, ჩერნიშევსკისა და სხვების მეშვეობით, ამიტომ მათგან დამოუკიდებლად ამ საკითხის განხილვა სრული და ზუსტი არ იქნება.

რა გააკეთეს დიდმა რუსმა მატერიალისტებმა ჰეგელისა და ფეიერბახის შემდეგ მსოფლიო ფილოსოფიური აზროვნების წინმსვლელობის საქმეში? დიდმა ლენინმა გერცენი, როგორც ფილოსოფოსი, მოკლედ ასე შეაფასა: გერცენი მჭიდროდ მიადგა დიალექტიკურ მატერიალიზმს და გაჩერდა ისტორიული მატერიალიზმის წინაშე. ვ. ი. ლენინის ეს შეფასება ყველა დიდი რუსი მატერიალისტის შეფასება იყო. დიდმა რუსმა მატერიალისტებმა — ბელინსკიმ, გერცენმა, ჩერნიშევსკიმ და დობროლიუბოვმა ცრიტიკულად აითვისეს ჰეგელისა და ფეიერბახის ფილოსოფია, შეითვისეს ჰეგელის დიალექტიკა და, გასცდნენ რა ფეიერბახის მეტაფიზიკური მატერიალიზმის საზღვრებს, მჭიდროდ შეადგნენ დიალექტიკურ მატერიალიზმს.

ი. ჭავჭავაძის ფილოსოფიური და ესთეტიკური ნაზრევის ზემოთ ჩატარებულმა კვლევამ დაგვანახვა, რომ არც ის დარჩენილა მეტაფიზიკური მატერიალიზმის ფარგლებში — დიდ რუს მატერიალისტებთან ერთად ისიც გავიდა მეტაფიზიკური მატერიალიზმის საზღვრებიდან და მჭიდროდ მიადგა დიალექტიკურ მატერიალიზმს.

ილია ჭავჭავაძე ფართო და ღრმა დიაპაზონის მოაზროვნე იყო; ის არ იყო ვიწრო კუთხურ, ნაციონალურ ჩარჩოებში მომწყვდეული მოღვაწე. იგი თავისუფლად წვდებოდა თავისი ეპოქის მსოფლიო აზროვნების სიმაღლეებს და მშობლიური ხალხის კეთილდღეობის პრობლემების გადაწყვეტას საკაცობრიო მოწინავე აზრის პერსპექტივებში ცდილობდა. იგი საფუძვლიანად იცნობდა, უშუალოდ თუ რუსი ფილოსოფოსების მეშვეობით, ჰეგელის, ფეიერბახის, ლესინგის, დარვინის და სხვა დიდ ევროპელ მოაზროვნეთა იდეებს; საფუძვლიანად ჰქონდა გავლილი მე-19 საუკუნის.

რუსული კლასიკური მატერიალისტური ფილოსოფიის სკოლა, ღრმად ჰქონდა შესწავლილი რუსული ფილოსოფიის სახელოვანი წარმომადგენლების — გერცენის, ბელინსკის, ჩერნიშევსკის, ღობროლიუბოვისა და სხვათა მოძღვრება.

რუსეთიდან საქართველოში დაბრუნებიდან ი. ჭავჭავაძე მისი ეპოქის ფილოსოფიურ სიმაღლეებს დაუფლებული მოაზროვნეა¹. ის განსწავლულია როგორც დასავლეთის, ისე რუსეთის ფილოსოფიაში და უკვე დავაუკაცებული და მომწიფებულია სამოღვაწეო ასპარეზისათვის. ამას ნათლად ადასტურებს მისი ღრმააზროვანი ფილოსოფიური ნაშრომი — „საქართველოს მომბეზედ“, რომელიც დაწერილია 1862-1863 წლებში.

ილია ჭავჭავაძის თეორიული ნაშრომები ნათელყოფს, რომ მას მეცნიერება და ხელოვნება საზოგადოდ, თავისი ფილოსოფიური, ესთეტიკური და სოციალ-პოლიტიკური შეხედულებანი კერძოდ, ქართველი ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრების გაუმჯობესებისათვის უნდოდა. ის, მსგავსად დიდი რუსი მატერიალისტებისა, ხალხის ცხოვრების გაუმჯობესების თვალსაზრისით აფასებდა ფილოსოფიას, მეცნიერებას, ხელოვნებას, მოწინავე ადამიანების ყოველგვარ მოღვაწეობას. მაგრამ ილია ჭავჭავაძე სოციალ-პოლიტიკური პრობლემების კვლევა-ძიების დარგში ვერ ამაღლდა დიდ რუს მატერიალისტებამდე.

დიდი რუსი მატერიალისტები — გერცენი, ბელინსკი, ჩერნიშევსკი, ღობროლიუბოვი — რევოლუციონერი დემოკრატები იყვნენ. ისინი ბატონყმობისა და ცარიზმის წინააღმდეგ ხალხის რევოლუციური მოძრაობის საჭიროებას აღიარებდნენ.

გერცენმა რუსეთის ხალხის საკეთილდღეოდ, ცარიზმისა, და ბატონყმობის წინააღმდეგ „რევოლუციური აგიტაცია გააჩანა. ეს აგიტაცა გააფართოეს, განამტკიცეს, გამოა-

1 აქ ჩვენ მხედველობაში არ გვაქვს მარქსიზმი, რომელაც ჭარბიდევ უცნობი იყო რუსეთსა და საქართველოში.

წრთეს „რევოლუციონერმა - რაზნოჩინცებმა, ჩერნიშევსკით
დაწყებული და „ნატოდნაია ვოლიას“ გმირებით დამთავრე-
ბული“. „პროლეტარიატი, ერთად ერთი ბოლომდე რევო-
ლუციური ქლასი, ჩაუდგა მათ სათავეში და პირველად და-
რაზმა აშკარა რევოლუციური ბრძოლისათვის მიღიონობით
გლეხი“¹.

დიდი რუსი რევოლუციონერი დემოკრატები — გერცე-
ნი, ბელინსკი, ჩერნიშევსკი, ღობროლიუბოვი — სათავეში
ჩაუდგნენ გლეხთა და მთელი მშრომელი მასების რევოლუ-
ციურ მოძრაობას. ისინი ესწრაფოდნენ ისეთი სოციალ-პო-
ლიტიკური თვალსაზრისი შეემუშავებინათ, რომელიც რევო-
ლუციურ პრაქტიკას დაეხმარებოდა. ამასთან დაკავშირებით
გენიალური ლენინი თავის ცნობილ შრომაში „რა ვაკეთოთ“
წერდა: „მოწინავე მებრძოლის როლის შეს-
რულება შეუძლია მხოლოდ იმ პარტიას, რო-
მე, ლიც მოწინავე თეორიით ხელმძღვანე-
ლობს. ხოლო რაოდენამდე მაინც, კონკრეტულად რომ
წარმოიდგინოს მკითხველმა თუ რას ნიშნავს ეს, მოიგონოს
რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ისეთი წინამორბედნი, რო-
გორიც იყვნენ გერცენი, ბელინსკი, ჩერნიშევსკი“²

ილია ჭავჭავაძის სოციალ-პოლიტიკური შეხედულება
დიდი რუსი მატერიალისტების სოციალ-პოლიტიკურ თვალ-
საზრისამდე არ ამაღლებულა. როგორც წინმდებარე შრო-
მის დასაწყისში იყო ოლნიშნული, ი. ჭავჭავაძე ფეოდალების
წინააღმდეგ რევოლუციურ ბრძოლას უარყოფდა. ბატონ-
ყმობის წინააღმდეგ მიმართული მისი სოციალ-პოლიტიკური
მოძლვება ხალხის რევოლუციურ მოძრაობას საჭიროდ არ
ცნობდა. ბატონყმობის წინააღმდეგ მისი ბრძოლის გზა შე-
მრიგებლური იყო.

ილია ჭავჭავაძის ფილოსოფიური და ესთეტიკური შე-
ხედულებების მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის მოწინავე

¹ 3. ი. ლენინი, თხზ., ტ. 18, გვ. 19.

² 3. ი. ლენინი, თხზ., ტ. 5, გვ. 461, 462.

მსოფლმხედველობის შუქზე გამომზეურების დროს, არ შეიძლება შემდეგიც არ აღინიშნოს: საქართველოში მარქსიზმის შემოჭრამ ი. ჭავჭავაძეს სიცოცხლეში მოუსწრო. რიგი წლების მანძილზე, 1898-1907 წლებამდე, ის მოწმე იყო საქართველოში მარქსიზმის აღმავლობისა და არ ცდილა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-20 საუკუნის ამ ჭეშმარიტი მეცნიერული მოძღვრების, მეცნიერული სოციალიზმის დონემდე ამაღლებულიყო. სოციალიზმის განხორციელება მას თავისი დროის პრაქტიკულ ამოცანად არ მიაჩნდა. სოციალიზმს ის მხოლოდ შორეული მომავლის საქმედ თვლიდა. 1905 წლის რევოლუციაში პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობა მან ვერ შეაფასა, როგორც განმათავისუფლებელი ბრძოლის ახალი და მაღალი საფეხური. მან ვერ გაიგო ის ჭეშმარიტება, რომ ქართველი ხალხის, ისევე როგორც დიდი რუსი ხალხის, განთავისუფლება, შესაძლებელი იყო მხოლოდ სოციალისტური რევოლუციით, პროლეტარიატის გამარჯვებით.

ი. ჭავჭავაძე ჭერ კიდევ 1862-63 წლის ნაშრომში — „საქართველოს მოამბეზედ“ საზოგადოებრავი ისტორიის საფუძვლად არა მეცნიერებასა და ხელოვნებას აღიარებს, არამედ საზოგადოებრივ მდგომარეობას, საზოგადოებრივ ცხოვრებას. მაგრამ ის აქ ჭერ კიდევ კონკრეტულად არ ასახელებს თუ რა ძალები უნდა ვიგულისხმოთ საზოგადოებრივი მდგომარეობის ცნების ქვეშ. სამოცდათანი და ოთხმოციანი წლების მანძილზე ის თანდათან კონკრეტულ სახეს აძლევს თავის თვალსაზრისს. ილია 1881 წ. თავის შრომაში „შინაური მიმოხილვა“¹. კონკრეტულად ჩამოაყალიბებს თავის შეხედულებას. 1881 წ. ის საზოგადოებრივი ცხოვრების შამოძრავებელ საფუძვლად ეკონომიურ ცხოვრებას, სოფლის მეურნეობას თვლის.

ი. ჭავჭავაძის თვალსაზრისი საზოგადოებრივი ცხოვრებისა და მეცნიერება-ხელოვნების ურთიერთობის საკითხში არ არის მეტაფიზიკური. საზოგადოებრივი მდგომარეობა კი

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 6, გვ. 163.

არ არის მარტო მეცნიერებისა და ხელოვნების მამოძრავებელი აქტიური ძალა, არამედ მეცნიერებაცა და ხელოვნებაც უკუგავლენას ახდენს საზოგადოებრივ მდგომარეობის განვითარებაზე.

ი. ჭავჭავაძის ფილოსოფიური და ესთეტიკური შეხედულების ზემოთ წარმოებულმა კვლევამ შემდეგ ძირითად დასკვნებამდე მიგვიყვანა:

1) მსგავსად დიდი რუსი მატერიალისტებისა, ი. ჭავჭავაძე გავიდა მეტაფიზიკური მატერიალიზმის საზღვრებადან, მჭიდროდ მიადგა დიალექტიკურ მატერიალიზმსა და დიალექტიკურ-მატერიალისტურ ესთეტიკას; 2) საზოგადოებრივი ცხოვრების მოძრაობის გაგების სფეროში ისტორიულ მატერიალიზმს მიუაწლოვდა; 3) ზოგადად სწორად გააშუქა საზოგადოებრივი ცხოვრებისა და მეცნიერება-ხელოვნების ურთიერთობის ცალკეული საკითხები და 4) ესთეტიკის ძირითადი საკითხი — ხელოვნებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების დიალექტიკა სწორად გაარკვია.

დასასრულ, არ შეიძლება არ მიუთითოდ ერთ მეტად მნიშვნელოვან გარემოებაზე; როგორც ზემოდ იყო აღნიშნული, ილია ჭავჭავაძემ ცარიზმის მჩაგვრელური პოლიტიკისაგან ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის საკითხი საერთო კლასობრივი მტრის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხს ვერ დაუმორჩილა, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მისთვის ნათლად დაენახა ქართველი ხალხის დიდ რუს ხალხთან მტკიცე მეგობრობის აუცილებლობა და ბრძნული რუსული კულტურის უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა.

ილია ჭავჭავაძე ყალიბდებოდა და იდეურად ვაჟკაცდებოდა ბრძნული რუსული დემოკრატიული კულტურის, მისი საუკეთესო წარმომადგენლების — ბელინსკის, გერცენის, ჩერნიშევსკის, ღობროლიუბოვისა და სხვათა — უშუალო გავლენით. სიმწიფის პერიოდში დემოკრატიულ რუსულ კულტურასთან მჭიდრო კავშირის იდეამ ღრმა გამოძახილი პოვა მასში. ფეოდალურ-მონარქისტული მიდრეკილების ნაციონალისტთა საწინააღმდეგოდ ილია ჭავჭავაძე მოწინავა

რუსულ კულტურასთან და დიდ რუს ხალხთან სულიერ სიახლოვეს და ნათესაობას გრძნობდა: მან მკაფიოდ და გარ- კვევით ჩამოაყალიბა თავისი აზრი ქართულ კულტურაზე რუსული კულტურის განმაცითარებელი გავლენის შესახებ; ღრმად და ნათლად გამოხატა თავისი პატივისცემა, მეგობრო- ბის გრძნობა და სიყვარული დიდი რუსი ხალხისადმი, ბრძნუ- ლი რუსული კულტურისადმი.

o. ჭავჭავაძეს ღრმად პქონდა შეგნებული ის დიდი ამაგი, რომელიც დიდმა რუსულმა კულტურამ დასდო ქართველ საზოგადო მოღვაწეებს. ის ქართველი ხალხის წინსვლისა და განვითარების საქმეში უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა დიდი რუსი ხალხის დიდ კულტურას, რუსულ კანას, რუსულ ლიტერატურასა და სიბრძნეს.

ილია ჭავჭავაძე ამასთან დაკავშირებით წერდა:

„ჩვენ იშ აზრისანი, ვართ, რომ რუსული მწერლობის შესწავლა და ცოდნა ჩვენთვის აუცილებლად საჭიროა, რომ რუსეთის ცხოვრება იმდენად საინტერესო და განსაკუთრებულის ხასიათისაა, რომ ორისავე შესწავლა ჩვენთვის აუცილებელს შეადგენს. მართლაც, რუსეთი ყოველის მხრით იმდენად შესანიშნავია, რომ ეკრობა... პკვირობს რუსულის მწერლობის სიმღიდრეს და თავისებურებას“.

„ოქმა არ უნდა, რომ რუსულმა ლიტერატურამ დიდი ხელმძღვანელობა გაგვიწია წარმატების გზაზე და დიდი ზემოქმედება იქონია ყოველ მასზე, რაც ჩვენს სულიერს ძალლონეს შეადგანს; ჩვენს გონებას, ჩვენს აზრს, ჩვენს გრძნობას და ერთობ ჩვენს მიმართულებას მან ზედ დააჩნია თავისი ავკატგანობა. არ არის დღეს ჩვენში არცერთი მოღვაწე და მომქმედი კაცი მწერლობაში, თუ საზოგადო საქმეთა საჩინაოებები, რომ თავისუფალი იყოს ხსენებულ ლიტერატურის ზეგავლენისაგან. საკვირველიც არ არის: რუსულმა სკოლამ — მეცნიერებამ გაგვილო კარი განათლებისა და რუსულ-მავე ლიტერატურამ მააწოდა საზრდო ჩვენს გონებასა და გამოჰკვება ჩვენი აზრი მოძრაობის გზაზე. თვითეული ჩვენთაგანი, გინდა თუ არა, უნდა დასწავლებოდა ამ ორ წყაროს თავისი სულიერი წყურვილის მოსაკლავად. სხვა გზა არ იყო. ამიტომაც საბუთი გვაქვს ვთქვათ, რომ თვითეული ჩვენთაგანი რუსული ლიტერატურით გაზრდილა, თვითეულს ჩვენგანს მის გამონარკვევზე აუგია თავისი რწმენა, თავისი მოძღვრება და თავისი საგანი ცხოვრებისა საზოგადო საქმისათვის ამ გამონარკვევის მიხედვით გამოუჩევია“¹.

1 o. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 8, გვ. 285.

ქართველი ხალხის დიდ რუს ხალხთან ურღვევი ერთიანობა და მტკიცე მეგობრობა, ილიას დახასიათებით, გაპირობებულია გაჭირვების დროს საომარ ველზე. დაღვრილი სისხლით. ამასთან დაკავშირებით ის ამბობს:

„ქართული დროშა ორი თაასის წლის განმავლობაში ქართველობას სახელით და დიდებით ხელში სჭერია, თავის სისხლში ამოუვლია და რუსეთისათვის შეუმწიფვლელად და უჩირქოდ გადაუცია; გაჭირების დროს ქართული დროშა რუსეთის დროშასთან ერთად არა-ერთხელ გამოსულა საომარს ველზედ და მის წინამძღვარობით და სახელით ქართველობას არა-ერთხელ დაუღვრია თავისი სისხლი რუსებთან ერთად“¹.

ასე შესანიშნავად, მკაფიოდ ახასიათებს ილია ჭავჭავაძე ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ფილოსოფიური აზროვნების განვითარებაში მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის მოწინავე დემოკრატიული რუსული აზროვნების და კულტურის როლს, ქართველ და რუს ხალხთა მეგობრულ კავშირს, რომელიც ჯერ კიდევ ისტორიული წარსულიდანვე იჭედებოდა.

ს ა რ ჩ ი ვ ი

შინასიტყვაობა 3

ნ ა წ ი ლ ი პ ი რ ვ ე ლ ი

ფილოსოფიური თვალსაზრისი	7
ილია ჭავჭავაძის სოციალ-პოლიტიკური შეხედულებანი	7
რელიგიისა და ღმერთის გაგება	11
ილია ჭავჭავაძის მატერიალისტური თვალსაზრისი	21
შეხედებება საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიაზე	39
საზოგადოებრივი ცხოვრების დიალექტიკა და მისი განმსაზღვრელი ძარითადი მიზეზი	39
მეცნიერების, ხელოვნების, მოწინავე თაობისა და დიდი ადამიანის როლი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში	59

ნ ა წ ი ლ ი მ ე ო რ ე

ესთეტიკური შეხედულებანი	75
ხელოვნება და საზოგადოებრივი ცხოვრება	78
წელოვნების სპეციფიკა	83
მშვენიერება და მასი არსება	83
წელოვნება და მენეჯება	88
ხელოვნება და სინამდვილე	101
წელოვნების სახეობა შედარებითი შეფასება	108
მხატვრული კრიტიკის პრინციპები	122
საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების მნატვაზული განსახიერება o. ჭავჭავაძის შემოქმედებაში	130
o. ჭავჭავაძას ფილოსოფიური და ესთეტიკური თვალსაზრისი მ-19 საუკუნის პეორე ნაზევრის მოწინავე მსოფლმხედველობის შუქშე 141.	

А. Г. ТАВАДЗЕ
Философские и эстетические взгляды
Ильи Чавчавадзе
(На грузинском языке)

Госиздат Грузинской ССР
Тбилиси
1954

ფასი 4 მას. 10 კაბ.

რედაქტორი დ. კალანდაძე
მხატვარი შ. ნიორაძე
ტექნიკური ნ. კუპრავა

სელმოწერილია დასტეჭად 26/II-54 წ. ანაწყობის ზომა $5\frac{1}{2} \times 9$.
ქაღალდის ზომა $84 \times 108 \frac{1}{3}$. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 9,5.
ტირაჟი 7010. ფა 00274. შეკვ. № 2598

თბილისი. სტამბა „ზარია გოსტოკა“. რუსთაველის, პროსპ. 42.
Типография „Заря Востока“. Тбилиси, пр. Руставели, 42.